

საქართველოს სამეფო

მოგზაურობა ბანოვანთა, ღვინისა და
სიმღერის ქვეყანაში

სერ თლივერ უორდრობი



THE
KINGDOM OF GEORGIA

*TRAVEL IN A LAND OF WOMEN,
WINE AND SONG*

BY SIR OLIVER WARDROP



LUZAC & COMPANY LTD

ORIENTAL PUBLISHERS & BOOKSELLERS
46 GREAT RUSSELL STREET
LONDON WC1B 3PE

THE
KINGDOM OF GEORGIA

*NOTES OF TRAVEL IN A LAND OF WOMEN
WINE, AND SONG*

TO WHICH ARE APPENDED HISTORICAL, LITERARY, AND
POLITICAL SKETCHES, SPECIMENS OF THE NATIONAL
MUSIC, AND A COMPENDIOUS BIBLIOGRAPHY

By OLIVER WARDROP



WITH ILLUSTRATIONS AND MAPS

LONDON
SAMPSON LOW, MARSTON, SEARLE, & RIVINGTON
Limited

ST. DUNSTAN'S HOUSE, FETTER LANE, FLEET STREET, E.C.

1888

[*All rights reserved*]

საქართველოს სამეფო

ჩანაწერები ბანოვანთა, ღვინისა და სიმღერის
ქვეყანაში მოგზაურობის შესახებ

ჩანაწერებს ერთვის ისტორიული, ლიტერატურული და
პოლიტიკური მიმოსილვა, ეროვნული მუსიკის
ნიმუშები და მოკლე ბიბლიოგრაფია

სერ ოლივერ უორდრობი



ილუსტრაციები და რუკები

ლონდონი
1888



ოლივერ უორდროპი ქართულ ეროვნულ განსაცმელში

ეს ჩანაწერები (მისი ნებართვით) გულითადი
მადლიერებითა და ღრმა პატივისცემით
ექვეყნება
პროფ. მ.წ. ბრანსს

УДК 947.922


ს 323

თარგმნილია 1977 წ. გამოცემიდან

ინგლისურიდან თარგმნა
მერაბ შრუშაძემ

© მერაბ შრუშაძე

თბილისი
2001



TIFLIS.

Frontispiece.

მთარგმნელისაბან

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ინგლისელი დიპლომატის, საზოგადო მოღვაწისა და მთარგმნელის – ქართველი ერის ერთგული მეგობრის – ოლივერ უორდროპის „საქართველოს სამეფო“-ს "The Kingdom of Georgia"-ს პირველ ქართულ თარგმანს. ეს წიგნი, სპეციალისტების ვიწრო წრის გარდა, სრულიად უცნობია თანამედროვე ქართველი საზოგადოებისათვის. ამიტომ, მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე საქართველოსათვის ამ უმძიმეს პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში, როცა არ არსებობს ეროვნული იდეოლოგია, როცა ცდილობენ გლობალიზაციის ქადაგებით შეასუსტონ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სწრაფვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისაკენ, ჩემი თანამემამულეებისათვის მიმეცა საშუალება გაცნობოდნენ მიუკერძოებელ შთაბეჭდილებებს იმ უცხოელისას, რომელმაც თავისი ცხოვრებითა და აქტიური პოლიტიკური და ლიგერატურული საქმიანობით არაერთხელ დაუმტკიცა თავისი უსაზღვრო სიყვარული, თანაგრძნობა და ერთგულება ქართველ ერს. ეს ადამიანი არ იშურებდა არც თანხებს, არც ენერჯიას ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის არა მხოლოდ ინგლისში, არამედ მთელს ინგლისურენოვან სამყაროში.

მიზეზი იმისა, რომ „საქართველოს სამეფო“ უცნობია თანამედროვე ქართველისათვის – ერთადერთია: ოლივერ უორდროპი 1919-1921 წლებში იყო ინგლისის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დამოუკიდებელ საქართველოში. წითელი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, იგი ინგლისის აგენტად იყო მიჩნეული და მისი სახელის ხსენებაც კი აკრძალული იყო.

პირველი წერილი, რომელმაც ეს მრავალწლიანი სიჩუმე დაარღვია, ქართული პოეზიის ცნობილი მთარგმნელის ვენე-

რა ურუშაძის წერილი* იყო, რომელიც 1945 წელს ქერნალ „მნათობში“ დაიბეჭდა. წერილის ავტორი გამოხატავდა უდიდეს მადლიერებას დაძმობა უორდროპების მიმართ და იმედოვნებდა, რომ ქართველი ხალხი სათანადოდ დააფასებდა იმ როლსა და უდიდეს სამსახურს, რომელიც ამ უანგარო მოღვაწეებმა ქართველ ხალხს გაუწიეს.

ოლივერ უორდროპი 1864 წელს დაიბადა ინგლისურ არისტოკრატიულ ოჯახში. ბავშვობა შოტლანდიასა და სამხრეთ ინგლისში გაატარა, მიიღო მრავალმხრივი ფუნდამენტური განათლება – ჯერ ოქსფორდში, შემდეგ სორბონაში, პარიზში. უცხო ენების ბრწყინვალე მცოდნე, იგი პაგარაობიდანვე გატაცებით ეცნობოდა იმ ქვეყნების კულტურას, მწერლობასა და ხელოვნებას, რომლებიც ნაკლებად იყო ცნობილი ევროპაში. ამ მხრივ, მისი განსაკუთრებული ყურადღება კავკასიამ, კერძოდ კი, საქართველომ მიიპყრო. საქართველო მისთვის საოცნებო ქვეყნად იქცა. 1887 წელს ოლივერ უორდროპმა შეძლო საქართველოში ჩამოსვლა. ამ ვიზიტის დროს, ის აღმოსავლეთ საქართველოს ეწვია. აქ ის შეხვდა არა მხოლოდ ქართველი არისტოკრატიისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენის, არამედ, საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების წარმომადგენლებსაც და თავისი შთაბეჭდილებები გადმოსცა წიგნში – „საქართველოს სამეფო“ ("The Kingdom of Georgia"), რომელიც მან ერთი წლის შემდეგ, 1888 წელს ლონდონში გამოაქვეყნა.

„საქართველოს სამეფოში“ მკითხველი ბევრ საინტერესო მასალას აღმოაჩენს მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებიდან, ბევრ მივიწყებულ ამბავსა თუ ლეგენდას გაეცნობა; მაგრამ ეს არ არის წიგნი, რომელიც ვარდისფრად ხატავს საქართველოს – წიგნის ავტორი გულდასმით ათვალისწინებს ყველაფერს, მის დაკ-

* ურუშაძე ენერა, „იჭავჭავაძის „განდევილი“ და მარჯორი უორდროპი“, „მნათობი“, 1945 წ. № 10.

ვირეებულ თვალს არაფერი რჩება ყ.კრადლების მიღმა. ის ცნობისმოყვარეობით სწავლობს ქართველი კაცის ბუნებას, ცნობიერებას, აანალიზებს მის ქმედებებს და გასაოცრად სწორ დასკვნებსა და პროგნოზებს აკეთებს. საგულისხმოა, რომ ო.უორდროპის მიერ ასზე მეტი წლის წინათ გამოთქმული მოსაზრებები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. თავის წინასწარმეგყველებას ოლივერ უორდროპი აგებს საქართველოს ისტორიის, მწერლობის, ქართველი ხალხის ფსიქიკის, ფასეულობების უშუალო შესწავლის საფუძველზე. მას ღრმად სწამს საქართველოს ბრწყინვალე მომავლისა, სჯერა, რომ მოვა დრო, როდესაც ეს მცირერიცხოვანი მამაცი, სულით უტეხი, დახვეწილი გემოვნებისა და ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოვებული ერი თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის, შეძლებს საკუთარი საზღვრების დაცვასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

მრავალი ქვეყანა მოიარა ოლივერ უორდროპმა, ის დიპლომატიურ სამსახურში იყო სანკტ-პეტერბურგში, ყირიმში, ჰაიგზე, რუმინეთსა და საქართველოში. ჩვენში მისი დიპლომატიური მოღვაწეობა, საიდუმლო საარქივო მასალებზე დაყრდნობით, შესანიშნავად გააშუქა ბაგონმა ნოდარ გაბაშვილმა საგაზეთო სტაგიაში „დამოუკიდებელი საქართველო და ინგლისის დიპლომატია“.*

„საქართველოს სამეფო“-ს გამოქვეყნების შემდეგ, ოლივერ უორდროპი კიდევ უფრო მეტი სერიოზულობით შეუდგა ქართული მწერლობის შესწავლა-თარგმნას. მას მიაჩნდა, რომ ერის ცნობიერების სიღრმისეული წედომისათვის ადამიანმა, პირველ რიგში, უნდა შეისწავლოს მისი სიგყეაკაზმული მწერლობა, როგორც სარკე ამ ერის სულიერებისა.

ოლივერ უორდროპის ინგლისური თარგმანებით გაეცნო

* ნ.გაბაშვილი, „დამოუკიდებელი საქართველო და ინგლისის დიპლომატია“, გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 19... ეს წერილი მთლიანად იბეჭდება მთარგმნელის წინათქმის შემდეგ.

ევროპის საბოგადლება სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“-ს, „ეისრაიანს“, „წმ. ნინოსა“ და „წმ. იაკობის ცხოვრებას“.

ოლივერ უორდროპი, როგორც გამოცდილი ლინგვისტი, აქტიურ ენათმეცნიერულ კვლევასაც ეწეოდა. იგი დაინტერესდა ქართველურ ენათა შორის ერთ-ერთი უძველესი – სვანური ენით და 1911 წელს ოქსფორდში გამოსცა ინგლისურ-სვანური ლექსიკონი. ოლივერ უორდროპის კალამს ეკუთვნის ოქსფორდის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, რომელიც მან ცნობილ არმენოლოგ კონიბირთან ერთად გამოაქვეყნა.

ოლივერ უორდროპმა უდიდესი სამსახური გაუწია არა მხოლოდ ქართულ კულტურას, არამედ, მთელ ევროპულ ლიტერატურას, როდესაც მარჯორის სიკედილის შემდეგ, 1912 წელს ლონდონში, ადრეული რენესანსის ეპოქის შედეგური – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული თარგმანი გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი არ ყოფილა დასრულებული (იგი წარმოდგენილია აწკარედის სახით), ოლივერმა საჭიროდ ჩათვალა, რომ ევროპელი მკითხველისათვის მიეცა საშუალება გაეგო, თუ რა განძის მფლობელია ქართველი ერი, ერი, რომელიც 800 წლის მანძილზე თაობებს ზრდიდა „ვეფხისტყაოსნის“ უმაღლეს საკაცობრიო იდეალებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეულ თარგმანს ო.უორდროპმა წაუმძღვარა თავისი წინასიგყვაობა (რომელშიც ის ღრმად გააზრებულ ორიგინალურ მოსაზრებებს გამოსთქვამს, მ.უ.) და ძალზე საყურადღებო შენიშვნები.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოლივერ უორდროპის მეცნიერული და მთარგმნელობითი მოღვაწეობა, ისევე, როგორც მისი დიპლომატიური საქმიანობა საქართველოში სერიოზულ მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს. ალბათ, ეს მომავლის საქმეა.

ოლივერ უორდროპი 1948 წელს გარდაიცვალა. ქართველ-

მა ხალხმა ვერ შეძლო თავისი სიყვარული და პატივისცემა გამოეხატა ამ შესანიშნავი პიროვნების მიმართ. ჩვენს ქვეყანაზე ზრუნვა მას არასდროს შეუწყვეტია. ის ყოველმხრივ ცდილობდა საქართველოსკენ მიეპყრო ევროპული საზოგადოების ყურადღება. მან დიდი როლი ითამაშა ლონდონში „ქართული საზოგადოებისა“ და „ქართული კომიტეტის“ შექმნაში. 1930 წელს ცნობილ ინგლისელ ისტორიკოს უ.ე. ალენთან* ერთად ჩამოაყილია „საქართველოს ისტორიული საზოგადოება“, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ჟურნალი "Georgica". ოლივერ უორდროპი სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა მუშაობას, იძენდა უძველეს ქართულ ხელნაწერებსა და წიგნებს, ამდიდრებდა თავის დასთან ერთად შექმნილ ქართულ ბიბლიოთეკას, რომელიც მან შექმდგომში ოქსფორდის ბოლდიენის წიგნთსაცავს გადასცა.

თავისი საქმიანობით ოლივერ უორდროპმა მყარი საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებას დიდ ბრიტანეთში და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართველი ერის მეხსიერებაში.

მერაბ ურუშაძე

* Allen W.E. – "A.History of Georgian People" – ავტორი წიგნისა „ქართველი ხალხის ისტორია“.

დამოუკიდებელი საქართველო და ინგლისის
დიპლომატია

აღნიშნული წერილი ეყრდნობა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტებს (დოკუმენტს ონ ბრიტიშ ჟორინ პოლისი, ლონდონი, 1962), რომელიც ჩვენში დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. ამ მასალებში ასახულია დამოუკიდებელ საქართველოში ბრიტანეთის წარმომადგენლის ოლივერ უორდროპის და მისი თანამემწეების მოღვაწეობა. აქვე წარმოვადგენთ ოლივერ უორდროპის შეხედულებებს ქართველებზე, ვიდრე მათ ბოლშევიზმის დამანგრეველი ძალა შეეხებოდა. საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა იმედი ჩაგვისასა, რომ ხელსაყრელ პირობებში მოხდება ძველ თაობებსა და თანამედროვე ქართველებს შორის გარღვეული გენეტიკური და სულიერი კავშირის რეგენერაცია. წინადადება შემომაქვს, ქართველი ერის წინაშე დაძმა უორდროპების დიდი დამსახურების გამო, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მათი სახელი ეწოდოს.

საბჭოთა კავშირში დიდი ხნის განმავლობაში ტაბუ ელო უორდროპის გვარსა და მოღვაწეობას. მას ინგლისის იმპერიალიზმის აგენტს უწოდებდნენ. არ გამოსულა მისი წიგნიც „საქართველოს სამეფო“ (დაიბეჭდა ლონდონში 1888 წ.) პოლიტიკა, რომელიც წლების განმავლობაში გარდებოდა საბჭოთა კავშირში მიზეზია იმისა, რომ უორდროპის დიპლომატიური მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი ცნობილი არ არის საქართველოში. უორდროპებმა სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულეს ინგლისურენოვან სამყაროში საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციაში. მაგრამ მათი დამსახურება მარტო ამით არ ამოიწურება. ისინი ხომ, პირ-

ველ რიგში, პრაქტიკული მოქმედების ადამიანები იყენენ. ჯერ კიდევ 1905 წ. ინგლისში მათ შექმნეს პროტესტის კომიტეტი, რომლის საქმიანობა მიმართული იყო იმ რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც ახორციელებდნენ ცარიზმის დამსჯელი რაზმები დასავლეთ საქართველოში. გარდა ამისა, და-ძმა, მარჯორიმ და ოლივერმა, განსაკუთრებით კი ოლივერმა, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის როგორც პროპაგანდაში, ისე მის პრაქტიკულ განხორციელებაში. ამის დამადასტურებელია მიმოწერა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კერზონსა და ოლივერ უორდროუს შორის.

მაგრამ ოლივერ უორდროპი არ იყო მარტოდენ სახელმწიფო მოხელე, დიპლომატი, რომელიც გულგრილად, ინგლისური პედანტურობით ასრულებდა თავის მოვალეობას. ის შესანიშნავად ერკვეოდა საქართველოს წარსულში, აწმყოში და ცდილობდა მისი მომავლის განჭვრეტას. გასული საუკუნის 80-იან წლებში „საქართველოს სამეფოში“ უორდროპის მიერ გამოთქმული ზოგიერთი პროგნოზი საოცრად გამართლდა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში. უორდროპის დიპლომატიური მოღვაწეობით დაინტერესებული პირი მას გვერდს ვერ აუელის, ვინაიდან აქ ჩანს მისი, როგორც პოლიტიკოსის მრწამსი და დიპლომატის კრედიტო. „საქართველოს სამეფოში“ ასახულია 24 წლის რომანტიკულად განწყობილი ინგლისელის თვალთ დანახული საქართველოს ცხოვრება, ისტორია და კულტურა. ეს წიგნი კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მოგზაურობის შედეგია. მკითხველს ნოსტალგია იაყრობს, როდესაც ხედავს, რა დარჩა იდილიური წარსულისაგან, ცრუსოციალიზმის გამანადგურებელი დაწოლის შედეგად.

წიგნის მიხედვით, ავტორი სრულიადაც არ გვევლინება მოყირჭებულ ინგლისელ არისგოკრაგად, რომელიც შემწყნარებლური ცნობისმოყვარეობით ალებს მისთვის უცხო სამყაროს კარს. ის უდიდეს თანაგრძნობას ამედავენებს მისთვის უცხო ხალხისადმი, უყურებს, აკვირდება, ცდილობს შეივსოს ცოდნა

საქართველოს შესახებ, რისი დამადასტურებელიცაა ლიგერატურისადმი მიძღვნილი თავი, სადაც მოგანილია თარგმანები იმდროინდელი მწერლების ნაწარმოებებიდან.

ნაწილში საქართველოს ისტორიაზე ის აღნიშნავს: „ეს მამაცი პაგარა ხალხი ათასეული წლების მანძილზე აზიისა და ევროპის მიჯნაზე მარგო იცავდა ქრისტიანულ სამყაროს ფანატიკოსებისაგან, რომლის შიშიც აკანკალებდა ევროპას“. ამასთან, ის ჩივის, რომ საქართველოს ისტორიის წყაროები თითქმის არ არის სისტემაში მოყვანილი და ჯერაც მაღალკვალიფიციურ ინტერპრეტატორს ელოდებიან. თუმცა აქვე დასძენს: რომ მან, ვინც ხელს მოჰკიდებს ამ რთულ საქმეს, არ უნდა დაასრულოს სამუშაო ისე, რომ არ ჰქონდეს საფუძველი ახალი საქართველოს დაბადება არ დააფიქსიროს, რომელიც ღირსეული იქნება თამარისა და ერეკლეს სახელებისა.

უორდროჟი ხშირად აღნიშნავს, რომ ათასწლიანი ისტორიით გაცისკროვნებულ ქვეყანას შეუძლია იყოს სიცოცხლისუნარიანი, დამოუკიდებელი, რაც, როგორც ცნობილია, ახლაც კი სკეპტიკურად განაწყობს მოგიერთებს. წიგნში მრავალრიცხოვანი მაგალითების საფუძველზე ის ამტკიცებს, რომ საქართველო მაღალი ცივილიზაციის ქვეყანაა და ცდილობს ჩაუნერგოს ევროპას, განსაკუთრებით კი ინგლისს, რომ ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოჩენა კავკასიაში მნიშვნელოვანია მათი სასიცოცხლო ინტერესებისათვის. ამასთან, როგორც თვითონ აღნიშნავს, ევროპელებს გარკვეული მორალური ვალდებულება აქვთ იმ ხალხის წინაშე, რომელიც მარგო იცავდა ქრისტიანული აღმოსავლეთის საზღვრებს.

აქ, ისევე როგორც წიგნის სხვა ადგილებში, ავტორი ხაზს უსვამს მაღალ მორალურ თვისებებს, სტუმართმოყვარე ხალხისა, რომელთა შორის ყოფნაც მისთვის საუკეთესო საშუალება იყო მელანქოლისაგან განკურნებისათვის. ამ, მისი სიგყვებით, გულუხვი, გულითადი, პატიოსანი და ერთობ ალალური თვისებები სრულ კონგრასტშია იმ ხალხის მერკანტილიზმთან, რომელიც მის მეზობლად სახლობს.

ჩვენ შეგნებულად არ მოგვყავს ზოგიერთი მისი გამონათქვამი საქართველოსა და მისი ისტორიის შესახებ, იმის გამო, რომ გადაჭარბებულ იდეალიზაციად გამოჩნდებოდა დღეს. თუმცა, უორდროპის გულწრფელობაში ეჭვის შეგანა შეუძლებელია, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში, ეს განსაკუთრებით ეხება მისი თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისადმი მიძღვნილ თავს, იგი დაკვირვებისა და ფსიზიკური მსჯელობის უნარს ამჟღავნებს.

წიგნის გარკვეულ ადგილებში ავგორი დიდ წინდახედულებას იჩენს, კერძოდ, რუსეთის ისტორიული და პოლიტიკური როლის შეფასებისას კავკასიაში, რადგან კარგად ესმის, რომ რაიმე გაუფრთხილებელ განცხადებას სავსებით შეუძლია ამ რეგიონისაკენ გზა გადაუღობოს. ამიტომ აღნიშნავს, რომ მართალია სამხედრო თვალსაზრისით რუსეთი აღმოჩნდა კავკასიისათვის ფარი, მაგრამ მან სრულიად ვერ შეუწყო ხელი ამ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, ამასთანავე დაიწყო უცხო, ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქოლოგიისათვის მიუღებელი სამართლებრივი სისტემის დაფუძნება, რომელიც ქართველებისათვის გაუგებარ ენაზე წარმოებდა. უორდროპის აზრით, ეს ფაქტორები სხვა ვითარებასთან ერთად ხელს უწყობდა საქართველოში ეროვნული და სოციალური მოძრაობის აღორძინება-გაფართოებას. როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა იგი, უცხო სახელმწიფოსადმი დაქვემდებარების პირობებში ასეთი გარემოება შეიცავდა მეტად დიდ საშიშროებას, მაგრამ უორდროპს სჯეროდა ქართველების პოლიტიკური სიბრძნისა, რომელიც, მისი თქმით, მთელი ისტორიის მრავალ ეტაპზე გამოქვდავდა. უორდროპი წერს: „კავკასიის ზოგიერთი სხვა ხალხისაგან განსხვავებით, ისინი ისეთ პოლიტიკურ აქციებს და მოქმედებას არ წამოიწყებენ, თუ არ იქნებიან დარწმუნებული ამ ქმედების კეთილად დაბოლოების რეალურობაში“. იგი პოლიტიკური პროგნოზის გაკეთებასაც კი ცდილობს: „რუსეთის მიერ დიდი ომის დაწყების შემთხვევაში საქართველო გამოაცხადებს დამოუკიდებლობას და და-

რიალს. დაიკავებს“. მაგრამ ამის შემდეგ უორდროპი აკეთებს რუსეთისადმი შემრიგებლურ ეესგს და ხაზს უსვამს: „რუსეთსა და საქართველოს შორის კარგი ურთიერთობის შესაძლებლობა არსებობს, თუ ეს უკანასკნელი რუსეთისაგან თვითმმართველობის უფლებას მიიღებს“. შემდეგ იგი მტკიცედ, ერთობ პათეტიკურადაც კი აცხადებს: „რუსეთის მხრიდან საქართველოს ეროვნული მოძრაობის დათრგუნვის ნებისმიერი მცდელობა უკიდურეს შემთხვევაში იმას მაინც დაგვანახებს, თუ როგორ შეუძლიათ ქართველებს გასწირონ სიცოცხლე სამშობლოსათვის“.

მოულოდნელ ეფექტს იწვევს უორდროპის მიერ საქართველოს და იაპონიის შედარება-მსგავსება იმ თვალსაზრისით, რომ მხოლოდ მათ მოახერხეს დაეძლიათ გზა ფეოდალური სტრუქტურებიდან თანამედროვე ლიბერალურ ცივილიზაციამდე. მისთვის ეს გარემოება საუკეთესო დადასტურება იყო იმ „სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისა, რომელიც იმედიან მზერას აპყრობდა ეეროპას, სწორედ მათში და პირველ რიგში ინგლისელებში ექებდა თანაგრძნობას, რადგან იცოდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას შავ და კასპიის ზღვებს შუა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის“.

უორდროპის აზრით, საქართველოს უფრო მეტი უსაფრთხოებისათვის აუცილებელი იყო კავკასიაში სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობაც. რაც უფრო მეტი იქნებოდა მათ შორის ურთიერთგაგება, მით უფრო მყარი აღმოჩნდებოდა მათი მდგომარეობა. როგორც პრაგმატისგს უორდროპს კარგად ესმოდა კავკასიის სახელმწიფოების კონფედერაციის შექმნის შეუძლებლობა, ამასთანავე იგი ვერ ხედავდა მიზეზს, რაგომ არ უნდა შემდგარიყო მათ შორის სამხედრო ალიანსი (ამის განხორციელებას უორდროპი შემდგომ პრაქტიკულადაც ცდილობდა), ყოველ შემთხვევაში მას სჯეროდა, რომ საქართველოს უნარი გააჩნდა დაეცვა თავისი საზღვრები და დამოუკიდებლობა. ეს იყო მისი კრედო, რომელიც მან ახალგაზრდობაში გამოიმუშავა, გამოხატა თავის წიგნში და

შემდეგ ამიერკავკასიაში დიპლომატიური მოღვაწეობის პერიოდში განუხრელი პრინციპულობით ცდილობდა ცხოვრებაში გატარებას. როდესაც მან ნახა, რომ ინგლისის მთავრობამ შეიცვალა კურსი და ზურგი აქცია საქართველოს, მან თავისი კარიერა გასწირა და პროტესტის ნიშნად გადადგა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა ერთგულება თავისი პრინციპებისადმი. თავისი დიპლომატიური მოღვაწეობის პირველ პერიოდში უორდროპი ცდილობს წვლილი შეიტანოს საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციაში. მას გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ინგლისის მიერ საქართველოს დე ფაქტოდ ცნობაში. ეჭვს გარეშება, მთელ იმდროინდელ ევროპაში უორდროპი საქართველოს ისტორიისა და პოლიტიკური პრობლემების ყველაზე კომპეტენტური ექსპერტი იყო. იგი გამუდმებით აგზავნიდა ინფორმაციას ინგლისსა და ევროპის სხვადასხვა ინსტანციებში, რომელთაც უმტკიცებდა, რომ საქართველო უძველესი ისტორიის ქვეყანაა და სრული უფლება აქვს დაიკავოს საპატიო ადგილი ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ ახდენდა რაიმე შედეგს ინგლისისა და ევროპის უმაღლეს ხელმძღვანელებზე. ვერსალის კონფერენციის მასალები გვიჩვენებს, რომ ხშირად ევროპის პოლიტიკური მოღვაწეები საქართველოს საკითხებში ელემენტარულ უცოდინარობას ამჟღავნებდნენ, რაც აგრეთვე უარყოფით გავლენას ახდენდა დამოუკიდებელი საქართველოს მომავალ ბედზე.

1920 წლის ზამთარში ჯერ კიდევ არ იყო გამწვავებული ბათუმის საკითხი. როგორ განვითარდებოდა მოვლენები, უორდროპმა ჯერ კიდევ არ იცოდა. საქართველოს გარკვეული პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობებში იგი ცდილობდა საქართველოსათვის ეკონომიკური დახმარების სურვილი გაეღვივებინა ინგლისისათვის.

პოლიტიკური სიტუაციის შემდგომი განმტკიცებისათვის საჭირო იყო მყარი ეკონომიკური საყრდენი. ამას კარგად გრძნობდა უორდროპი და ენერგიულად შეუდგა სათანადო მო-

მების მიღებას, რათა ინგლისს როგორმე ფინანსური დახმარება გაეწია დამოუკიდებლობის გზაზე ახლადგამოსული რესპუბლიკისათვის. უპირველეს ყოვლისა, იგი კვალიფიცირებული მრეწველების გამოგზავნას ითხოვდა. თავის მთავრობას იმითაც აგულიანებდა, რომ აგყობინებდა: ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს (იტალიის, საფრანგეთის) აქტივობა ინგლისის ინტერესებს კავკასიაში საფრთხეს უქმნის. მისი აზრით, შესაძლებელი სესხის გარანტიას წარმოადგენდა საქართველოს საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსები, რაც, თავის მხრივ, კონცესიების გაცემის საშუალებას იძლეოდა. მისი მონაცემების მიხედვით, საქართველოს განკარგულებაში იყო 7-13 მილიარდი ფუთი მარგანეცი, ტყიბულის ქვანახშირი – 1,5 მილიარდი ფუთი, ჩათახის რკინა – 50 მილიარდი ფუთი. ამ მონაცემებს შეიცავს უორდროპის მიერ ლორდ კერზონისადმი 1920 წ. 3 თებერვალს გაგზავნილი დეპეშა. უორდროპი იქვე დასძენდა, რომ შესაძლებელი იყო სესხი გაეცათ როგორც კრედიტის, ასევე სამრეწველო საქონლის, ძირითადად მანქანებისა და მექანიზმების სახით. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში დიდი როლი ენიჭებოდა ბათუმს, რომელიც მაშინ ინგლისის დრებითი სამსედრო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, უორდროპი ვითარებას ოპტიმისტურად უყურებდა, მაგრამ მან ჯერ არ იცოდა, რომ ინგლისის პოლიტიკური კურსის ისარი საბჭოთა რუსეთთან კომპრომისისაკენ იხრებოდა. ამ პერიოდში ინგლისის ჯარების ევაკუაციის გადაწყვეტილების მიღება სწორედ ამ პოლიტიკის ლოგიკიდან გამომდინარეობდა. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ ამის შესახებ უორდროპმაც არაფერი იცოდა და მომხდარი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა.

ინგლისელი დიპლომატი თავის დეპეშაში (1920 წ. 6 თებერვალი) ცდილობს დაარწმუნოს თავისი მთავრობა, რომ ინგლისის ჯარების კონტროლისადმი ბათუმის დაქვემდებარება აქამდე აღიქმებოდა მასტაბილიზებულ ფაქტორად ამიერკავკასიის რეგიონში. მისი ღრმა რწმენით, ბათუმიდან ინგლისის

ჯარების გამოყვანა მოასწავებდა საქართველოსადმი ბრიტანეთის ინტერესის დაკარგვას და მისი ბედის ანაბარად მიტოვებას.

ეს მეგაღ ანგარიშგასაწევი არგუმენტი იყო. ყოველ შემთხვევაში, უორდროპი დარწმუნებული იყო, რომ პერსიექტივაში ბათუმი უნდა გამხდარიყო საქართველოსადმი და საერთოდ ამიერკავკასიისადმი მატერიალური დახმარების ცენტრალური არტერია. ამიტომ იგი კატეგორიულად მოითხოვდა გადაწყვეტილების გადავადებას, ვიდრე თავად, სათანადო არგუმენტებით არ დაადასტურებდა ამ ნაბიჯის უსაფუძვლობას.

უორდროპის შემდეგი დეკემბერი (1920 წ. 6 თებერვალი) ცხადჰყოფს, რომ იგი მიხვდა ვითარების შეცვლის მიზეზს და აღშფოთებას გამოთქვამს მისი თანამდებობრივი მოვალეობის უგულვებელყოფის გამო, რაც, მისი თქმით, აშკარად მოასწავებდა იმას, რომ ინგლისის მთავრობის ნდობით აღარ სარგებლობდა. რასაკვირველია, უორდროპს გადადგომის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, მაგრამ იგი მაინც ცდილობდა ერთგვარად გამოესწორებინა შექმნილი ვითარება და ახალი წარმომადგენლის ჩამოსვლამდე თავის პოსტზე დარჩენილიყო.

მასალებიდან აშკარაა, რომ კერზონი დიდი ყურადღებით ეცნობა და სწავლობს უორდროპის მიერ გამოგზავნილ დეკემბებს და ხშირად ანგარიშსაც კი უწევს მათ. ბათუმის დატოვების შესახებ ლორდ კერზონის მემორანდუმის დაწერის შემდეგ, უორდროპისადმი გაგზავნილ სპეციალურ დეკემბერში (1920 წ. 17 თებერვალი), კერზონი ფაქტობრივად თვითონვე აღიარებს ამას და მას (ო.უორდროპს მ.უ.) უწოდებს ამიერკავკასიაში ინგლისის პოლიტიკის შემოქმედს. ამავე დროს კერზონი უორდროპს თანაუგრძნობს იმის გამო, რომ ბათუმის დატოვების გადაწყვეტილება საფუძველს უცვლის იმ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელსაც დიპლომატი აქამდე ასეთი ენერჯით აყალიბებდა. ამასთანავე, კერზონი ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა ბათუმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გამო. კერზონის მტკიცებით, ეს მოხდა მისი ინგლისში არყოფნის დროს ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელების დაწოლის შედეგად.

კერზონის მიერ ამ კონტექსტში სამხედროების ინტრიგების ხსენება არ იყო შემთხვევითი. მართლაც, იგივე ღოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ ინგლისის თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის არსებობდა უთანხმოება იმის თაობაზე, თუ ახალ ვითარებაში რა პოლიტიკას უნდა დადგომოდა ინგლისი ბოლშევიკებთან მიმართებით. სამხედრო უწყება მათდამი კომპრომისულ დამოკიდებულებას არჩევდა. ამიტომაც ცდილობდა უორდროპის დისკრედიტაციას იმ საბაბით, თითქოს იგი დიპლომატიისათვის მიუღებელ მიკერძოებას იჩენდა საქართველოსადმი. კერზონი დაბეჯითებით უმტკიცებდა სამხედროებს, რომ ბათუმის დატოვება ამიერკავკასიას კატასტროფულ შედეგს მოუტანდა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც ინგლისმა სენო ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, ბათუმის დატოვების აქცია მათი თავისუფლების განმტკიცების საქმისათვის დალაგის გოლფასი იყო. ამასთანავე, მას მიაჩნდა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ჩამოაგდება მულს ამ რეგიონის ქვეყნებს შორის, რომლებიც უეჭველად მონღოლებდნენ ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდებას, რის გამოც უქმად გაიფლანგებოდა ბოლშევიკებთან ბრძოლისათვის მეტად საჭირო ენერჯია. ამ ყოველივეს თავიდან ასაცილებლად კერზონი მოითხოვდა ბათუმი გადაეცათ ერთა ლიგისათვის და თავისუფალ ქალაქად გამოეცხადებინათ.

კერზონის დეკემის ბოლო აბზაციდან აშკარად ჩანს, რომ ბათუმი აღმოჩნდა საშიშროების წინაშე – ისევ მოწყვეტილიყო სამშობლოს. მართალია, ბათუმში ინგლისის ჯარების ყოფნის საკითხისადმი უორდროპის პოზიცია არ შეცვლილა, მაგრამ არც სხვა გამოსავალი ჩანდა. ამიტომ დიპლომატი ყოველ ღონეს ხმარობს, როგორმე ბათუმი კანონიერ მფლობელს დარჩეს.

1920 წ. 16 მარტს უორდროპის მიერ ინგლისში გაგზავნილი დეკემიდან ჩანს, რომ თვით საკითხის ამგვარი დასმა, თუ ვის უნდა გადაეცეს ბათუმი, დაუშვებლად მიაჩნდა. მისი

ღრმა რწმენით, ამაზე მსჯელობის უფლება მხოლოდ საქართველოს აქვს, ვინაიდან – ეთნოგრაფიული, ისტორიული, ლინგვისტური და ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით რეგიონი მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს“. უფრო მეტიც, მისი მტკიცებით, ამ რეგიონში საზღვრების დემარკაციის ჩატარებისას, საქართველოს აქვს უფლება მოითხოვოს ლაზისგანი და რიზედან დასაუღეთით მდებარე ტერიტორია.

ამის შემდეგ, გასაგებია, თუ რატომ აცხადებს უორდროპი ენერგიულ პროტესტს, როცა ზოგიერთმა ევროპელმა პოლიტიკოსმა წამოაყენა ავანტურისტული გეგმა – გადაეცათ აჭარის სამხრეთი და ლაზისგანი სომხეთისათვის, რაც ძირითადად განპირობებული იყო ბათუმი-ყარსის რკინიგზის ამოქმედებითა და ექსპლუატაციის მიზნით.

უორდროპი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი გარკვეული ფინანსური მოგება, მაინც ვერ დაჩრდილავდა იმ უსამართლობას, რაც მოყვებოდა ამ ტერიტორიის იმ ქვეყნისადმი გადაცემას, რომელსაც ამ ტერიტორიის ფლობის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა (1 აპრილის დეკლარაცია).

ერთი რამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, ლონდონში იზრდებოდა უკმაყოფილება უორდროპის მიმართ, რომელსაც დიპლომატიისათვის მიუღებელ საქართველოსადმი მიკერძოებულ დამოკიდებულებაში დებდნენ ბრალს.

საქართველოსათვის მეტად დიდი დანაკლისი იყო უორდროპის გადადგომა. ამ ნაბიჯით უორდროპი პროტესტს უცხადებდა ინგლისის მთავრობას, რომელიც გულგრილად ეკიდებოდა ახლადფეხადგმულ დამოუკიდებელი რესპუბლიკის ინტერესებს და ჩქარობდა მისთვის რაიმე დახმარება აღმოეჩინა...

წინასიტყვაობა ხელახალი გამოცემისათვის

„საქართველოს სამეფო“ პირველია იმ შრომებს შორის, რაც მამაჩემმა – სერ ოლივერ უორდროპმა (1864-1948) ქართველი ხალხის ისგორიასა და კულტურას მიუძღვნა. თავის დასთან – მარჯორისთან ერთად, რომელმაც თარგმნა შოთა რუსთაველის საკარო ეპიური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, მამაჩემმა გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს უნიკალური ცივილიზაციის ბრიტანეთის საზოგადოებისათვის გაცნობის საქმეში.

ოქსფორდში ის დაუმეგობრდა საეკლესიო ხელნაწერთა სპეციალისტს, უდიდეს სწავლულს ფს. კონიბირს (F.C. Conybeare)*, რომელმაც ადრეულ ქართულ ეკლესიაზე საინტერესო შრომების გამოქვეყნება დაიწყო. შემდგომში, როგორც საკონსულოს ოფიციალურ წარმომადგენელს რუსეთსა და ბალკანეთში, სხვადასხვა დროს, მას ისეთი თანამდებობები ეჭირა, რომ შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა ქართველი გლეხობისა და მშრომელი ხალხის დასაცავად კაბაკთა რეპრესიების წინააღმდეგ საპროტესტო კომიტეტი შექმნეს.

როდესაც 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ქართველებმა ისევ შეძლეს სამი წლით თავისუფლების მოპოვება, ბრიტანეთის უზენაეს რწმუნებულად თბილისში მამაჩემი დაინიშნა, 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრა ორჯონიკიძის მეთაურობით, მწარე დარტყმა იყო მისთვის. მისი მიმოწერა ლორდ კერზონთან (Curzon)* მოწმობს მის უსაზღვრო შემოთებასა და გულწრფელ სიყვარულს ქართველი ხალხის მიმართ. ოცდაოთხი წლისაყ არ იყო მამაჩემი, როცა „საქართველოს სამეფო“ დაწერა. წიგნი ხასიათდება ახალგაზრდული უშუალობითა და სიახლით. ის აგრეთვე მოიცავს ყურად-

საღებ საინტერესო დოკუმენტურ მასალას რუსეთის მეფის ალექსანდრე II-ის იმპერიის განაპირა მხარის ცხოვრების შესახებ.

მინდა გულთბილად მივესალმო ინიციატივას, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის მარჯორი უორდროპის ფონდმა გამოიჩინა და შესაძლებელი გახადა ამ შრომის ხელახლა გამოქვეყნება.

ა.ს. უორდროპი

ოქსფორდ ჰილზ, სვენოუკს,
ნოემბერი, 1976.

წინასიტყვაობა

ოთხნი ვიყავით – ორი ფრანგი, ერთი იტალიელი და ერთი ინგლისელი, დამასკოდან ბაალბექში* გავემგზავრეთ – ნანგრევები მოყინახულეთ; სადილის შემდეგ, ევროპელთათვის უცხო გარემოში მოქსედით – იატაკზე დახვავებულ ბალიშებზე წამოეწექით და რამოდენიმე წუთის მანძილზე მხოლოდ ნარგილეს* ბუყ-ბუყი არღვევდა ღამის მყურროებას. შემდეგ, ყოფილმა კირასირმა მტკიცე ხმით დაიწყო, ხმით, რომელიც ბრძანებების გაცემას არის ჩვეული: „ბატონებო! წინადადება შემომაქვს საზეიმოდ ვუყაროთ კენჭი აწ განსვენებული მ. დე ლამარტინის წინააღმდეგ“. „ბრაეო“ გაისმა ერთსულოვანი შეძახილი; კენჭისყრამ ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა. ყოველივე ამას დაემატა დასკენა იმის თაობაზე, რომ პოეტებს აეკრძალოს მოგზაურობათა წიგნების წერა.

„უცნაური დასკენა!“ – იგყვის მკითხველი. ნება მიბოძეთ, აგიხსნათ.

დამასკოში კარგა ხანს შევეყოვნდით – თოვლის ქარ-ბუქმა მთელი გზები ჩაკეტა; ერთადერთი ყველაზე საინტერესო წიგნი, რომელიც ჩვენს ხელთ აღმოჩნდა, იყო ლამარტინის „მოგზაურობა აღმოსავლეთში“, იძულებულნი ვიყავით ბაალბექის მისეული აღწერა იმდენჯერ გადაგვეგკითხა, რომ თითქმის ზეპირად შევისწავლეთ. განა საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ რეალობამ იმედი გაგვიცრუა? ლამარტინის წიგნი არასდროს რომ არ წაგვეკითხა, ეს ადგილი ბევრად უფრო მეტ სიამოვნებას მოგვანიჭებდა; მაგრამ, რადგან წავეკითხეთ, პოეტის თვალი უნდა გვექონოდა, რომ ისე დაგვენახა იქაური ტაძრები, როგორც ეს მან დაინახა. მაგრამ რა საერთო აქვს ყოველივე ამას. საქართველოსთან? უბრალოდ შემდეგი: მომდევნო გვერდები არ არის დაწერილი პოეტის მიერ და ძვირფასო ბატონებო, თუ ოდესმე ხმას მისცემთ ამ სტრიქონების დამწერის საწინააღმდეგოდ, ეს არ იქნება იმ მიზეზით გამოწვე-

ული, რომ მან ეს ადგილები და გარემოებები ვარდისფერ ფერებში დახატა.

ამ ჩანაწერების გამოქვეყნებისას მხოლოდ ერთი აზრი გამოძრავებდა – ცნობისმოყვარეობა გამელევიებიანა ჩემს თანამემამულეებში; ამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალებები მითითებულია წიგნის ბიბლიოგრაფიულ ნაწილში. საქართველო, პრაქტიკულად, უცნობია ბრიგანელი საზოგადოებისათვის; კარგად განათლებულმა ხალხმა იცის, რომ ეს ქვეყანა ცნობილია თავისი მშვენიერი ქალებით, მაგრამ ისინი მთლად დარწმუნებულნი არ არიან, თუ ვისი ქვეშევრდომები არიან ეს მომხიბლავი არსებანი – სპარსეთის, ოსმალეთისა თუ რუსეთის; ათასში ერთმა ადამიანმა არც ის იცის, რომ ქართველები და ჩერქეზები სრულიად სხვა ხალხებია.

(თუ თქვენ იცხვით, რომ ამიერკავკასია კარგი ადგილია არდადეგების გასატარებლად, ისეთივე გაოგნებულ გამომეცხველებას წააწყდებით, როგორც სულს კუნძულების ან ვლადივასტოკის ხსენებისას). როდესაც თქვენ აუხსნით მათ, რომ საქართველო ამჯერად რუსეთის იმპერიის ნაწილია, თქვენ გაიგონებთ სტერეოტიპულ შენიშვნებს პოლიციისა და პასპორტების შესახებ. სტუმარს, რომელიც აქ ჩამოსვლას აპირებს, ამ მხრივ სანერვიულო არაფერი აქვს; მოსკოვშიც კი, უცხოელს იშვიათად ან არასდროს არ აყენებენ უხერხულ მდგომარეობაში, კავკასიაში კი, მას თითქმის ავიწყდება, რომ არსებობს ისეთი რამ, რასაც პასპორტი ჰქვია.

არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისა, საქართველო რატომ არ უნდა გახდეს ისეთივე პოპულარული კურორტი, როგორიც ნორვეგია და შვეიცარიაა. ის არც ისე შორსაა, როგორც ეს ხალხს წარმოუდგენია – თქვენ შეგიძლიათ ხმელეთით ერთ კვირაში ჩახვიდეთ ლონდონიდან თბილისში; ბოლოსდაბოლოს, საქართველო ისეთივე მშვენიერია, როგორც ორივე შემოხსენებული ქვეყანა; მისი დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის თითქმის უცნობია გურისგებისათვის; აქ ვერ შეხვდებით თავხედურ გამოძალავას, რასაც მოთმინე-

ბიდან გამოჰყავხართ ჩვენს სამშობლოსთან ასლო მდებარე ქვეყნებში; დაბოლოს, ის უფრო იაფი ადგილია სამოგზაუროდ, ვიდრე შოტლანდია. ყველა ამ გარემოებამ ზეგავლენა უნდა მოახდინოს დამსვენებლებზე, რომლებიც ეძებენ ჯანმრთელობისა და ძალ-ღონის აღდგენას.

ბოტანიკოსი, გეოლოგი, არქეოლოგი, ფილოლოგი – ყველა აღმოაჩენს აქ შესაბამისი შეცნიერებისათვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობი უმდიდრესი მასალის მთელ საბადოებს, მთამსვლელებმა უკვე იციან ეს ქვეყანა ბ-ნ ფრეშფილდის ბრწყინვალე წიგნით. სპორტსმენებმაც იციან ის ბატონ უოლის წყალობით. ხელოვანი აღმოაჩენს სრულიად ახალ სფეროს ფუნჯის, ფანქრისა და ფოტოაპარატისათვის, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს უმთაერესი მიმზიდველობა მის ხალხშია; ქართველები მარტო შესახედავად კი არ არიან მომხიბლავნი, ეს ხალხი ნამდვილად საყვარელი ხალხია; ჭეშმარიტია ანდაზა, რომელიც ამბობს: „სომხის სული თავშია, ქართველისა – თვალებში.“ ადვილად წარმოსადგენია, რომ ასეთ მხიარულ, გულდია, ხელგაშლილ, პატიოსან, უმწიკველო ხალხს შორის ცხოვრება მელანქოლიისა და მიზანგროპიის განკურნების საუკეთესო საშუალებაა.

ენა უმრავლესობისათვის შესაძლოა სიძნელეს წარმოადგენს. შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე რუსული ან ქართული ენებია გავრცელებული, თურქულიც საკმაოდ კარგად იციან. უფრო დიდ ქალაქებში ყოველთვის შეგიძლიათ იპოვოთ სასტუმროები, სადაც ესმით ფრანგული და გერმანული და სადაც შეგიძლიათ თარჯიმანი დაიქირაოთ. მათ, ვისაც აქ უმოგზაურიან, იციან, რომ ენის მცირეოდენი ცოდნაც კი საკმარისია პრაქტიკული მიზნებისათვის და ქართულის ასეთი ცოდნა დაახლოებით ერთ კვირაში შეიძლება შეიძინოთ; რუსული უფრო ძნელია – როგორც გრამატიკა, ასევე წარმოთქმაც.

იქნებ დამამშვიდებელი იყოს მოგიერთისათვის იმის ცოდნა, რომ ქალბატონმა კლარა სერენამ სრულიად მარტომ იმოგ-

ზაურა და კარგა ხანს დარჩა კაეკასიის მიუვალ ადგილებში ისე, რომ რუსული ან ქართული 12 სიგყეაჲ კი არ იყოლა.

ნება მიბოძეთ ნათლად გაეიშეორო ის, რაც წინასიგყეაობის პირველ პარაგრაფში ვთქვი: მოგზაურობის ამ უბრალო, ფაქტობრივ აღწერაში ის კი არ იყო ჩემი მიზანი, რომ უშუალო სიამოვნება მიმენიჭებინა მკითხველისათვის, მე მინდოდა მეჩვენებინა, თუ სად და როგორ არის შესაძლებელი ამ სიამოვნების მიღება. შემოდგომა საუკეთესო დროა ვიზიტისათვის, გაზაფხული კი – შემოდგომის შემდეგ.

მინდა გულითადი მადლობა გადაეუსაღო მისგერ უ.რ.მორფილს იმ პატივისათვის, რაც მან დამდო, როცა წაიკითხა ის თავები, რომლებიც საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას ეხება.

ო.უ.

ოქსფორდი,

სექტემბერი, 1888.

შინაარსი

1. ბათუმიდან ტიფლისამდე	31
2 ტიფლისი	36
3. საქართველოს სამხედრო გზა ტიფლისსა და ვლადიკავკასს შორის	56
4. კახეთის გზატკეცილი – ტიფლისიდან სიღნაღამდე	86
5. სიღნაღი	94
6. მოგზაურობა ალაზანზე	99
7. სიღნაღიდან თელავამდე და იქიდან ტიფლისში	113
8. საქართველოს ისტორია	124
9. ქართული ენა და ლიტერატურა	143
10. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა	160

დანართი

ბიბლიოგრაფია	171
სტატისტიკა	197
ქართული ვოკალური მუსიკის ნიმუშები	201

ილუსტრაციების სია

ტიფლისი	3
ამიერკავკასიის რკინიგზისა და სამხედრო გზის რუკები	30
ქართული მოჭიდავე	52
წმ. ნინო	61
ანანური	66
დარიალის ციხე-სიმაგრე და თაშარის ციხის ნანგრევები	79
დარიალი	82
ვლადიკავკაზი	84
ურეში	89
ქუჩა სიღინაღში	95
ეროვნული ქართული კოსტუმი	100
ქალაქის გალავანი, თელავი	119
თაშარ მეფე	126
ერეკლე II	132
რუსთაველი	148
თავადი ილია ჭავჭავაძე	155
თავადი ივანე მანაბელი	155
ქუთაისის ეპისკოპოსი გაბრიელი	158
საქართველოს რუკა	213

საქართველოს სამეფო

ბათუმიდან ტიფლისში

1884 წლის ერთ დღიას, ოდესიდან ხუთი დღის მოგზაურობის შემდეგ, ბათუმის ნავსადგურს მივაღიქით.

ბათუმი (სასტუმრო „იმპერიალი“, სასტუმრო „საფრანგეთი“, სასტუმრო „ევროპა“) ქალაქია 10.000 მცხოვრებით. დასახლებულია, ძირითადად, ქართველებით. იგი შედგება ნახევრადდანგრეული ჭუჭყიანი აზიური კვარტლისა და ევროპული ნაწილისაგან, რომელიც მხოლოდ 7 წელს ითვლის. მთის ძირში ქალაქის განლაგება იმდენად ლამაზია, რომ ყოველგვარ აღწერას აღემატება. შეიძლება ითქვას, რომ ამ ადგილს, უდაოდ, „შორეული დასავლეთის“ ელფერი ადევს. აქ ყველაფერი ნახევრადდამთავრებულია; ქუჩები განიერია და, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, მოუკირწყლაი; გალახის სიღრმე სამი-ოთხი გოჯიდან ნახევარ იარდამდე ცვალებადობს; დამქალი სიბინძურის გროვები უამრავი რაოდენობის ღორის საკვებად არის ქცეული; ქალაქის საუკეთესო ხალხმრავალ ქუჩებში იხეები საჭყუმპალაოდ მოხერხებულ გუბურებს პოულობენ.

ღილით, პირველი შესაპლებლობისთანავე, გამოცხადდი ბრიგანეთის საკონსულოში, პატარა ორსართულიან შენობაში, რომლის ქვედა სართული აგურით არის ნაშენი, ზედა კი – გოფირებული რკინის ფირფიტებითაა მოპირკეთებული. ბაგონი დემეტრიუს რ.ფიქოქი, ბრიგანეთის ინგერესების ერთადერთი წარმომადგენელი კავკასიაში, არის ადამიანი, რომლის მოღვაწეობა სრულ აღიარებას იმსახურებს. ძნელია იპოვო რომელიმე სხვა თანამდებობა, რომელიც უფრო მეტ დიპლომატიურ გაქტს მოითხოვდეს, ვიდრე მისი პოსტი. მიუხედავად ამისა, ის ახერხებს პატივცემული და დაფასებული იყოს სხვადასხვა ეროვნების ყველა იმ წარმომადგენლის მიერ, რომელთანაც მას ყოველდღიური ურთიერთობა აქვს.

ბ-ნი ფიქოქი რუსეთში დაიბადა და თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ამ იმპერიაში გაატარა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის სულით ხორცამდე ინგლისელია. თბილისში მის შესახებ ერთი კარგი ისტორია მოვისმინე. რაღაც შემთხვევის გამო საფრანგეთის გენერალური კონსული გახუმრებია ფიქოქს: „ფიქოქ, თქვენ ინგლისელი არა ხართ, თქვენ ხომ რუსეთში დაიბადეთ!“ ამაზე ჩვენმა წარმომადგენელმა უპასუხა: „ჩვენი უფალი თავლაში დაიბადა, მაგრამ ამის გამო ის ცხენად არ გადაქცეულა“. თუმც ბათუმი, როგორც ქალაქი, მაინცდამაინც მიმზიდველი არ არის, იგი, ყოველ შემთხვევაში, ბევრად სჯობია ფოთსა და სუხუმს. მას, უდაოდ, ბრწყინვალე მომავალი აქვს. დღესდღეობით ექსპორტის რაოდენობა 400 000 ტონასაც კი შეადგენს. ძირითადად, გააქვთ ნავთობი, მანგანუმის ნედლეული, შალი, ბამბა, სიმინდის მარცვალი, თამბაქო, ღვინო, ძვირფასი ხე-ტყე და სხვა. ის არსებითად მომავლის ქალაქია. მის მკვიდრთ მტკიცედ სწამთ, რომ ყველაფრის მიუხედავად, ვაჭრობის დარგში ის მეტოქეობას გაუწევს ოდესას, ხოლო კურორტებში – ყირიმის მღვისპირა ქალაქებს. ამჟამად ძნელია სწავლებს იქ წასვლა ურჩიო. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის შემოგარენში არსებულ ჭანჭრობებს თანდათანობით აშრობენ, ისინი ჯერ კიდევ მაღარაის გავრცელების წყაროს წარმოადგენენ და საშიშია ევროპელთათვის. უვარგისია სასმელი წყალიც.

ნავსადგური საკმაოდ მყუდროა, მაგრამ ჰაგარა. არაპროფესიონალური თვალისთვისაც კი ადვილად შესამჩნევია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, არ არსებობს არავითარი ხელისშემშლელი მიზეზი ნავსადგურის გასაფართოებლად. შესასვლელი, შუქურის უკან, ყურეს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, უსწორო ოთხკუთხა ფორმის გამაგრებითაა დაცული. თითქმის 70-80 ფუტის სიმაღლეზე მიწა რიყის ქვით არის გამაგრებული და დაახლოებით 300 ნაბიჯის სიგრძისა და 180 ნაბიჯის სიგანის ფართობს მოიცავს, ციხე-სიმაგრეს გარს რკინიგზის განიერი ხაზი უვლის. ჩემს იქ ყოფნაში სწრაფად მუშაობდ-

ნენ, მიმდინარეობდა მზადება შუქურის ახლოს მძიმე არგი-
ლერიის დასადგმელად – იმ დროს იქ მხოლოდ მცირეკალიბ-
რიანი 12 ზარბაზანი იდგა.

ქალაქში აბსოლუტურად არაფერია ისეთი, რაც უცხოელის
ყურადღებას მიიპყრობს. აქ არის რამოდენიმე მეჩეთი და ეკ-
ლესია, ნავთობის გადამამუშავებელი ქარხანა, ექვსიოდე ევ-
როპული მაღაზია, ნახევრადდამთავრებული რამოდენიმე სა-
ხელმწიფო შენობა და, სანაპიროს გასწვრივ, სამოგალოებრი-
ვი პარკის ჩანასახი, სადაც აღამიანმა შეიძლება ფეხით გაი-
როს; მაგრამ თუკი მოგზაური ცოცხალი მანქანა მოხვდა აქ
ავდარში, ბათუმის ნახვის ყოველგვარი სურვილი დაეკარგე-
ბა და შეეცდება რაც შეიძლება სწრაფად გაეცალოს ამ ჭაო-
ბის, გაზისა და ნავთობის აგმოსუფროს.

ერთადერთი მაგარებული დილის 8 საათზე გადის დღეში
ერთხელ. სადგური, რომელიც ბოლოა და ასეთი დიდი მნიშე-
ნელობა აქვს, გაუბედურებული ხის შენობაა და გამაოგნებელ
კონტრასტს წარმოადგენს ბაქოს სადგურთან შედარებით, რო-
მელიც ჩვენი დედაქალაქის სადგურს არაფრით ჩამოუვარდე-
ბა. რკინიგზა მღვის ნაპირს მიუყვება დაახლოებით 30 მილის
მანძილზე; მარჯვნივ, ძვირფასი ხშირი ტყეებით დაფარული
მთის ფერდობებია, ქვემოთ კი ყვავილებით გაცოცხლებული
დაბურული ბუჩქნარი; ქალაქის შემოგარენში უკვე ბევრი ლა-
მამი ვილაა. წინა კვირების წვიმამ ტყეებს გასაოცარი სი-
ლამამე შესძინა; ნოტიო ჰაერი არაჩვეულებრივი სურნელით
იყო გაქვნილი. მცენარეული საფარის ასეთი სიმდიდრე
ცხოვრებაში მანამდე არასდროს მენახა. სამტრედიაში, სადაც
ბათუმისა და ფოთის რკინიგზის ხაზები ერთმანეთს ხვდება,
უკან მოვიტოვეთ. გურია, სამეგრელო და იმერეთში შევედით;
მარცხნივ, მშვენიერი გამწვანებული ველია და ჩვენს ახლოს რიონი,
უძველესი ფაზისი, მოედინება. ეს ადგილი ბევრად უფრო მჭიდ-
როდ არის დასახლებული, ვიდრე გურია, სამეგრელო ან ამი-
ერკავკასიის სხვა რომელიმე ნაწილი; მას შეუძლია კიდევ უფ-
რო მეტი ხალხი დაიტვიროს, მიწა სათანადოდ რომ იყოს და-

მუშავებული. გავოცდი, როცა ცხოვრებაში პირველად დაეინახე ხუთი წყვილი ხარი, რომელიც ხის ერთ გუთანს ეწეოდა. შემდეგში, ვიღრე საქართველოში ხანგრძლივად ვიცხოვრებდი, ეს სურათი ჩემთვის ნაცნობი გახდა. გზისპირა სადგურებზე (ალბათ, იმის თქმა არ დამჭირდება, რომ ჩვენი მატარებელი ყველა მათგანზე ჩერდებოდა) ბევრი ლამაზი სახე ვნახე. ერთმა ლარიბმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ცხერის ტყავის დაბონძილი მოსასხამი ეცვა, გამაოგნა ისე ჰგავდა დანტე ალიგიერს*. სადგურ რიონიდან, რომელიც ამავე სახელწოდების მდინარეზე მდებარეობს, რკინიგზის ერთი განშტოება მიემართება ჩრდილოეთისაკენ – ქუთაისისაკენ, რომელიც სხვა არა არის რა თუ არა კოლხეთის სითა*, საიდანაც იაზონმა შედეა და ოქროს საწმისი გაიტაცა.

ქუთაისი (სასტუმრო „საფრანგეთი“, სასტუმრო „კოლხეთი“, სასტუმრო „იგალია“) მშენიერი ქალაქია 25.000 მცხოვრებით, თითქმის ყველა ქართველია. მდინარის მეორე ნაპირზე მდებარე ციხე-კოშკის ნანგრევები გვიჩვენებს, თუ ქალაქი სად იყო გაშენებული ერთი საუკუნის წინათ. ამ ადგილიდან ქუთაისის საუკეთესო ხედი იშლება. კარგი საშენი ქვის სიუხვე, მდიდარი ნიადაგი, უამრავი მწვანე ნარგავი, იმერეთის დედაქალაქს მომხიბლავ იერს აძლევს. ქალაქი ზღვის დონიდან დაახლოებით 500 ფუტის სიმაღლეზეა. ზღვისპირა ქალაქებთან შედარებით, ეს მის ჰავას გრილსა და გამამხნეველს ხდის. მოგზაური, რომელსაც სურს ქალაქურ ცხოვრებას გაეცნოს, იმაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებს, თუ ერთ-ორ თვეს დაჰყოფს ქუთაისში. ქალაქიდან დაახლოებით 5 მილის მანძილზე მდებარეობს გელათის მონასტერი, მე-10* საუკუნეში აგებული და ცნობილი როგორც დიდებული თამარ მეფის* დასაფლავების ადგილი. ქუთაისიდან შეიძლება სვანეთში იმოგზაუროთ. ეს არის უკანასკნელი ტერიტორია, რომელიც რუსეთმა კავკასიაში დაიპყრო, და დღემდე ის მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენს მეფის დომინიონს; მისტერ უოლის წიგნი „პირველყოფილი სვანეთი“ ("Savage Svanetia") გარკვეულ წარმოდგე-

ნას შეუქმნის აქ სტუმრობის მსურველს იმ საორგის შესახებ, რომელიც მას შეუძლია ჰქონდეს ამ მიუვალ რეგიონში; გზა კავკასიონის გავლით ქუთაისიდან ელადიკაეკაზამდე ბევრად უფრო დიდ სიმაღლეზეა და უფრო უდაბური, ვიდრე დარიალის გზა და მე ძალიან ვნანობ, რომ დრო არ მქონდა ამ გზით შემოგზაურა.

თუ რიონიდან აღმოსავლეთით წახვალთ, მალე მიაღწევთ ყვირილას, რომელიც რკინიგზის ხაზის განშტოებით ჭიათურასთან – მარგანეცის რეგიონის ცენტრთან არის დაკავშირებული. ამკამად მთელი წიაღისეული მთაყარ ხაზთან 25 მილის მანძილზე ჩამოაქვთ ურმებით, რომელსაც „არბას“ უძახიან.*

გასაოცარი სიღამაზის ვიწრო ხეობებით, რომლებსაც თვალწარმგაცი უძველესი ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები ამშვენებს, სურამის (3021 ფუტის სიმაღლეზე შავი ზღვიდან) მთიანეთში ჩამოვდივართ. ეს მთიანეთი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს მდ.კურას* დაბლობს, მისთვის დამახასიათებელი ცხელი ბაფხულითა და სუსხიანი ზამთრით, რიონში ჩამავალი წყლების გამო, უფრო ზომიერი რაიონიდან. რკინიგზა სწრაფად აღის მთის თხემზე, მაგრამ კიდევ უფრო სწრაფად ეშვება ქვემოთ. მთის ძირში მდებარეობს ქალაქი სურამი თავისი უმშენიერესი ციხე-სიმაგრით. ახლა ჩვენ მდ.მტკერის კალაპოტს მიუყვებით გიფლისამდე, გაეივლით მიხაილოვოს* (საიდანაც გზა ბორჯომში – ამიერკავკასიის ყველაზე ფეშენებალურ კურორტისაკენ მიემართება) და გორს, კარგა მოზრდილ ქალაქს, რომლის ახლოსაც მდებარეობს კლდეში ნაკვეთი ქალაქი – უფლისციხე. ღამის 9.30 მცხეთას მივალწვეთ, საქართველოს უძველეს დედაქალაქს და 10.15 შევდივართ გიფლისში – ათი საათის სავალზე ქუთაისიდან და 14 საათის სავალზე ბათუმიდან. ჩვენი მოგზაურობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, ვინაიდან ნახევარი საათია საჭირო, რომ სადგურიდან მიხვიდე ქალაქის ფეშენებალურ ნაწილში, სადაც სასტუმროები გახლავთ.

საუკეთესო სასტუმროებია „კაეკაზი“, „რასია“, „ლონდონი“. თუ მოგზაური ხანგრძლივად აპირებს აქ დარჩენას, მას საკმაოდ იოლად შეუძლია იშოვოს აეჯვით გაწყობილი ბინა და რესტორანში ისაძილოს (როგორცაა მაგალითად, ფრანგული რესტორანი „ეეროპა“, სასახლის მოპირდაპირე მხარეს). ყველაზე უკეთესი საშუალება ქართულ ოჯახში მოწყობაა, მაგრამ კარგი რეკომენდაციის გარეშე, ამის გაკეთება საკმაოდ ძნელია. თუმც ძროხის ხორცი 1 1/2, ხოლო ქათამი 2 პენსი ღირს, ტიფლისში მაინც ძვირია ცხოვრება. მართალია, ყველაფერი, რაც არსებობისათვის აუცილებელია – ბინის ქირისა და განსაცმლის გარდა, იაფია და ადამიანს არ სჭირდება, ალ. დიუმას მსგავსად, თმის გასაკრეჭად 3 მანეთის გადახდა, „ბედმეტი დანახარჯები“ ბევრია და თუ სტუმარი ისეთი განწყობით არ არის, რომ თავისი რუბლები უბრუნებლად და ხელგაშლით ხარჯოს, მას ჩვეული სტუმართმოყვარეობით არ მიიღებენ – ქართველს არაფერი სძულს ისე, როგორც სიძუნწე-მანკიერება, რომლისგანაც, როგორც მას სჯერა, ინგლისელი თავისუფალია.

სახელწოდება ტიფლისი წარმოდგება ცხელი სამკურნალო წყლებისაგან, რის გამოც ის ცნობილია, სულ ცოცა 14 საუკუნის მანძილზე. ქალაქს საქართველოში „თბილისს“ უწოდებენ. ფილოლოგების მტკიცებით, ეს სიტყვა წარმოდგება ფუძიდან, რომელიც ენათესავება, ან იდენტურია ინდო-ევროპული ფუძისა „tep“. მნიშვნელობა სიტყვებისა Teoplitz და Tiflis ერთი და იგივეა.

ტიფლისი V საუკუნეში დააარსა მეფე ვახტანგ გორგასლანმა. მანვე დაიწყო აქ სიონის* საკათედრო ტაძრის მშენებლობა. ეს ტაძარი დღესაც დგას ქალაქის ცენტრში, მტკვართან ახლოს. მაღალ ციყაბო კლდეზე აღმართულ ციხე-სიმაგრის მშენებლობას, რომელიც თვით ქალაქზე უფრო ადრეულ ნაგებობად მიაჩნიათ, სპარსელებს* მიაწერენ. ტიფლისი ყოველ-

თვის იყო მონაწილე იმ გამარჯვებებისა თუ უბედურებათა, რომელიც საქართველოს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე თავს დასტყდომია. ამიგომაც გიფლისის ისტორია – იგივე ქართველი ერის ისტორიაა.

ქალაქი გაშენებულია მტკვრის ორივე მხარეს 1200 ფუტის სიმაღლეზე, ციცაბო შიშველ გორაკებსა და ორ მთის ჯაჭვს შორის, რომელთა სიმაღლე 2500 ფუტია და რომელიც ქალაქს ყოველი მხრიდან გარს ერტყმის. ამგეარად, ის ძვეს ღრმა კლდოვან ნიჟარაზე და, ალბათ, ამის მიზეზია ის საშინელი სიცხეები, რაც იელისსა და აგეისტოში აქ ცხოვრებას აუტანელს ხდის. მდ.მტკვარზე რამდენიმე მშენიერი ხილია გადებული. ამათგან საუკეთესო ვორონცოვის* სახელს აგარებს. ვორონცოვა* თავისი მოღვაწეობის პერიოდში უდიდესი საქმეები აკეთა ამიერ-კავკასიისათვის და მის მმართველობაში მყოფი ყველა ხალხის დიდი მადლიერება დაიმსახურა. თბილისის მოსახლეობა 105.000. აქ ცხოვრობენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ რუსები (სამოქალაქო მოსამსახურეები და ჯარისკაცები), სომხები (ვაჭრები და მევახშეები), სპარსელები, თათრები, ცოგა ევროპელები, სახელდობრ, გერმანელები (კოლონისტები შეაბიიდან), ფრანგები (მკერაეები, სასტუმროს მეპატრონეები) და სხვა. მართალია, ინგლისელ მაცხოვრებელთა რიცხვი აქ თითზეა ჩამოსათელელი, მაინც სამწუხაროა, რომ მისი უდიდებულესობის საკონსულო 1881 წელს დაიხურა. დიდ ბრიგანეთს საქართველოში, უდაოდ, ისეთივე ინტერესები აქვს როგორც საფრანგეთს, გერმანიას, ბელგიასა და სხვა ქვეყნებს, რომელთაც გიფლისში თავისი წარმომადგენლები ჰყავთ.

ზემოქმედება, რომელსაც გიფლისი უცხოელის გონებაზე ახდენს – სრულიად უნიკალურია; მისი მდებარეობა, მისი გარემო, მისი ქუჩების სხვადასხვანაირი ნირი, მისი სოციალური ცხოვრების უბრალოება და სიხალისე – ყველაფერი ეს ერთად აღებული, ყველაზე ძლიერსა და ყველაზე დიდი სიამოვნების მომგვრელ შთაბეჭდილებას ჰქმნის. თუ მკითხველი გონებით გამოძევება, მე მას ზოგიერთ უფრო საინტერესო კვარ-

ტალში წაიყვან და შევიცდები ერთგვარი წარმოდგენა შე-
ვეუქმნა ამ ადგილების შესახებ. უპირველესად ყოელისა, და-
ვიწყოთ ყველაზე ფეშენებელური რაიონით, რომელსაც სოლო-
ლაკი* ჰქვია. მოდით, ავეყეთ კლდოვან გზას, რომელსაც ცი-
ხე-სიმაგრის ნანგრევებთან მივყავართ. აქედან ქალაქის უმშ-
ვენიერესი ხედი იშლება. საღამო საუკეთესო დროა ამ პანო-
რამით გებობისათვის; ბაფხულში არავენ იფიქრებს მზის ჩას-
ვლამდე აქ ამოსვლას. ციხე-სიმაგრის ჩამოქცეული კედლები-
დან მოჩანს სახლებისა და გაძრების წვეტიანი სახურავების
ფართო სიერცე, რომლის შუაგულში მღვრიე მტკვარი მიედინ-
ება. ქვემოთ, ჩვენს ფერხთით, ერევანსკის მოედნიდან მტკერის
სანაპიროზე მდებარე სიონის გაძრამდე, გადაშლილია ძველი
ქალაქი ვიწრო მიხეულ-მოხვეული ქუჩების ლაბირინთით. იქ-
ვე, სადაც მდინარის კალაპოტი ძალიან ვიწროვდება, მეტეხის
ციხისა (რომელიც ახლა საპატიმროდ გამოიყენება) და დიდი
აზიური კვარტლის – ავლაბრისაკენ* მიმავალი ხილია. იმ მთე-
ბის ჯაჭვზე, სადაც ჩვენ ვდგავართ, მოჩანს წმინდა მთა (მთაწ-
მინდა)*, მის თხემთან ახლოს, შიშველ ციცაბო კლდეზე, წმინ-
და დავითის ულამაზესი ეკლესიაა წამომართული. ეკლესიასა
და მდინარეს შორის თითქმის შუაგზაზე, მდებარეობს მეფის-
ნაცვლის სასახლე თავისი ვრცელი ბალებით; გოლოვინის*
პროსპექტის დასაწყისში გრძელი ხეივანია მშვენიერი მაღა-
ზიებითა და საზოგადოებრივი შენობებით; მდინარესა და ხეი-
ვანს შორის მუნიციპალური პარკია, რომელიც ალექსანდრე
I-ის სახელს ატარებს. თუ მზერას მტკერის მეორე მხარეს მი-
ვაპყრობთ, ავლაბრის გევით, მთაზე, წმ. დავითის ეკლესიის
პირდაპირ, დაინახავთ დიდი შენობების კვარტალს, რომელიც
სამხედრო საწყობებს, არსენალს წარმოადგენს. იქით ბარა-
კებია, მის ქვემოთ, უფრო შორს, მდ.მტკერის სანაპიროზე, მო-
ჩანს მიხეილის* ქუჩის მწვეანე სარკყელი, რომელიც ჩინებუ-
ლი პარკით – მუშთაილით* მთავრდება. ახლა ქედზე გადმოვ-
დივართ, ბურგს ვაქცევთ ქალაქს და მყუდრო ხევში მდებარე
ბოტანიკურ ბაღში ჩამოვდივართ – მომხიბლავ ადგილზე სა-

დამოს მოციონისათვის; ხევის მოპირდაპირე მხარეს თათრების სოფელია და მიტოვებული სასაფლაო.

ერევანსკის მოედანი საქმიანობის უდიდესი ცენტრია; აქ მდებარეობს ქარვასლა – ვრცელი ოთხკუთხა შენობა, რომელიც პეგერბურგის ქარვასლას ჰგავს, მაგრამ უფრო ღარიბულია. მოედნის იმ კუთხიდან, სადაც სასტუმრო „აქეკაზი“ მდებარეობს, მიემართება სასახლის ქუჩა, რომლის ერთი მხარე მთლიანად უჭირავს აწ გარდაცვლილი მდიდარი სომხის ბ-ნ არწრუნის ქარვასლას. მის უკან, მშვენიერ ბაღში ქართული თეატრია. ორივე, ბაღიყა და თეატრიც, ეკუთვნის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკს – დაწესებულებას, რომელიც ყველა იმ ადამიანის ყურადღებას იმსახურებს, ვინც ქართველი ერთ არის დაინტერესებული. ეს ბანკი 1874 წელს დააარსეს იმ მიზნით, რომ გლეხებს მიწის დამუშავებაში დახმარებოდნენ – სესხებს ის ყველაზე დაბალი პროცენტით გასცემს. ბანკის მთელი მოგება ფილანგროპიული გეგმების გაღრმავებისა და ეროვნული განათლების წასახალისებლად იხარჯება. ძალზე მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა სხვა რომელიმე საქმიანობას ეს გზა არჩია; ცხადზე ცხადია ასეთი არჩევანის მიზეზი – ბოლო ორი წლის მწარე გამოცდილებით მან ისწავლა, რომ, მართალია, გულუხვობა უკეთილშობილესი თვისებაა, მაგრამ მფლანგველობა და მკვეხარობა დიდად საზიანოა; ამიტომ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აკეთოს ყველაფერი, რაც კი ხელეწიფება. მეპაიეთა საზოგადოებრივი შეკრებები საშუალებას აძლევს მათ მონაწილეობა მიიღონ მსჯელობებში და სიკვითაც გამოვიდნენ. სწორედ აქ, ამ „ქართულ პარლამენტში“ (როგორც რუსებმა შეარქვეს მას), თავადმა ილია ჭავჭავაძემ დამსახურებულად მოიპოვა „ქართველი გამბეგას“ სახელი. მე ვესწრებოდი ერთ-ერთ ასეთ თაყყირილობას „ქალთა გალერეაში“ და არასოდეს დამავეწყდება შთაბეჭდილება, რომელიც ამ წარმოსადეგი გარეგნობის, თვალწარმგაც ეროვე-

ნულ განსაცემელში გამოწყობილმა მებრძოლი სულსკვეთებით აღსავსე აზიელებმა მოახდინეს: ისინი ზუსტად ისევე წარმართავენ საქმეებს, როგორც ბრიტანელი ინვესტორები იქცევიან ლონდონის „სითიში“. შეეცადეთ წარმოიდგინოთ ელისაბედის ეპოქის გმირები ქენონ სითი ჰოთელში, სადაც ისინი S.E.R-ის მიმდინარე დივიდენდებზე მსჯელობენ და მაშინ მიხვდებით, თუ მე რა გრძნობა დამეუფლა. მხოლოდ მან, ვისაც ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებით უცხოვრია, იცის, თუ რა საშინელი წყეული რამაა მევახშეთა გაერთიანება. ადგილობრივი ანდაზა ამბობს: „ერთი ბერძენი სამ ურიას მოაგყუებს, ერთი სომეხი – სამ ბერძენს ერთად ალებულს“. ქართველი კი – გულდია, პატიოსანი ადამიანი ბევრჯერ ხდება მოგყუებული ამ მხრივ დახელონებული ჰაიკის შთამომავალთა მიერ. როცა ამ უკანასკნელთა თაღლითობა ცხადზე ცხადი ხდება, თავისი სიხარბისათვის სომეხი ხშირად ჰზღავს ხოლმე მის ძარღვებში არსებული მთელი სისხლით. გიფლისში ჩემი ყოფნის დროს ერთ-ერთმა გააფთრებულმა ქართველმა თავადმა – ავალოვმა (ავალიშვილი) სახელი გაითქვა იმით, რომ რამოდენიმე ასეთი სომეხი გაანადგურა; მისმა გმირულმა საქციელმა ისე ააფორიაქა სამოგადოება, რომ თავადის სამართლებრივი დევნა მსჯელობის საგნად იქცა. ავალოვი არ ცხოვრობდა ქალაქებში, ის ქალაქგარეთ ჭალებში მხიარულად აგარებდა დროს და მის დასაპატიმრებლად კაზაკთა მთელი პოლკი იყო საჭირო. იმ დროს, როცა ხელისუფლება ბჭობდა, თავადმა მას თავაზიანი ბარათი გაუგზავნა, სადაც წერდა, რომ თუ საქმეს მის სასარგებლოდ არ გადაწყვეტდნენ, ღვთის შემწეობით, მთელ თავის დარჩენილ სიცოცხლეს ის „თავზემარილმოყრილ“ (სომეხებს წესად აქვთ ახალშობილებს თავზე მარილს მოაყრიან) იმ სომეხთა განადგურებას მოახმარდა, ვინც მას გზაზე გადაეღობებოდა; მეორე ახალგაზრდა არისტოკრატმა ციხეში სამი წელი დაჰყო იმის გამო, რომ „გვინი გაუხვრიტა“ მევახშეს, რომელიც ყველას აბუჩად იგდებდა. განჩენის სიმკაცრე დიდხანს იყო სალაპარაკო თემა. ერთმა

ქალბატონმა შემომჩიულა: „წარმოდგენიათ მშენიერი ჭაბუკი, რომელიც კრიმინალთა შორის იმყოფება თაღლითი სომეხის მოკვლისათვის!“. ეს ისე იყო ნათქვამი, თითქოს ძალი მოუკლავთ.

ცხადია, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო სომეხი ერის მიმართ. მე უდიდეს თაყვანს ვცემ მათ უღაო ლიგერატურულ და ადმინისტრაციულ ნიჭს, ენერგიას, რომლის საშუალებითაც ისინი ეწინააღმდეგებიან მათი ეროვნული სულის განადგურების ყოველგვარ მცდელობას. სომეხი, თუ ის შევახშე ან ვაჭარი არ არის – ისეთი მოქალაქეა, რომლითაც ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა; მაგრამ შევახშე, იქნება ის ებრაელი, სომეხი თუ ბრიტანელი – უსასიზღრესი ადამიანია; და, საუბედუროდ, იმ განსაკუთრებულმა ვითარებამ, რომელშიც სომეხები ცხოვრობენ მრავალი საუკუნის მანძილზე, უცილობლად აქცია მათი დიდი პროცენტი შაილოკებად*.

გზას ეაგრძელებთ და სასახლის ქუჩიდან გოლოენის* პროსპექტზე გაუღივართ. ეს ქუჩა კავკასიის ყოფილი მთავარმმართველის გოლოენის სახელს აგარებს. მარცხნივ სასახლეა – თანამედროვე სტილის მშენიერი შენობა; მარჯვნივ – კავკასიის მუზეუმი, სადაც სტუდენტი მისთვის უაღრესად საინტერესო უხვ გეოლოგიურ, ბოლოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ენტომოლოგიურ, ბოტანიკურ და არქეოლოგიურ კოლექციას აღმოაჩენს. კიბის კედელზე მოთავსებული სურათებიდან ყველაზე საინტერესოა თამარ მეფის პორტრეტი – გელათის კედლის მხატვრობის ასლი და „კოლხეთში არგონავტების ჩამოსვლა“, სადაც ყველა ფიგურა პორტრეტია. დიდი გრაფი ნიკოლოზ მიხეილის-ძე იაზონის სახით არის წარმოდგენილი. აქვეა ფოტოების დიდი კოლექცია, რომელიც მოიცავს ყველაფერ იმას, რისი ნახვაც ღირს კავკასიასა და სპარსეთში. შენობების ამავე კუთხეშია მოთავსებული საჯარო ბიბლიოთეკა, სადაც არის საქართველოს შესახებ დიდძალი ლიგერატურა და სხვადასხვა დარგთან დაკავშირებული მდიდარი მასალა. ბიბლიოთეკა მდებარეობს პროსპექტისა და ბარანოვს-

კაიას ქუჩის კუთხეში. თუ ქუჩას ბოლომდე ჩავეყვებით, მარჯვნივ, ფოსტის შენობას მიაღვებით. მის მოპირდაპირე მხარეზე ქალთა საშუალო სკოლაა. დღისით, როცა გაკვეთილები მთავრდება, მოგზაურს თუ აქ მოუხდა ჩაველა (მითუბეტეს, თუ რუსეთში არადსროს ყოფილა), გაოგნდება, როცა დაინახავს, რომ ყველა ბავშვი ერთნაირად არის ჩაცმული მიუხედავად ასაკის, სახის ფერისა და გემოვნებისა. კიდე უფრო დიდი იქნება მისი გაოცება, როცა შეიგყობს, რომ თუკი ასეთ ფორმიანს საღამოს 5 საათის შემდეგ დაინახავენ, მას მკაცრად სჯიან – მეფის განათლების მინისტრის აზრით, სკოლის მოსწავლეები – გოგონებიცა და ვალებიც დადგენილი საათის შემდეგ შინ უნდა იყვნენ და შემდეგი დღისათვის გაკვეთილებს ამზადებდნენ. სასკოლო შენობა სავალალო მდგომარეობაშია. 1000-დან 280 ბავშვი სწავლობს თბილისის თვითმმართველობის სკოლებში, ქუთაისში – მხოლოდ 250.

თუ დავუბრუნდებით გოლოვინის პროსპექტს, მარჯვნივ ჩავეუვლით კაეკასიის შტაბ-ბინას, ქალაქის საუკეთესო რესტორანს, რამოდენიმე კარგ მაღაზიას და მივადგებით ალექსანდრეს ბაღს, რომელიც ქვემოთ ეშვება მდინარის ნაპირისკენ. საღამოობით, როცა სამხედრო ორკესტრი უკრავს, ბაღის მოჩირდილული ბილიკები ხალხითაა სავსე. ბოლოს, უკიდურეს კუთხეში, თითქმის მდინარის პირას, რუსული თეატრია; თუმცა შენობა პაგარაა და მხოლოდ დროებით გამოიყენება, სანამ ახალი თეატრი დამთავრდება, ძალზე სასიამოვნოა იქ საღამოს გატარება. ამ თეატრში სემონის განმავლობაში პეტერბურგისა და მოსკოვის კარგი დასები მართავენ წარმოდგენებს და მე აქ ბევრი საუკეთესო ვარსკვლავი ვნახე. საუბედუროდ, თეატრი უპირატესობას ევროპელი მაცურებლისათვის უკვე ნაცნობ, ფრანგულ და გერმანულ პიესებს ანიჭებს. თუმცა, არც რუსულ პიესებს უგულვებელყოფენ, მე აქ ვნახე „Le Monde ou L'on s'ennuie“* დადგმა, რომელიც მოძრაობებითა და რეკვიზიტით კლასიკური "Theatre Francais" ფოტოგრაფიული რეპროდუქცია იყო, ოღონდ ერთი გამაოგნებელი ინო-

ვაცით, Bellac* პროგრამაში აღწერილი იყო როგორც abbc (sic!). თბილისის თეატრის დიდი მომხიბლაობა ღია ცის ქვეშ მდებარე მის ფოიეშია. აქ მოქმედებებს შორის უკრაინს ორკესტრი; აქვე შევიძლიათ შეიძინოთ სასმელები და მოსწიოთ.

ახალი თეატრი გოლოვინის პროსპექტზე მდებარე მშენიერი შენობაა, რომელიც ჩემს იქ ყოფნაში ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. რაც უფრო შორდები ერევანსკის მოედანს, ხეივანი ნაკლებარისტოკრატიული ხდება. ერთადერთი შენობა, რომელიც ქალაქის ამ ნაწილშია აღსანიშნავი – ეს კადეტთა კოლეჯია. თეატრის ახალი შენობის გახსნა დიდ სიახლეს შეიგანს – ქუჩის მარცხენა მხარეს განლაგებული ჭუჭყიანი ლუღხანები მალე გაუჩინარდება და რამოდენიმე წელიწადში გოლოვინის პროსპექტი ერთ-ერთი უმშვენიერესი ქუჩა იქნება მსოფლიოში. ბრწყინვალეა ამ ქუჩის მდებარეობა. ის შეიძლება ედინბურგში პრინცის ქუჩას შევადაროთ; მთაწმინდის – წმ.დავითის ულამაზესი თეთრი გაძარი ისეთივე ძეგლად ითვლება თბილისისათვის, როგორც აკროპოლისი თანამედროვე ათენისათვის. ხეივნის ბოლოს უკანასკნელი გაჩერებაა. აქედან შეგვიძლია გრამვით ისევ დაუბრუნდეთ იმ ადგილს, საიდანაც დაიწყეთ. ქალაქის ყველა მთავარი არტერია გრამვას ხაზებითაა დასერილი. ეს ხაზები ბელგიური კომპანიის მიერ არის დაპროექტებული და კარგ შემოსავალსაც იძლევა. წმ. დავითის ეკლესიას უმჯობესია ხუთშაბათს ნაშუადღევს ესტუმროთ. ამ დროს აქ წირვა მიმდინარეობს და მანდილოსნების დიდი რაოდენობა ესწრება. თუ სოლოლაკიდან გავყვებით ლაბორატორიის ქუჩას, რომელიც ხეივნის პარალელურია და ყველაზე გამორჩეული ქუჩაა თბილისში, ჩვენ მივადგებით მთაწმინდის უხეშად მოკირწყლულ ციცაბო ქუჩას, რომელსაც დაკლაკნილი ბილიკით წმ.დავითის გაძართან მივყავართ. გრადიცია გადმოგვცემს, რომ იქვე, შორიანხლოს, ცხოვრობდა მდიდარი ოჯახი, რომლის ქალიშვილმაც წმინდა მამას ბრალი დასდო მის დაფუძნებებაში. ბუნებრივია, წმინდა განდევნილმა უარყო ეს ბრალდება და როცა

ქალი წარდგა შეკრებილი ხალხის წინაშე, განდევილმა თავისი უცოდველობა იმით დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ დაუბადებულ ჩვილს გარკვევით ათქმევინა თუ ვინ იყო მისი ნამდვილი მამა. მამის წმინდა მამის ლოცვის პასუხად, ნაყოფი ქეად იქცა და ქალმა ის მაშინვე შვა. სწორედ ეს ქვა გახდა გაძრის ბალაფარი. მამა დავითმა შემდეგ ღმერთს შესთხოვა ამ ადგილზე სათავე დაედო ისეთი მაცოცხლებელი წყაროსათვის, რომელსაც ნაყოფიერების კეთილისმყოფელი ითვისება ექნებოდა. ეს ნაკადული დღესაც მოქმედებს და მის წყალს უმეტესად გათხოვილი ქალები სვამენ. ასეთ სიმალღებზე ასვლა ყველაზე უფრო თავგამოდებულ მალთუსიანელსაც კი აიძულებს სწრაფად მოიკლას წყურვილი. რამდენადაც მე ვიცი, ეს ერთადერთი წყალია თბილისში, რომელიც ვარგისია დასალევად.

ყველა მორწმუნე მანდილოსანს, რომელიც ამ წმინდა ადგილას ამოდის, თან ქვა ან აგური ამოაქვს. სწორედ ასეთი მასალით არის ნაგები გაძარი და მისი დამიანებული ადგილების შეკეთებაც ამ მასალით ხდება. არსებობს კიდევ სხვა საინგერესო ჩვეულება, რომელშიც, როგორც ქალწულები, ასევე გათხოვილი ქალებიც იღებენ მონაწილეობას: ღვთისმშობლის ხატის შემკობის შემდეგ, მთხოვნელი, უჩუმრად, კოჭის ძაფით ხელში, სამჯერ გარს შემოუვლის ეკლესიას და თანდათან ხსნის ძაფის ხვეულას, როგორც ქალწული ღვთისმშობლისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და თაყვანისცემის ნიშანს. შემდეგ მიწიდან იღებს ერთ კენჭს, რომლითაც ეკლესიის ეზოა მოფენილი, ჩამოუსვამს მას გაძრის გალესილ კედელს და გულისფანცქალით ელოდება მიიკრავს თუ არა კედელი მას. თუ კენჭი კედელმა მიიკრა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალის ვედრება შესმენილია – ქალწულს გულისსწორი ეყოლება, გათხოვილ ქალს – ვაჟი.

გაძარს თანამედროვე კონსტრუქცია აქვს, მაგრამ მისი ღიზინი მაინცადამაინც არ განსხვავდება უძველესი ბიზანტიური სტილისაგან, ასეთი გიპის გაძრებით უხვად არის მოფე-

ნილი მთელი საქართველო. ინგერიერი ისეთივეა, როგორიც ნებისმიერი ბერძნული ეკლესიისა, მის კელლებზე გამოხატული თვალწარმგაცი უცხო, მაგრამ საკმაოდ დაუმუშავებელი ფრესკებით. წირვა, რა თქმა უნდა, ქართულად სრულდება; გუნდური საგალობლები, თუმც უცნაურად ხედება უხცოვლის ყურს, მელოდიურობას არ არის მოკლებული. ტაძრის ქვემოთ ძეგლია რუსული წარწერით: „ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი, დაბადებული 1795 წლის 4 იანვარს, მოკლული 30 იანვარს 1829 წელს, თეირანში.“

შენი საქმეები და ნააზრევი არასოდეს ამოიშლება რუსი ხალხის მეხსიერებიდან, მაგრამ რატომ მოესწრო შენს სიკვდილს ჩემი სიყვარული?!” სეველიანია, მაგრამ საინგერესო გრიბოედოვის ცხოვრების ისტორია. თავისი წარმოშობით, განათლებითა და ტალანტით მას შეეფერებოდა ყოფილიყო რუსული სამოგადოების ერთ-ერთი უბრწყინვალესი წევრი, მაგრამ ის აღრე დაავადდა ეპოქის მოუსვენარი კრიტიკული სულით და 17 წლის ასაკში უკვე მოფიქრებული ჰქონდა სიუჟეტი კომედისათვის „ვაი ჭკუისაგან“. ეს ნაწარმოები მისი დროის მოდური ცხოვრების მწარე საგირას წარმოადგენს. 1812 წელს პატრიოტულმა გრძნობამ ის სამხედრო სამსახურში შეიყვანა, მაგრამ აქტიურ ბრძოლებში მონაწილეობა მას არასდროს მიუღია. თავის მოძმე ოფიცრებთან ერთად იგი ბარაკების მონოტონურ ცხოვრებას წრეგადასული მფლანგველობითა და სისულელებით ახალისებდა. ასე მაგალითად, ჩვენ ვკითხულობთ, რომ ცხენზე ამხედრებული კიბის ორ ბაქანზე აჭრილა და პირდაპირ მეჯლისზე შევარდნილა. იმასაც გადმოსცემენ, რომ პოლონურ ეკლესიაში, როცა ის ორდანზე უკრავდა, შუა წირვის დროს, კარგად ცნობილი ვულგარული კომიკური მელოდიის დაკერა დაუწყია. გრიბოედოვმა მალე უარი თქვა ასეთ უაზრო ცხოვრებაზე. 1815 წ. პეტერბურგს გაემგზავრა, მთელი ყურადღება დრამატულ ლიტერატურას მიაპყრო და რამოდენიმე წარმატებული ნაწარმოებიც შექმნა. 1818 წელს მას, საელჩოს მდივნის თანამდებობაზე თავრიზში – სპარსეთში ვხე-

დავთ. აქ ის განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა, სწავლობდა სპარსულ ენას, აქ ქვეყნის მთელ პოეტურ მემკვიდრეობას, გაეცნო და თვითონაც შექმნა „სპარსული ლირიკა“. 1823 წელს გრიბოედოვმა შეებულეების ერთი წელი თავისი ნაწარმოებების გადამუშავებას მოანდომა. მისი მიზანი იყო „ლექსი მინასავით გლუვი“ გაეხადა. ერთ ფრაზას მანამდე ხეეწდა, სანამ თვითონ არ მოეწონებოდა. იყო შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე ფრაზას 12-ჯერ გადაწერდა ხოლმე. როცა საბოლოო სახეს მისცემდა, მკაცრი ცენზორი ხელს უშლიდა მას ნაწარმოების გამოქვეყნებაში. მხოლოდ პოეტის სიკედილის მრავალი წლის შემდეგ შეძლო რუსულმა საზოგადოებამ მისი პიესის სრული ტექსტი ეხილა. კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის შემდეგ, ირანის ომმა გრიბოედოვს საშუალება მისცა გამოემქლავნებინა ისეთი სიმამაცე, რომელიც ზოგჯერ სიშმაგეში გადადიოდა. შემდეგში, მისი დახვეწილი დიპლომატიის წყალობით შეძლო რუსეთმა მოეპოვებინა მისთვის სასურველი სამშვიდობო პირობები, თუმც სპარსეთს თავისი რჩევებით ბრიტანეთის მინისტრი უწევდა დახმარებას. 1828 წელს გრიბოედოვი პეტერბურგიდან სპარსეთს გაემგზავრა ელჩის თანამდებობაზე. სპარსეთში წასვლამდე, მან მეგობრებს გაანდო თავისი მძიმე წინათგრძნობა. იგი დარწმუნებული იყო, რომ სამშობლოში ცოცხალი ვერასოდეს დაბრუნდებოდა. თბილისში მას დროებით შეუმსუბუქდა ეს წინათგრძნობა, როდესაც პოეტ თ-დ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილის – ნინო ჭავჭავაძის საზოგადოებაში აღმოჩნდა. ეს ქალბატონი, რომელსაც გრიბოედოვი „მურილიოს ჭეშმარიტ მადონას“ უწოდებდა, მალე მისი მეუღლე გახდა. ნინომ ის თავრიზამდე მიაყილა. გრიბოედოვი დაჰპირდა მეუღლეს, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდებოდა უკან. თეირანამდე არც კი იყო მისული, როცა შაჰის კარზე მისმა მგრებმა შეძლეს მის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი აემხედრებინათ, გაჩნდა საბაბიც, რამაც მათ საშუალება მისცა თავს დასხმოდნენ რუსეთის საელჩოს: სომეხმა გუსალმა, რომელმაც შეძლო

შაჰის მთავარი საჭურისის წოდებამდე ამაღლებულიყო, და ორმა ქალმა, რომელთაგან ერთი სომეხი იყო, ხოლო მეორე – გერმანელი, თავი დააღწიეს გაელენიანი მოხელის ჰარამხანას და რუსეთის ელჩს მიმართეს თხოვნით, რომ ისინი რუსეთის გერიგორიაზე დაებრუნებინათ. გრიბოედოვმა უარი უთხრა სპარსელებს ლტოლვილთა დაბრუნებაზე, იმოწმებდა რა სამშეიდობო ხელშეკრულებას, რომელიც ყველა პაგიმარს თავისუფლების უფლებას ანიჭებდა. 1829 წლის 30 იანვარს 100.000 კაცისაგან შემდგარი ბრბო ყიჟინით დაესხა თავს საელჩოს. ხმალამოწვილი გრიბოედოვი წინ წაუძღვა თავის ერთ მუჭა მხედრებს და მაშინვე იქნა განადგურებული. საელჩოს ერთადერთმა წარმომადგენელმა შეძლო თავი დაეღწია ამ სასაკლავოსათვის. გრიბოედოვის სერვილი იყო საქართველოში დამარხულიყო. შერჩეულ იქნა რომანტიკული ადგილი, რომელიც მას ასე ძალიან უყვარდა. მშვენიერი ნინო თავისი ქმრის ხსოვნის ერთგული დარჩა და 28 წლის მანძილზე გლოვობდა საყვარელ მეუღლეს, გლოვობდა მანამ, სანამ ისიც მისი საფლავის მოზიარედ ხვეულა ბილიკით ზემოთ არ აასვენეს.

დიდებულია ხედი, რომელიც ეკლესიის შემოგარენიდან იშლება. შენს ფერხთაა მთელი ქალაქი ფორმისა და ფერის თავისი გასაოცარი კონტრასტებით. შორს, მარჯვნივ მოჩანს კახეთის გზა და მარცხნივ, ვლადიკავკაზისაკენ მიმავალი გზაკეცილი, რომელიც მდ.მტკვარს მიჰყვება. საღამოობით ჩვენ ხშირად ავდიოდით მოშიშვლებულ პლაგოზე, ეკლესიის ახლოს, მიგვექონდა ღოქით ღვინო, შემწვარი ცხვრის ბარკალი, ხილი, კიკრი და სხვა დელიკატესები, მიწაზე ვშლიდით წამოსასხამებს, წამოვწებოდით, ვმღეროდით, ვმხიარულობდით და განთიადამდე უამრავ ამბავს ვყვებოდით. ძირს ქალაქის მოციმციმე შუქი ვარსკვლავების ანარეკლს ჰგავდა და მხიარული მღერა-სიცილი ქვემოდან რომ მოისმოდა, ჩვენს სიმღერასა და სიცილს უერთდებოდა.

.მთიდან ჩამოსულები „კავკაზის“ გამომცემლობასთან (ოფიციალური ორგანო) გადავკეცეთ ხეივანს, გვერდს ვუვლით ალ-

ექსანდრეს ბაღს და ქალაქის უმშვენიერეს ვორონცოვის ხიდზე გაედევართ. აქედან მოჩანს სანაპიროსთან მდებარე აზიური კვარტალი; სახლების უმრავლესობას აქვს აივნები, რომლებიც პირდაპირ მდინარეზეა გადმოკიდული და ძალაუნებურად გაგონებს ტიბრის ნაპირებს რომში. ხიდის მეორე მხარეს მომცრო მოედანზე 1844-54 წწ კავკასიის მთავარმმართველის თავად ვორონცოვის ქანდაკება დგას. ჩემი იქ ყოფნის დროს, ერთ მშვენიერ დღით, იმ კუთხის მცხოვრებლები გაოცებულნი დარჩნენ, როცა დაინახეს, რომ პრინცს თავზე მაღალი, კარგა მაგრად ნახმარი ცხვრის ბეწვის ბოხოსი ჰქონდა ჩამოფხაგული, სწორედ ისეთი, როგორსაც ლეკები აგარებენ. ეფექტი უაღრესად სასაცილო იყო და მხიარულების მომწყობ ახალგაზრდებს, რომლებიც კისრის მოგებვის საშიშროების საკმარისკის წინაშე იდგნენ, ყველა გამელელი სიცილით აჯილდოვებდა — ქართველები ძალზე მხიარული ხალხია. თუ მარჯვნივ მოუხვევთ, სოლოლაკისაგან ძალზე განსხვავებულ კვარტალს — პესკებს მიაღვებით. აქ დაინახავთ წინა მხრიდან გახსნილ პაგარა აღმოსავლურ სავაჭროებს, სადაც შავგერემანი სპარსელები თავის ნახელაფს — იარაღს, ცხენის მოკაზმულობას, საიუველირო ნაწარმს ასაღებენ: ყიდიან ხალიჩებს და მნახველის თვალწინ, პირდაპირ ღია ცისქვეშ, ათასგვარ რამეს აკეთებენ; აქ ენებისა და ტანსაცმლის გასაოცარ აღრევას შეხვდებით: ერთმანეთის გვერდ-გვერდით ნახავთ პაგარა მოსწავლე გოგონას და ჩადრიან მუსულმან ქალს, დროგამოშვებით — ფორმიან რუს ოფიცერს, რომელიც მუჯალუგუნებით მიიკვლევს გზას ქართველების, ლეკების, სომხების, სპარსელების ბრბოში, გრამვაი ასეთ არეულობაში დადის, მაგრამ არც ჩვენ ვართ ცივილიზაციის მიღმა, რადგან გარდა გრამვაის ხაზისა, აფიშების აბრაზე, სადაც გამოსახულია პირამდე სავსე ლუდის კათხა, ეხედავთ გრაფიურას „გერმანული ლუდი“.

ვიწრო ხილით აბანოებს ვეწვევით. ალბათ, მკითხველმა რაღაც იცის ეგრეთწოდებული თურქული აბანოს შესახებ და ჰგონია, რომ თბილისის აბანოებიც ისეთივეა. მართალია, მათ

შორის საერთო მსგაესება არსებობს, მაგრამ ეს აბანოები ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დამოკიდებულება, რომელსაც სტუმარი კონსტანტინოპოლის თურქულ აბანოში ხვდება, არ შეიძლება შევადაროთ იმას, რასაც გიფლისში სპარსელი მექისე ასრულებს. ეს უკანასკნელი შენთან ერთად ატარებს გიმნასტიკის მთელ კურსს, რომლის დროსაც დახტის შენს გულ-მკერდზე, წელზე, გვრიხავს და ისე გატრიანებს თითქოს შესაწავი ქათამი იყო. გარდა იმისა, რომ საგულდაგულოდ გაცლის კანის ყველა ნაწილს, იგი ატარებს სხვადასხვა ექსპერიმენტს, რასაც ახალმოსული გაოგნებული მიშტერებია. ყოველივე ამის შემდეგ, ისეთ დასკვნამდე მიდიხარ, რომ ეს პროცედურა არც თუ ისეთი საშინელია, როგორც ეს დასაწყისში გეგონა. ახლა შენ ისეთ არაჩვეულებრივ სიმსუბუქეს გრძნობ, რომ მალე აპირებ ისევ უკან დაბრუნებას. წყლის სიმხურვალე დაახლოებით 100° ფარენჰეიტი. იგი გაჯერებულია გოგირდითა და სხვადასხვა ნივთიერებით. ეს კი მას სამკურნალო თვისებებს ანიჭებს. თავის არსებობას თბილისი სწორედ ამ წყაროებს უნდა უმაღლოდეს. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წინათ, არისტოკრატი ქალბატონები მთელი ღლით ქირობდნენ აბანოებსა და სილამაზის სალონებს. ისინი აქ სხეულს სურნელოვანი ზეთებით იბელდნენ, ილამაზებდნენ თმასა და ფრჩხილებს, იგარებდნენ ტუალეტის ათასგვარ ცერემონიას და აქვე სადილობდნენ, მაგრამ ევროპული ცხოვრების წესის მომძლავრებამ, ეს წეს-ჩვეულება საგრძნობლად შეასუსტა.

სიონის საკათედრო ტაძარი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეთივე ძველია, როგორც თვით ქალაქი, მაგრამ ტაძარი, უდაოდ, მნიშვნელოვნად დაზიანდა, როგორც მის დამანგრეველთა, ასევე მის აღმდგენელთა ხელით. მისი სტილი ისეთივეა, როგორიც სხვა ქართული ტაძრებისა; უმეგესისათვის ის უეჭველად, ერთგვარ მოდელს წარმოადგენდა. ტაძრის ინტერიე-

რი თანამედროვე გემოვნებით არის გაფორმებული და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმც ვისაც ევროპის საკათედრო ტაძრები უნახავს, იგი მცირედ მოეჩვენება. საკურთხეელის წინ ასვენია წმინდის ჯვარი – წმ. ნინოს თმით შეკრული ვაზის ორი რგო; ეს ჯვარი ყოველთვის იყო და არის უწმინდესი რელიკია საქართველოში.

აქვეა ალექსანდრე I-ის მიერ დანიშნული კავკასიის ყოფილი მთავარმმართველის თავად ციციშვილის უბრალო საფლავი. თავადი, მისი ბრწყინვალე კარიერის შემდეგ ქაბაქოს გალავნის მიღმა მუხანათურად მოაკვლევინა ამ ქალაქის ვერაგმა ხანმა. საკათედრო ტაძრიდან გზა გადის ე.წ. სომხურ ბაზარზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილია ქალაქში. აქ შეგიძლიათ იყიდოთ ძველი იარაღი, ჯაჭვის პერანგი, მუზარადები და ფარები (რომელთაც მაღლა მთაში ჯერ კიდევ იყენებენ ხევსურები), ვერცხლის სამკაულები და ბევრი სხვა საინტერესო წვრილმანი, მაგრამ დიდად ფასეულს ვერაფერს გთავაზობენ. სამკაულები, ახალციხის ფილიგრანული ნამუშევრების გარდა (რომელთა შოვნა ძალიან ძნელია და ძვირიც ღირს), მაინცა და მაინც კარგი არ არის.

ცარევიჩის დაბადების დღეს, როცა საკათედრო ტაძარში დიდ წირვაზე დასასწრებლად ფეხით წავედი, ისეთი შემთხვევის მოწმე გახდი, რაც რუსული პოლიტიკის დესპოტური ქმედების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს: თეთრ ფორმამში გამოწყობილი თავით ფეხებამდე შეიარაღებული ზორბა გოროდოვოი აიძულებდა აზიური ღუქნების მეპატრონეებს, თვითმპყრობლის ეაქისადმი პატივისცემის ნიშნად, თავიანთი საეაჭროები დაეხურათ. მე გამახსენდა, რომ ერთი თვის წინ თურქი ჯარისკაცები ისეთივე ქმედებას სჩადიოდნენ იერუსალიმში, როცა წმინდა ქალაქში ნეაპოლის პრინცი ჩავიდა. მართალია, თურქებმა ერთი ნაბიჯით წინ გაუსწრეს მოსკოველებს იმით, რომ ხალხი მთავარი ქუჩიდან გარეკეს, გზა გადაკეცეს და სწლამომდე შინ არ გაუშვეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე აზრი იყო ჩადებული.

ამ მიდამოებში ცხოვრობს საუკეთესო თბილისელი განსაცმლის მკერავი და მე დიდი პატივი მქონდა, რომ სწორედ მას შეეკერა ჩემთვის ქართული ეროვნული განსაცმელი, რომელიც ხელთათმანივით მომერგო. თუმც თბილისში ევროპულ განსაცმელს უამრავი ხალხი აგარებს, უნდა ეთქვა, რომ სოფლებში ის თითქმის არც იციან. მე აღმოვაჩინე, რომ კავკასიაში სამოგზაუროდ არაფერია ამ განსაცმელზე უკეთესი – ის უძლებს გაუფრთხილებელ ყოველდღიურ ხმარებას და ყოველთვის დარბაისლურად გამოიყურები.

მუშთაიდი უმშვენიერესი სასეირნო ადგილია. ის მღებარეობს ქალაქის დასავლეთ ბოლოში. მასთან შეიძლება მიხვიდეთ პირდაპირი, გრძელი მიხეილის ქუჩით, რომლის ორივე მხარე ბაღებით არის დამშვენებული. ქალაქის რამდენიმე რესტორანი ვაზით მოჩრდილულ ამ ბაღებშია მოთავსებული. ერთ-ერთ ბაღში სპეციალურად არის გამოყოფილი მოედანი ჭიდაობისთვის. მე წილად მხედა ბედნიერება დაესწრებოდი ცნობილ შერკინებას, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კახეთის ჩემპიონი გრდანიელი და ამ საქმეში კარგად დახელოვნებული იმერელი მოჭიდავე. წარმოდგენა უაღრესად საინტერესო იყო და სასიხარულო, მით უფრო, რომ მთელი შემოსავალი მოხმარდებოდა ახალგაზრდას, რომელსაც პეტერბურგში სურდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ საჭირო სახსრები არ გააჩნდა; მოედნის გარშემო, შიდა წრეში, მიწაზე ფეხმორთხმულნი ისხდნენ ოფიცრები და თავადები, მათ უკან, მოლოდინით სუნთქვაშეკრული, ათასზე მეტი მაყურებელი იჯდა იარუსებად, პრიმიტიული ორკესტრი, რომელიც დოლისა და ბურნისაგან (ინსტრუმენტი, რომელიც გუდასკვირივით ეღერს), შედგება, საბრძოლო მელიოდის უკრავდა. მის ხმაზე, ხალხის ყვირისა და ტაშის გრიალში, მოჭიდავენი თითქოს ცეკვავენ არენის გარშემო. ორივე ბრწყინვალე ახალგაზრდა იყო, მაგრამ გრდანიელმა, ნამდვილმა ჰერკულესმა, საოცრად მიმბიდველი გარეგნობის ვაჟაკმა, გაამართლა ხალხის რჩეულის – დაუმარცხებლის რეპუტაცია თავის დასავლელ მოწინააღმ-



A GEORGIAN WRESTLER.

დეგებე უმოკლეს დროში გამარჯვებით. ბრძოლის ყოველი ილეთი იქ მყოფთა ხმამაღალ, გამამხნეველ ქება-დიდებას იწვევდა. ეს შეძახილები თითქმის ერთი მილის მანძილზე გაისმოდა. ორ საუკეთესო კლუბს – „კრუეოკს“ (ვერის ხიდთან) და „ქართულ კლუბს“ (ვორონცოვის ხიდთან) საზაფხულო რეზიდენცია აქვს პიხეილის ქუჩაზე, სანაპიროსთან; ორივეს აქვს საკონცერტო დარბაზი მიძღვებარე ბაღით. აქ, გაშის აკომპანიმენტით, შეგიძლიათ ნახოთ საყოველთაოდ ცნობილი ცეკვა, რომელსაც „ლემზინკას“ უძახიან. როგორც ქალთა, ისევე მამაკაცთა კოსტუმები მდიდრულია და თვალწარმტაცია. აქ, ქართველის გარდა, შეხვდებით ყველა ეროვნების ადამიანს: პოლიტიკურ ემიგრანტებს პოლონეთიდან, რუს ოფიცრებს და ოფიციალურ პირებს, გერმანელ პროფესორებსა და ბევრ სხვა ერის წარმომადგენელს. მთელი იარაღი შესასვლელში უნდა დაგოვოთ.

ქართული მუსიკა სრულებით არ ჰგავს ჩვენსას, იგი ეხამუშება ევროპელის ყურს როგორც ხმაურიანი, უწესრიგო, არაკეთილხმოვანი, უდაოდ არასასიამოვნო, მაგრამ როცა ადამიანი ყურს მიაჩვევს, იგი ძალზე სასიამოვნო მოსასმენია. სანამ მრავალ ეროვნულ მელიოდიას მოვისმენდი, დიდად გოცუბული ვიყავი, როცა ერთმა დიდად დახვეწილმა ქალბატონმა მითხრა, რომ მას „ქართული კლუბი“ ერჩინა „კრუეოკს“ იმის გამო, რომ იქ აღმოსავლურ მუსიკას ასრულებდნენ; მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ეს მოწონება შემთხვევითი არ იყო, ეს ხომ მისი ქვეყნის მუსიკა იყო. დანართში მე შევიგანე ჩემს მიერ ჩაწერილი რამოდენიმე მელიოდია, რომელიც ეფიქრობ, არ გააღიზიანებს ინგლისელის ყურს.

ქართველი ქალების მშვენიერება სადაო გახდა ზოგიერთი მოგზაურისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც უკიდურესად შეზღუდულად იცნობენ ქართველ ხალხს. ამ კრიტიკოსთა საყვარელი გამონათქვამი გამოხატულია სტერეოტიპულ ფრაზაში: „უდაოდ მშვენიერი ნაკვთები, მაგრამ აკლიათ სიცოცხლის ნაპერწკალი“.

ალექსანდრე დიუმა, მამამ; უთუოდ იცნო მშვენიერი სახე, როცა ის დაინახა. აი, რას ამბობს დიუმა: “La Grèce c’est Galatée encove malbre; la Géorgie cést Galatéc devenue femine” *

მუშგაიდი არის ბალი, რომელიც მთელ თავის მშვენიერებას ბუნებას უნდა უმაღლოდეს; ბილიკები და ღია სივრცეები აქ რუდუნებით არის მოვლილი, მთელი მისი გერიგორია დაფარულია გყით, რომლის განმარტოებულ ადგილებში არაეინ შეგაწუხებთ. შეგიპლიათ საათობით იწვეთ, თვალი მტკერის მღვრიე წყალს ადევნოთ და თქვენს გარშემო მოჩურჩულე ფოთლებს უსმინოთ. ყოველ საღამოს ქალაქის პროსპექტი სავსეა ეგლებითა და ცხენოსნებით; მშვენიერი სახეები, დახვეწილი ჩაცმულობა, მოხდენილი ფორმები – ყველაფერი ეს ერთად შერწყმული – მომხიბლავ სანახაობას ქმნის. დროგამოშვებით ეწყობა საოცარი ბამრობები, სადაც სტუმარი მონაწილე ხდება ყველა საზოგადოებრივი დღესასწაულისა, ფულს ლაგარიებში სარჯავს, ყიდულობს ისეთ რამეებს, რაც მას სრულებით არ სჭირდება – ერთი სიგყვით, ისეთ სიამოვნებას იღებს, თითქოს საკუთარ სახლში იყოს; მაგრამ მეექვება ბამრის ხშირ სტუმრებს ინგლისში ოდესმე ენახოთ ისეთი აკრობატული ხელოვნება, როგორიც შარშან გაფხულს მუშგაიდში იყო წარმოდგენილი. რეიგუმბებში გამოწყობილი პიროვნება კისრით ჩამოეკიდა მაყურებლის თავს გემოთ დახრილად გაჭიმული მავთულის ზედა ბოლოს და მიზანში ექვსი მუსტი სროლით ელვის სისწრაფით ჩამოსრილდა ქვემოთ; კვირა ისე არ ჩაივლის, რომ რაღაც სახალხო ზეიმი არ ეწყობოდეს, რადგან ქართველები ისეთივე მოყვარულნი არიან მხიარულები-სა, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ერი.

გემოთ აღწერილი მოკლე მიმოხილვით მკითხველი მიხვდება, რომ თბილისი ისეთი ქალაქია, სადაც ადამიანმა შეიძლება იცხოვროს ისე, რომ სევედა არ განჯაედეს, თუმცა ქალაქის შემოგარენი გახრიოკებული ჩანს, მაგრამ რამოდენიმე მილის იქით ბევრი მშვენიერი ადგილია. ქალაქის ჰავას ზოგი მწერალი ძალიან აძაგებს და, მართლაც, უნდა ითქვას,

რომ ივლისსა და აგვისტოში აქ აუტანელი სიცხეები იყის, მაგრამ ჩემის აზრით, თბილისი ძალიან ჯანმრთელი ქალაქია. მას შემდეგ, რაც ოთხმოცდაათი წლის წინათ, აქ შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა, თბილისში ეპიდემია აღარ განმეორებულა. თუმც ყოველწლიურად ციებ-ცხელებისა და დიზინტერიისაგან აქ საკმაოდ ბევრი ხალხი იხოცება. მსხვერპლი ქალაქის იმ რაიონების წარმომადგენლები არიან, ვინც გაფობში ცხოვრობს და, სადაც ევროპელი არასოდეს იცხოვრებს. იქაური პირობები კიდევ რომ აიგანოს, თბილ ამინდებში აქ ხშირია გრიგალი და ჭექა-ქუსილი, რაც გროპიკულ ზონასთან ახლო მდებარე დიდი მთიანეთის რეგიონისათვის არის დამახასიათებელი. კოკისპირული წვიმის დროს დამრეცი ქუჩები ნიაღვრის აქაფებულ ნაკადებად იქცევიან. მთებს შორის მდებარეობა ქალაქს მძაფრი ქარების შემოტყევისაგან იცავს იმ დროს, როცა ეს ქარები აღმოსაელეთით მდებარე დაბლობს სრულიად დაუსახლებელს ხდის. კოკისპირულ წვიმებს იშვიათად მოაქვს სერიოზული ზარალი, თუ არ ჩავთვლით ჩალეწილ ფანჯრის მინებსა და დატბორილ სახლებს.

ქალაქს წინათ მტკვარი ამარაგებდა წყლით, რომელიც მცხოვრებლებს ტიკებით მიეწოდებოდა. ამჟამად წმ. დავითის ეკლესიის ქვემოთ გათხარეს ჭა, საიდანაც მდინარის მარჯვენა ნაპირის მცხოვრებლები სასმელ წყალს მიიღებენ. მართალია ეს წყალი მაინცდამაინც სუფთა არ არის, მაგრამ ის არც თბილია, არც მძიმე და არც მღვრიე.

საქართველოს სამხედრო გზა ტიფლისსა და ვლადიკავკაზს შორის

როლი, რომელიც მდინარეებმა ითამაშეს ცივილიზაციის ისტორიაში კარგად ჩანს ამ გზის მიხედვით. არაგემა, რომელიც გუდაურიდან სამხრეთით მოედინება და თერგმა, რომელიც, პირიქით, ჩრდილოეთისაკენ მიდის, შექმნეს გზა, რომლის საშუალებითაც ევროპაში ურიცხვმა აზიელმა შეადწია. ამ ორ მდინარეს შორის მანძილი ათი მილია. იქმნება უზარმაზარი, მაგრამ არა გადაულახავი ბარიერი, რომლის ფაქტიური დაძლევა ჩვენს დრომდე ვერ მოხერხდა. მხოლოდ გენერალმა ერმოლოვმა შეძლო ამ გზის წარმატებით გამოყენება ყველა სახეობის ჯარისათვის 1824 წელს. პოეტ პუშკინის „ერზერუმში მოგზაურობიდან“ (1829) ვგებულობთ, რომ მაშინ ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. მოგზაურს სიარული უხდებოდა ხუთასკაციანი ჯარის ნაწილისა და ქვემეხის თანხლებით – ის მთიელების შიშით ჩამორჩენას ვერ ბედავდა, სანოვაგე და ღამის გასათევი ძნელი საშოვი იყო, გზები გაუვალი ეტლებისათვის, რომელთა სიჩქარე დღეში ათ მილს შეადგენდა მხოლოდ. როცა პუშკინისა და ლერმონტოვის („ჩვენი დროის გმირი“) შეფასებებს ვკითხულობთ, შეგვიძლია ვკითხოთ საკუთარ თავს: „როგორი უნდა ყოფილიყო ეს გზა ერმოლოვამდე?!“

ყასი მულასა და შამილთან ომების დროს აუცილებელი გახდა გზების გაუმჯობესება და, ბოლოს, დაახლოებით 25 წლის წინათ, გზის მშენებლობა დამთავრდა თავად ბარიაგინსკის მმართველობის პერიოდში. ახლა ის ერთ-ერთი უმშვენიერესი გზაა მსოფლიოში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ის ყველაზე მაღლა მდებარეობს – სიმფლონი 6,147 ფუტზეა ზღვის დონიდან იმ დროს, როცა დარიალი თითქმის 2.000 ფუტით მაღალია. მანძილი ტიფლისიდან ვლადიკავკაზამდე მთლიანობაში 126 მილს მოიცავს და მისი დაფარვა, თუ მშვიდად ივლით, 20 საათზე ნაკლებ დროში შეიძლება, ზაფხულო-

ბით, სადგურებზე 1.150 ცხენი ჰყავთ მზადყოფნაში, მამთარში ცხენების რიცხვი 300-ით მცირდება. ორი საფოსტო დილიკანსი ყოველდღე გამოდის ბოლო სადგურებიდან, მაგრამ, ვინაიდან ისინი ღამითაც დადიან, მგზავრები მოკლებული არიან თვალწარმგაც სანახაობას. გარდა ამისა, ძალიან ძნელია ეკიპაჟში ღია ადგილას მოხვედრა, თუ ბილეთი წინასწარ, დიდი ხნით აღრე არ შეუკვეთე. ბევრად უკეთესია „ტროიკით“ იმოგზაუროთ. ასეთ შემთხვევაში, თქვენ თავისუფალი ხაროთ – სადაც გინდათ და რამდენ ხანსაც გინდათ, იმდენ ხანს გაჩერდებით რომ გზის მიმდებარე არე-მარე დაათვალიეროთ.

დაახლოებით ივნისის შუა რიცხვებში, წინასწარ მივიღე რა სრულიად რუსეთის თვითმპყრობლის – ალექსანდრ ალექსანდროვიჩის მეტად შთამაგონებელი დოკუმენტი, რომელიც ყველა ფოსტის უფროსს უბრძანებდა მოთხოვნისთანავე დავეკმაყოფილებინე საფოსტო ცხენებით, რუსი მეგობრის თანხლებით ყინულოვან კავკასიაში მოგზაურობას შევეუდექი. „ტროიკა“ შეკვეთილი იყო დილის 4 საათისათვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ექვსის ნახევრამდე არ გამოჩნდა. მათთვის, ვინც რუსეთში არასოდეს ყოფილა, მინდა ვთქვა, რომ „ტროიკა“ – ეს არის სამი ცხენი, რომელიც შებმულია უნიკალური კონსტრუქციის ეტლში, რომელსაც „ტელეჟკა“ ეწოდება. ამ ეტლის ფორმა ლუდის კასრის გრძლივ ჭრილს წააგავს. ის საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ შიგ ჩვეულებრივი სამოგზაურო მანდუკი მოთავსდეს; დამზადებულია ხისაგან, არა აქვს არც გვერდები და არც ამორტიზატორი; სკამი გაკეთებულია მოძრავი თოკებით, რომელიც რკინის რგოლებშია გაყრილი. ამ სკამზე ან ბალიში უნდა დადოთ, ან წამოსასხამი დააფინოთ. „ტელეჟკა“ უცილობელი დაშლის უკანასკნელ სტადიაშია. მეეტლე მის უკიდურეს წინა ნაწილში მის. ეტლის ლილეები იმ ზომის არის, რომ სირბილის დროს ცხენებმა ფლოქვებით ძირი არ გააგდებინოს. შუათანა ცხენს თავი ხის ჩარჩოში აქვს მოქცეული. მეეტლე მთელი გზა ან ძილშია, ან მთვრალია, ან ორივე ერთად, მაგრამ ხელს არასდროს უშვებს სადავეებს და ცხენებს

დროგამოშვებით მექანიკურად გადაჰკრავს ხოლმე მათრახს. ის მხოლოდ მაშინ იღვიძებს, როცა მოფამფალეებული ხილია გასაველელი; მიუხედავად წარწერისა – „ნელი სვლა“, ჯერ პირჯვარს გადაიწერს, სულს წმინდანებს შეავედრებს და მერე მოჭრიალე ხილზე ცხენებს გამალებით გააქანებს.

როდესაც გრუსუნ-გრუსუნით ჩამოვედით ციცაბო კლდოვან ქუჩაზე, რომელსაც ხეივნისაკენ მივყავართ, აქეთ-იქით ყურების დრო არც კი მქონდა – მთელი ყურადღება იქით უნდა მიმეპართა, რომ ეგლიდან არ გადმოვევარდნილიყავი – ნჯღრევა აუტანელი იყო. ამასობაში ქალაქის გარეუბანში შესვლამდე გზა ბევრად უფრო გლუვი გახდა. მეეგლე ძირს ჩამოვიდა, შუათანა ცხენის თავზე მიმაგრებულ ზარს ენა გაუხსნა და ჩვენ საათში 10 მილის სიჩქარით წკრიალ-წკრიალით მხიარულად გაეუდექით გზას. ქალაქგარეთ, იმ ადგილზე, სადაც აწ განსვენებული რუსეთის მეფის ეგლი გადაბრუნდა (თუმც მეფე არ დაშავებულა), ჯვრის ფორმის მემორიალია აღმართული. „საქართველოს ბალების“ გავლით, იქ, სადაც თბილისის მაღალი საზოგადოება ხშირად სადილობს, მდინარის პირას ვაზის ფანჩატურებში, ჩვენ გადავდივართ მტკვრის მნიშვნელოვან შენაკად-ვერეზე და აღმოვჩნდებით დაბლობზე, რომელიც მრავალი მილის მანძილზე იშლება დასაველეთით.

მტკვრის მეორე მხარეზე ვხედავთ მუშტაიდს, ცოცხა მშორებით მოჩანს ლამაზი გერმანული დასახლება ალექსანდერსდორფი* თავისი ალვისხეებიანი ხეივნებით, კოპწია სახლებითა და მოკრძალებული პაგარა ქათქათა ეკლესიით. ყველა გერმანული დასახლება კავკასიაში ზუსტად ჰგავს ერთმანეთს – ისინი არაფრით არ განსხვავდებიან მათი მშობლიური სოფლებისაგან. კოლონისტები სრულიად უგულვებელყოფენ ხალხს იმ ქვეყნისას, სადაც ჩასახლდნენ, თუმც მათ ძალიან კომფორტულად მოიწყვეს აქ ცხოვრება. იზოლირებული მდგომარეობა და ყოველგვარი ევროპულისაგან შორს დგომა მათ ცხოვრებას ძალზე შეზღუდულსა და უსიხარულოს ჰხდის. ამ კოლონიათაგან ზოგი იმ მიზნით შექმნეს, რომ მკვიდრი გლე-

ხობისათვის მეურნეობისა და ფერმის მოწყობის კარგი მაგალითი მიეცათ, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი მიზანი ვერ იქნა მიღწეული – ტევტონებს აქ ინდიფერენტულად და, ზოგჯერ, არაკეთილმოსურნეობითაც კი უყურებენ.

მალლა მთაში, დასახლების უკან, დგას წმ. ანგონის თეთრი მონასტერი – საყვარელი ადგილი პიკნიკებისათვის. ჩვენი გზის მარჯენივ კლდეში უამრავი ხერელია, რომლებიც, სხვადასხვა ვარაუდით, გამოქვაბულებს წარმოადგენენ და ადამიანთა საცხოვრებლად გამოიყენებოდა (როგორც უფლისციხე). აქვეა კლდოვანი სარკოფაგები, ადგილები, რომლებიც ომიანობის დროს თავშესაფარი და საწყობი იყო და, მრავალი სხვა. ჩვენს წინ მოჩანს მიხეუულ-მოხვეული გზა, რომელიც მთებში ჩრდილეთისაკენ მიემართება. გრანსკაეკასიის რკინიგზისა და მტკერის გადაკვეთის შემდეგ, ჩამოვდივართ მცხეთის ფოსტის შენობაში, რომელიც შორს არ არის იმავე სახელწოდების სოფლიდან. თუ აქაურ გრადიციებს ვერწმუნებით, მცხეთა ერთ-ერთი უძველესი ქალაქია დედამიწის ბურგზე. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ის პატრიარქ ნოეს შვილიშვილს დაუარსებია. დე, იყოს ისე როგორც ამბობენ, მაგრამ ერთი რამ კია – არსებობს უცყუარი ნიშნები იმისა, რომ აქ შორეულ წარსულში ბერძნული ან რომაული ქალაქი არსებობდა. საერთოდ, უძველესი ხანის ისტორიკოსები ერთ მოსაზრებაზე დგანან – ისინი მცხეთას აიგივებენ რომაელთა აკროსტოპოლისტთან, პომპეუსის შტაბ-ბინასთან, რომელიც მან დააარსა მითრიდატეს დამარცხებისა და იბერიისა და ალბანეთის დამორჩილების შემდეგ. ამაზე უკეთესი ადგილი არ შეიძლება და შეერჩიათ. მისი მდებარეობა არაგვისა და მტკერის შესართავთან ქვეყნის ორ უდიდეს გზას აკონტროლებდა და მას ამიერკავკასიის გასაღებად აქცევდა.

მცხეთა, საქართველოს უძველესი დედაქალაქი, ამ ქვეყნის მაგიანეს მიხედვით, ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი იყო; ამჟამად ის ერთი გაუბედურებული სოფელია რამოდენიმე ასეული მცხოვრებით. სწორედ აქ ქადაგებდა წმინიო

ერის მოსაქცევად. ჩვენ შემოგთავაზებთ იმ ლეგენდების მოკლე მიმოხილვას, რომლებიც ამ აპბაეთან არის დაკავშირებული. გრადიკია გადმოგვცემს, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაბამს მცხეთაში ცხოვრობდა მდიდარი ებრაელი სახელად ელიზარი*, რომელიც საქმეზე ხშირად მოგზაურობდა იერუსალიმში. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, მან მოიპოვა უფლის კეარტი, რომელიც მან სამშობლოში საჩუქრად წამოუღო თავის ქალიშვილს. გოგონა, რომელიც ძვირფას საჩუქარს ელოდა მამისაგან, მის შესახედრად გამოიქცა და როცა კეარტი დაინახა გაბრაზებულმა ხელიდან გამოსგაცა ძვირფასი რელიკვია, რომლის ფასიც მან არც კი იცოდა; როცა ის უსულოდ დაეცა მიწაზე, ხელში ისე მაგრად ჰქონდა კეარტი ჩაბღუჯული, რომ ვერაფრითარმა ძალამ ვერ შეძლო მისი გამოერთმევა. იძულებულნი იყვნენ გოგონა კეართიანად დაემარხათ. მალე მის საფლავზე ამოვიდა კედარი, რომლის ქერქიდან წვეთ-წვეთად სნეულთა განმკურნებელი სურნელოვანი მირონი მოედინებოდა.

ახლა გიამბობთ, რომ წმინო, სამი საუკუნის შემდეგ, ე.ი. ჩვ.წ.ად. III საუკუნეში დაიბადა კაპადოკიაში. როცა 12 წლისა შეიქნა, მისი მშობლები იერუსალიმში გადავიდნენ და თავისი ცხოვრება ღვთის მსახურებას მიუძღვნეს. გოგონა დაუგოვეს ერთ ღვთისმოსავ მანდილოსანს, რომელმაც ნინოს საღმრთო წერილის კითხვა ასწავლა. ნინო ძალიან წუხდა და სურდა გაეგო, თუ რა ბედი ეწია ქრისტეს კეართს, ამიგომ თავის მასწავლებელს სთხოვა: „გვედრები, მითხარი, სად ინახება უფლის ძის მიწიერი წამოსასხამი“. ამაზე მოკრძალებულმა ბანოვანმა უპასუხა, რომ ის წადებულ იქნა იქიდან შორს, ჩრდილოეთით, ქვეყანაში, რომელსაც ივერია ჰქვია და რომ ის დამარხულია ქალაქ მცხეთაში. ერთხელ ღამით, გოგონას სიმშრად კურთხეული ქალწული გამოეცხადა და უთხრა: „წადი, ივერიის მიწაზე ჩვენი უფლის სახარება იქადაგე და ჯილდოს ელოდე მისგან. მე ვიქნები შენი მეგზური და მფარველი“. ამ სიგყვებით მან ნინოს ვაზის ტოტების ჯვარი გადას-



SAINT NINA.

ცა. როცა ნინომ თვალი გაახილა, დაინახა, რომ ხელში გასა-
ოცარი ჯვარი უჭირავს, სიხარულის ცრემლები წასკდა, მოკ-
რძალებით ემთხვია წმინდა ნობათს და ვაზის გოგები თავი-
სი საკუთარი თმით შეკრა. ეს ჯიქარი ყოველთვის იყო სა-
ქართველოს უსაფრთხოების საწინდარი. ის დღემდე ინახება
ტიფლისში სიონის საკათედრო ტაძარში; მოხდა ისე, რომ ამ
დროს ოცდაჩვიდმეტი ქალწული გამოექცა დიოკლიტიანეს დევ-
ნას და იერუსალიმიდან სომხეთში წამოვიდა ახალი მოძღვ-
რების გასაფრცელებლად. წმ. ნინო მათ წამოჰყვა ვაშგარაბა-
დამდე და შემდეგ მარტომ განაგრძო გზა. როცა ის ქალაქ
მცხეთაში შემოდიოდა, საქართველოს მეფე მირიანი თავისი
ამალის თანხლებით გამოვიდა მახლობელ მთებში, რომ თა-
ვისი კერპებისათვის ადამიანი შეეწირა მსხვერპლად, მაგრამ
წმ. ნინოს ვედრების შედეგად ამოვარდნილმა ძლიერმა ქა-
რიშხალმა კერპები მიწასთან გაასწორა. წმ. ნინომ სამეფო
ბალის პაგარა საკანში დაიდო ბინა და სახელი გაითქვა დაფ-
რდომილთა მკურნალობით. ბოლოს, როცა თვით დედოფალი
დასნეულდა, წმ. ნინომ ისიც გამოაჯანმრთელა იესო ქრისტეს
სახელით, მთელი სამეფო კარი ქრისტიანულ რჯულზე მოაქ-
ცია და 314 წელს ჩე.წ. აღ. ქალაქის მთელი მოსახლეობა მო-
ნათლა. სამეფო ბაღში, გემოთ, სადაც წმ. ნინოს საკანი იყო,
მეფე მირიანმა ააგო სამთაეროს ტაძარი, რომელიც დღემდე
დგას სამხედრო გზის მარცხენა მხარეს. შემდგომში წმ. ნი-
ნომ შეიგყო, რომ ის კვართი, რომელიც მისი ძიების საგანს
წარმოადგენდა, ქალაქის შუაგულში, კედრის ქვეშ იყო და-
მარხული, როცა ხე მოჭრეს, აღმოაჩინეს კვართი, რომელიც
მიცვალებულ გოგონას მაგრად ჰქონდა ხელში ჩაბღუჯული.
იმ ადგილზე, სადაც კედარი იდგა, მეფე მირიანმა 328 წელს
თორმეტი მოციქულის სახელობის საკათედრო ტაძარი ააგო.
კედარი სვეგით შეცვალეს, რომელიც, გადმოცემის თანახმად,
ჩვენს გადაგვარებულ დროშიც კი, დროგამოშვებით მირონს
გამოსცემს წვეთ-წვეთად. წმინდა კვართი საკათედრო ტაძარში
ინახებოდა მეჩვიდმეტი საუკუნემდე, როცა შაჰ-აბასმა იგი

პლენად გაუგზავნა რუსეთის მეფეს – მიხეილ თეოდორეს-მეს. კუართი დიდი პატივით დაასვენეს მოსკოვის ღეთისმშობლის მიძინების ტაძარში, სადაც მე ის გასულ შემოდგომას ენახე.

ქართლის მოქცევის შემდეგ, წმინდო კახეთისაკენ გაემართა. აქ მან წარმატებით იქადაგა ქრისტიანობა. იგი ბოდბეში, სიღნაღის ახლოს გარდაიცვალა. მისი საფლავი მონასტერშია და კახეთის ერთ-ერთ უმშვენიერეს პანორამას გადმოჰყურებს.

თორმეტი მოციქულის ტაძარი ყველაზე საინტერესო ადგილია მცხეთაში. თავდაპირველად ეკლესია ხისა ყოფილა, მაგრამ 338 წელს იგი ქვის ნაგებობამ შეცვალა. ეს ეკლესია თემურ ლენგის შემოსევამდე არსებობდა, დღეს არსებული ეკლესია XV საუკუნეში ააშენეს. ქვით ნაშენი გალავანი ჩამოქცეული კოშკებით გარს ერტყმის მიწის ოთხკუთხა ნაკვეთს, რომლის შუაშიც დგას ტაძარი – დაახლოებით 70 ნაბიჯის სიგრძისა და 25 ნაბიჯის სიგანის დიდებული შენობა, სტილი ბიზანტიურია. ინგერიერი სვეტების ორი წყებით სამ ნაწილად იყოფა. საქართველოს უკანასკნელი მეფეები, მათი ოჯახის წევრები, ეკლესიის პატრიარქები და სხვა გამოჩენილი ადამიანები აქ განისვენებენ.

მცხეთის ფოსტის სასტუმრო სასიამოვნო სიურპრიზი იყო ჩემთვის, მაგრამ თითქმის ყველა სასტუმრო, რომელიც ამ გზაზე მდებარეობს, ერთნაირად კომფორტული აღმოჩნდა. ბევრ მათგანში არის საწოლი ოთახები, სასადილო, მანდილოსანთა ოთახები და ადამიანმა შესაძლოა იმოვოს თეთრი პური და ევროპული საჭმელი. ისინი, ვისაც უმოგზაურია რუსეთის საფოსტო გზებით, გაოცების მიზეზს ადვილად მიმიხვდებიან. ეგოვებთ რა მცხეთას, ჩვენი გზა ტყით შეფენილ გორაკებს შორის არაგვის გლუვ დაბლობს მიჰყვება. ამ ხედმა მომაგონა ნორვეგიის თელემარკის დაბლობი. ნიადაგი მდიდარია და კარგად დამუშავებული. აქ, ისევე როგორც ყველგან, ვნახეთ მთელი რემა ხარებისა, რომლებიც ხის გუთანს მიათრევენ. ეს ველი მთელი ამ გზის მანძილზე ყველაზე უფრო ციებუცხელებიანი ადგილია და ხალხი ამ მოვლენას ყვითელ სარე-

ველას (*Carlina arcaulis*) უკავშირებს. ასეთი სარეველა აქ უამრავია; უცნაურია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველგან, სადაც კი ეს სარეველა ხარობს, ასეთივე რეპუტაცია აქვს. ამის ახსნა უდაოდ შეიძლება მოიძებნოს იმ ფაქტში, რომ ეს სარეველა ჭაობიან ნიადაგში ხარობს ყველაზე უკეთ.


წილკანი – შემდეგი სადგურია, მაგრამ იქ სოფელი არ არის. როცა ცხენებს ველოდებოდით, ეზოში აქლემი დავინახეთ, თბილისში უამრავი რაოდენობითაა ეს სანდომიანი ცხოველები, მაგრამ ასე შორს, ჩრდილოეთით, არაგვისაკენ თუ წამოვიდოდნენ, არ მეგონა. ისეთივე ხელი გრძელდება დუშეთის სადგურამდე, რომელიც გარკვეული მანძილითაა დაშორებული იმავე სახელწოდების გარნიზონის ქალაქიდან. ეს ქალაქი, რელიეფური რუქის მსგავსად, მართკუთხა თანმიმდევრობით არის განლაგებული. თავისი პოზიციის მხრივ, ეს ადგილი სამხედრო მნიშვნელობისაა, რადგან იგი დაბლობის ვიწრო ყელში მდებარეობს, მაგრამ ის ისეთივე უინტერესოა, როგორც ნებისმიერი რუსული პროვინციული ქალაქი. მის ახლოს გზაა, რომელსაც როგორც გადმოგვცემენ, დაუფარავს კავკასიური სოდომი*; აქ მოგზაური უფრო მეტი ყურადღებით ათვალიერებს გზას, ვიდრე დაათვალიერებდა მას შვეიცარიაში რომ ყოფილიყო, რადგან გზები, ჩანჩქერების მსგავსად, იშვიათია კავკასიაში. მალე, როცა დუშეთი დავტოვეთ, საკმაოდ ციცაბო მთებზე დავიწყეთ ასვლა – აქედან იწყება გზის ყოველაზე ძნელად სავალი ადგილები. ჩვენს მარცხნივ არის უზარმაზარი უძველესი ნაგებობა კოშკებითა და ქონგურებით, რომლებსაც, დარწმუნებულნი ვართ, რომანტიკული ისტორია აქვს, მაგრამ იმედი გვიცრუვდება, როცა ვგებულობთ, რომ ეს არის ძველის თანამედროვე იმიტაცია.

იქვე ახლოს, მდინარის ნაპირზე, უმშვენიერეს ადგილზე, წავაწყდით 50 კაცისაგან შემდგარ ტუსაღთა ჯგუფს, რომელსაც ციმბირისაკენ მიერეკებოდნენ. ისინი, როგორც წესი, პატიოსანი შესახედაობის ადამიანები იყვნენ და მე არ შემეძლო სიბრალული არ მეგრძნო მათ მიმართ. გამახსენდა ის

უამრავი შემთხვევა, როდესაც ამ უმწიკლო ადამიანებს გადასახადებით ანადგურებდნენ მორალურად და ფიზიკურად, იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელთანაც მათ არავითარი კავშირი არა ჰქონიათ. გზა ჰკვეთს მწვეანე გორაკების ჯაჭვს და ისეთ ადგილზე გადის, რომელიც ძალიან წააგავს კახეთს. ის ისევე ქვემოთ ეშვება არაგვის გაყოლებით და მიაღვება ანანურს – ამ გზაზე ყველაზე უფრო თვალწარმტაც სოფელს. სოფლის გარშემო მიდამო მაინცა და მაინც საინტერესო არ არის ჩრდილოეთთან შედარებით.

ანანური მდებარეობს ულამაზეს პატარა ველზე, ხშირი ტყეებით დაფარულ გორაკებს შორის. სოფლის სამხრეთ კიდეზე, ამაღლებულ ველზე არის ნახევრადჩამოქცეული გალავანი კოშკებითა და ქონგურებით. გალავნის შიგნით ორი ეკლესიაა. ამათგან ერთი მათგანი ჯერ კიდევ გამოიყენება ღვთისმსახურებისათვის, მეორე – ხავსით დაფარული ქვების გროვას წარმოადგენს. ფოსტის სასტუმრო მოშორებითაა, სოფლის ბოლოში და სანამ ცხენებს ცვლიან, შეგვიძლია ვეწვიოთ ნანგრევებს, რომელიც აქედან 15 წუთის სავალზეა. გზის პირას არის რამოდენიმე პატარა დუქანი, სადაც სრულიად უმნიშვნელო ფასად, ამ ქვეყანაში არსებული ყველა გარეული ცხოველის ბეწვი შეგიძლიათ შეიძინოთ. აქვეა პატარა ყაზარმაყ. ჩვენ ახლა ციხე-სიმაგრეს ვუახლოვდებით და როცა შიგ შევდივართ, ჩვენს თვალწინ იშლება სისხლიანი სცენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საუკუნუნახევრის წინ, როცა გიორგი არაგვის ერისთავი ქსნის ერისთავისაგან იცავედა თავს. ქსნის ერისთავმა ციხე-სიმაგრე აიღო და მთელი ლაშქარი გაანადგურა, გიორგიმ და მისმა ოჯახმა თავი ეკლესიას შეაფარა იმ იმედით, რომ ვერაფერს გაბედავდა წმინდა ადგილის შებღალვას, მაგრამ დამპყრობელმა გაპარს ფიჩხი შემოაფლო, ცეცხლი მოუკიდა და ნაცარ-ტუტად აქცია. მხოლოდ ერთად-ერთი წევრი გადარჩა ამ განწირული ოჯახიდან.

კარიბჭე, რომლითაც ციხე-სიმაგრეში შევდივართ, გზიდან კარგა მოშორებით მდებარეობს. ოთხკუთხა კოშკით მას სა-



ANANUR.

კუთრივ ციხე-სიმაგრეში შეეყავართ. ციხე, დაახლოებით 100 ნაბიჯის სიგრძისაა და 40 ნაბიჯის სიგანის. წინათ იგი გადაჭიმული იყო მდინარის საპირამდე, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილა კოშკის ნაგრევები. როცა შიგ შევდივართ, ხელმარცხნივ მაშინვე თვალწინ წარმოგვიდგება გიორგი ერისთავის სასახლის ნანგრევები. ჩვენს პირდაპირ კარგად შემონახული კოშკი ჩანს. მის მარცხენა მხარეს ძველი ეკლესიის ნანგრევებია, მარჯვნივ კი, ახალი ეკლესია. ძველი ეკლესია, რა თქმა უნდა, სრულიად განადგურებულია. მისი სიგრძე დაახლოებით 25 ნაბიჯია მხოლოდ, სიგანე კი – 15. ჯერ კიდევ არსებობს მხაგვრობისა და ქვაზე კვეთის ნიშნუთა ფრაგმენტები, რომლებიც უაღრესად საინტერესო იქნებოდა მათთვის, ვინც ბიზანტიის ხელოვნების ისტორიას იცნობს. შენობა, როგორც ამბობენ, მე-4 საუკუნით თარიღდება ჩე.წ.ად.-ით. მიწისქვეშ არის სამლოცველო, რომელიც საკმაოდ კარგადაა შემონახული.

უფრო დიდი ეკლესია 1704 წელს გიორგი ერისთავს აუგია. მისი სიგრძე 30 ნაბიჯია, სიგანე 20 და აღრინდელი გაძრის გადიდებულ ასლს წარმოადგენს. ქვა, რომლითაც გაძარია მოპირკეთებული, მოყვითალო ფერისაა. ეს არის ქართული არქიტექტურის უმშვენიერესი ნიმუში. გაძრის ორივე მხარეს უმარპაზარი ეაზის ჯვრის გოგები (წმ. ნინოს ჯვარი) ქვაშია ამოკეეითილი. დეკორატიული ნამუშევარი ბრწყინვალეა როგორც დიზაინის, ასევე შესრულების თვალსაზრისით, მაგრამ ცხოველთა ფიგურები ძალზე ღარიბულია.

ანანურის ისტორია ყველაზე ბნელი და სამწუსარიო ფურცელია საქართველოს უახლეს ისტორიაში. 1795 წელს სპარსელებმა თბილისი აიღეს და ნანგრევების გროვად აქციეს. მეფე ერეკლემ, რომელიც რამოდენიმე მსახურთან ერთად სასწაულებრივად გადაურჩა სიკედილს, მთებს – ანანურის ციხეს შეაფარა თავი. მიგოვებული თავისი მშიშარა ურწმუნო შეილების, გაყიდული ყველაზე სანდო ქვეშევრდომთა და მოკავშირეთა მიერ, ფიზიკურად დასნეულებული და სულიერად დაღლილი, 77 წლის მოხუცი იმდენად საცოდავი შესახედავი

იყო, რომ მის დანახვაზე ანგელოზებიც კი ატირდებოდნენ. „ძველ, ნახევრადდანგრეულ ანანურის მონასტრის უძველეს საკანში, რომელიც ბერების ხეხილის ბალის ბოლოში იდგა, ადამიანს შეეძლო დაენახა კაცი უხეში ცხვრის ტყავის წამოსასხამით, პირისახით კედლისკენ მჯდარი – ეს კაცი, ერთ ღროს მთელი ამიერკავკასიის მესხიტება, მეფე საქართველოსა – ერეკლე მეორე იყო. მას გვერდით ედგა მოხუცი სომეხი მსახური. ვინ არის კუთხეში მჯდომი კაცი? – კითხვობდნენ გამვლელები, – თქვენ ვისაც ხედავთ, პასუხობდა სომეხი ამოხვრით, ერთ ღროს იყო ძლიერი ამა ქვეყნისა. მის სახელს პატივს მიაგებდა მთელი აზია, მის ქვეყანას უკეთესი მმართველი არა ჰყოლია. ის მამასავით იღწვოდა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის და ორმოცი წლის მანძილზე შეინარჩუნა თავისი ქვეყნის ერთიანობა, მაგრამ სიბერემ ილაჯი გაუწყვიტა და ყველაფერი დანგრევის პირას მივიდა, იმისათვის, რომ წინ აღდგომოდა დავას მისი სიკედილის შემდეგ, მეფემ გადაწყვიტა თავისივე სიცოცხლეში გაეყო თავისი სამფლობელო მემკვიდრეებს შორის, მაგრამ მას იძულები გაუტრუედა. ის, ვინც მთავარი ვენუხი იყო თამაზ ყული ხანის კარზე, როცა ერეკლე სპარსეთის არმიას სარდლობდა, დაუძღვრებული მეფის წინააღმდეგ დაიძრა, მისმა საკუთარმა შეილებმა უარი უთხრეს დახმარებასა და მშობლიური მიწის დაცვაზე; ისინი ბევრნი იყვნენ და თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ იბრძოლებდა არა საკუთარი თავის, არამედ მისი ძმის კეთილდღეობისათვის. საქართველოს მეფე იძულებული იყო იმერეთის მეფისათვის მიემართა დახმარებისათვის, მაგრამ თბილისში რომ ყოფილიყავით, დაინახავდით, თუ რა სამარცხვინოდ მოიქცნენ იმერლები. მეფე ერეკლე ერთი მუჭა ქართველებით შეებრძოლა 100 000-იან არმიას და გახტი მხოლოდ იმიტომ დაკარგა, რომ შეილებმა უმოწყალოდ მიაგოვეს ის უვარგისი საჭურისის საჯიჯგნად. წაიშალა ერეკლესდროინდელი დიდება, მისი დედაქალაქი ნანგრევებად იქცა, გაცამგვერდა მისი ხალხის კეთილდღეობა. აქ, ამ ჩამოშლილ კედელთან,

თქვენს თვალწინ არის უწინ უსლიერესი მეფე საქართველო-სი, რომელიც დღეს ემალება ადამიანის თვალს ცხერის და-პონძილი გყავით შემოსილი. მისმა ხელქვეითებმა, ყველამ, ვინც მის პურს ჭამდა და ვისაც მეფე გულში იკრავდა, მიაგოვა ის – არც ერთი არ გამოჰყვა თაყვის ბაგონს, მხოლოდ მე შემოვრჩი – ღარიბი აბუჩადაგდებული სომეხი“.

ანანურიდან გზა მიჰყვება ჩემოთ არაგვის ხეობის ფერ-ღობებს, რომლებიც კარგად არის დამუშავებული მშვენიერი ხელოვნური სარწყავი სისტემის წყალობით... ჩვენს მარცხნივ, სადგურიდან ორიოდე ვერსტის დაშორებით, მალაა მთაზე ვხე-დავთ კოშკისა და შეუპოვრის ეკლესიის ნანგრევებს, სადაც ვიორგი ერისთავის შვილიშვილმა მისი ოჯახის ბედი გაიზიარა. ეს ადგილი, მთელი მისი მცხოვრებლებით, ნაცარ-გუგად აქციეს. გზაზე ვხვდებით სასიამოვნო გარეგნობის გამწვანებებს, რომლებიც გრძელ განიერ დაშნებს აგარებენ. ზოგ მათგანს თან აქვს ხმალიცა და თოფიც. ეს გზა უსაფრთხოა აეაბაკე-ბის მხრივ და იარაღის გარეხა აქ, უბრალოდ, ჭრადიციანა, რაც უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვენთან ხელჯოხია. რამოდენიმე ლამაზი ოსი, როცა ჩაგიეღის, თავაზიანად გესაღმება სიგყ-ვებით „გზა მშვიდობისა“ – განსაკუთრებულად შესაფერისი სიგყვებია ასეთ ადგილებში მოგზაურობისას. როცა სოფელში შევდივართ, ჩვენს სანახავად გასაოცრად ლამაზი ბაეშეები გა-მორბიან, მაგრამ ისინი არასდროს მათხოვრობენ. მართალი რომ ვითხრათ, ქართველი მათხოვარი მე არასდროს შემხ-ვედრია, თუმც ხალხი უდიდეს გაჭირვებაში იმყოფება.

მთელი ამ გზის მანძილზე მალლობზე მოხერხებული პო-მიციიდან ადამიანი ხედავს ორმხრივ ქონგურებიან კოშკს, რომელიც ზღუდის კუთხეში არის აღმართული; მიწის ყოველ გოჯს აქვს სისხლისღვრისა და სიმამაცის თავისი ისტორია, რომელიც კარგა ხნის მიეწყებულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გლეხობის მეხსიერებაში შემორჩენილ ბუნდოვან გადმოცემებს.

მანძილი ანანურიდან ფასანაურამდე (21 ვერსტი) ყველა-

მე გრძელია ამ გზაზე და, თუმცა ის არ ხასიათდება ნაკებობებით, რასაც ჩვენ უფრო შორს, ჩრდილოეთით წავაწყდით, ეს მაინც დამლელი მოგზაურობაა ცხენებისათვის, ვინაიდან გზა 1300 ფუტის სიმაღლეზე გადის, მე ვერასოდეს დავივიწყებ იმ სასიამოვნო გრომობას, რომელიც ფასანაურიდან ანანურისაკენ ღამით მოგზაურობის დროს დამეუფლა. თუმცა უმთვარო ღამე იყო, ვარსკვლავები საოცრად კაშკაშებდნენ – ასეთი რამ ჩრდილოეთის განედში არ არსებობს. ისინი შექს ჰფენდნენ უცნაურ მშვენიერ პეიზაჟს: მოელეარე თოვლით დაფარული მწვერვალები, ვერცხლისფერი მდინარე ჩვენს გვერდით, მწვანე ტყეები და განმარტოებული ნანგრევები ქმნიდნენ ჯადოსნური სილამაზისა და იდუმალების სურათს. მალე გუდამაყრის ფორტი გამოჩნდება და ჩვენ ვიცით, რომ ფოსტის სადგური შორს აღარ არის. მე შემიძლია ასევე ვთქვა, რომ ტიფლისსა და ვლადიკავკაზს შორის არსებული ყველა ეს ეგრეთწოდებული ფორტი, არაფრითაა მნიშვნელოვანი. ეს უბადრუკი ადგილებია – პაგარა სამხედრო ბარაკები; წინათ მათი ფუნქცია მთიელების დაშოშმინება იყო, მაგრამ ამჟამად ძალიან ცოტა საჭიროება არსებობს იმისა, რომ აქ გარნიზონი იდგეს.

ფასანაური (რაც ძველ სპარსულში „წმინდა მთას“ ნიშნავს) დაბურულ ტყეებს შორის ხეობის ვიწრო ყელში მდებარეობს. სადგური ძალიან ლამაზია და, ანანურის მსგავსად, ისეთი კომფორტული, რომ მოგზაური, რომელსაც აქ ღამეს გათევა მოუხდება, სრულიადაც არ არის შესაბრაალისი. ერთადერთი საინტერესო შენობა სოფელში თანამედროვე რუსული არქიტექტურის სტილში აგებული ეკლესიაა, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს თითქოს სარეცხის ლილით იყოს შეღებილი. თავისი სიმახინჯით ის მოსკოვის ნებისმიერ ეკლესიას შეიძლება შევადაროთ.

ფასანაურის აღმოსავლეთით ცხოვრობენ ხევსურები, ფშავეები და თუშები, რომლებიც წარმოშობით ქართველები არიან და ქართულ დიალექტებზე ლაპარაკობენ. მათი რაოდენობა

სხვადასხვაგვარად არის შეფასებული: 20.000-დან 30.000-მდე. ისინი მეტად პრიმიტიული ცხოვრებით ცხოვრობენ – ჯერ კიდევ აბჯარს იყვამენ და რკინის მუზარადებს ისურავენ. ამ გარემოებამ და კიდევ იმან, რომ ისინი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ქრისტიანობას აღიარებენ, წარმოშვა ვარაუდი, რომ ხევსურები არიან იმ ჯვაროსანთა შთამომავლები, რომელთაც მთებში გზა დაკარგეს, როცა ევროპაში ხმელეთით ცდილობდნენ დაბრუნებას და იქ ჩასახლდნენ. ხევსურთა საცხოვრისი ყველაზე უფრო უდაბური ადგილია მთელს ამ მიდამოში. მათი სოფლები არწივის ბუდეებით მაღლა მთებში კლდეებზეა მიკრული. ისინი, ძირითადად, მწირი მეურნეობით ირჩენენ თავს; ფშაველები და თუშები მწყემსები არიან; ზამთარში თავის ცხვრის ფარებს, ქვემოთ, კახეთისაკენ მიერეკებიან და როცა თოვლი დნობას იწყებს, ისევ თავის მშობლიურ ხეობას უბრუნდებიან. ყველა ეს გომი დაუდგომელი ხალხია და უზომოდ მამაცი; უძველესი დროიდან მოყოლებული, მათ შექმნეს ქართული სამეფოს ერთი კუთხე და ურჯულთა წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში გამოიჩინეს თავი. ქრისტიანობა ამ რაიონში არ არის ისე ღვაჭლურად დამუშავებული, როგორც რომსა და ბიზანტიაში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის ისევე მისაღებია, როგორც რუსი „მუეიკის“ ან ინგლისელი ფერმის მუშის რწმენა. მათ წმინდანად შერაცხეს თამარ მეფე და ქრისტესთან ერთად თაყვანს სცემენ ომის ღმერთსა და სხვა ღვთაებებს. მეფე ერეკლე მეორე შეეცადა ცვლილებები შეეტანა ამ ხალხის თეოლოგიურ შეხედულებებში, მაგრამ ამაზე მათ უპასუხეს: „თუ ჩვენ, ჩვენი დღევანდელი ღვთისმსახურებით მტკიცედ მორჩილნი და ერთგულნი ვართ ჩვენის მეფისა, სხვას რაღას ითხოვს ის ჩვენგან?“. სოფლებში დღეს მრავალი მართლმადიდებლური ბერძნული ეკლესიაა, მაგრამ ხალხი სრულიად უგულვებელპყოფს მათ არსებობას. ფასანაურიდან გზა დასავლეთისაკენ უხევეს, უკან იტოვებს რა მარჯვნივ მდებარე გრანიტის მაღალ ფრიალო კლდეს, რომელიც კარგა ხნის მანძილზე ჩვენი წინსვლის შემაფერხებლად

ჩანდა; ჩვენ ისევ არაგვს მივეყვებით, მაგრამ ამჯერად პეიზაჟი მოშიშვლებულია, ნიადაგი უნაყოფო. მალლა მთებში აქა-იქ კლდეზე ოსური სოფლებია დახუნძლული. სახლები ხეობიდან პატარა ბნელ ხერელებად მოჩანან ფრიალო კლდეზე. პუშკინმა ამ სახლებს „მერცხლის ბუდეები“ უწოდა და უკეთესი სახელი არც შეიძლებოდა მოძებნილიყო მათთვის.

ოსები თავის თავს „ირ“ ანუ „ირანს“ უწოდებენ, თათრები და ქართველები მათ „ოსს“ ანუ „ოსი“-ს უძახიან. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მათი რიცხვი 100.000-ზე ცოტა მეტია და ისინი კავკასიონის ორივე ფერდობზე ცხოვრობენ. მათი უმრავლესობა ქრისტიანულ რწმენას აღიარებს, მაგრამ 15.000 მათგანი მუჰამედის მიმდევარია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კერპთთაყვანისმცემლები არიან. ოსთა გრადიციები გადმოგვცემენ, რომ ისინი ურალის გავლით აზიიდან მოვიდნენ და ერთ ღროს ბინა კავკასიის ჩრდილოეთ დაბლობში დაიდეს, მაგრამ შემდეგ, მათზე უფრო ძლიერი ხალხების მიერ თანდათანობით მთებისკენ იქნენ გამოდევნილნი. ოსთა უმრავლესობამ ქრისტიანობა თამარ მეფის მმართველობის ღროს მიიღო და მისი მეორე ქმარი ოსი იყო; ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე ოსები ხარკს უხდიდნენ საქართველოს. მოგზაური, რომელიც დაახლოებით 100 წლის წინათ ესტუმრა საქართველოს, გადმოგვცემს, რომ „მეფე ერეკლეს პირადი დაცვა შედგებოდა ოსებისაგან, რომლებიც, განს არასდროს იბანდნენ“. ოსები პირველი კავკასიელი ხალხი იყო; რომელიც უხმოდ შეეგუა რუსეთის მმართველობას და არასოდეს სერიოზული შფოთი არ აუტეხია მისთვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1810 წელს იმერეთის აჯანყებაში მათ მონაწილეობას. არაკები ოსთა გვეგონური წარმომშობის შესახებ ისეთივე აბსურდია, როგორც მტკიცება იმისა, რომ ყირიმში არიან ჩრდილოეთიდან მოსულები და მათი ენა ჰოლანდიურია. ოსები საცოდავად ცხოვრობენ. მათი სახლები, ხსნარის გარეშე, რიყის ქვებითაა აგებული, მაგრამ მათ კარგი ფიზიკური აღნაგობა აქვთ, სახით მიმზიდველები და ლამაზები არიან.

შემდგომი ხანგრძლივი მესელის შემდეგ, 1300 ფუტის სიმაღლეზე ჩვენ მლეთას მივადგებით. ხეობა აქ მთავრდება. ახლა ჩვენ ღრმა ჭის ფსკერზე ვართ. მისი კედლები ციცაბოა და შიშველი. მის წვერზე მარადიული თოვლი ბზინვარებს. მოუწყობლობა გმისა, რომელიც აქამდე გამოვიარეთ, არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენ წინ გველოდება. მარჯვნივ, 3000 ფუტის სიღრმის უფსკრულია; გზა ამ უფსკრულის ზემოთ მიგზაგებად მიემართება.

მლეთადან გამოსულებს, თვალწინ წარმოგიდგება ვერცხლისფერ მთებს მიღმა ჩამაეალი მზე და მალე ბნელდება კიდევ; გალეშილ ჩვენს მეეტლეს ღრმა ძილით ეძინა და ღროდადრო იძულებული ვიყავით აღვირი მოგვეწია, რომ ცხენები ძალზე ახლოს არ მისულიყვნენ უფსკრულის პირთან. მანძილი გუდაურამდე მხოლოდ 14 ნახევარი ვერსტია, მაგრამ მთელი აღმასვლა მხოლოდ ნელა უნდა მოხდეს. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ავედით მთებში, ხან მდუმარედ შევეყურებდით ჩვენს ზემოთ აღმართული მთების მოელვარე ჯაჭვს, ხან კი ქვემოთ, გავცქეროდით პირქუშ ხეობას, სადაც ჩამოშლილი ნაწნავით ჩანჩქერი ბრწყინავდა მთვარის შუქზე; მთელი ამ ხნის მანძილზე არც მგზაერი ჩანდა და არ ისმოდა არც ჩამი-ჩუმი, რომელიც გაფხულის ღამის ამ მდუმარებას დაარღვევდა.

ბოლოს, როგორც იქნა პლატოს მივალწიეთ მთის წვერზე და სულ მალე გუდაურის ფოსტის სასტუმროში აღმოვიჩნდით — ზღვის დონიდან 8.000 ფუტის სიმაღლეზე. თუმც თოვლი მიწაზე ჩვენს გარშემო აქა-იქ მოჩანდა, ჰაერი ძალზე გრილი იყო. მხოლოდ რამოდენიმე დღის წინ თბილისში სიცხისაგან ვიგუდებოდით (100° ფარენჰეიტით), ახლა კი თერმომეტრი დნობის წერტილს უახლოვდებოდა. თუმც მე ვიცი, რომ კომფორტის მხრივ, მლეთა ბევრად უკეთესია გუდაურზე, მოუთმენლად ველოდი რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ხანგრძლივად დაემტკებარიყავი მთის სუფთა ჰაერით და, მართლაც, დიდი სიამოვნება მივიღე.

უბრალო და ნაჩქარევი ვახშმისა და პლატოზე ხანმოკლე

სეირნობის შემდეგ, საერთო ოთახში შევედით, ეგრეთწოდებულ „ბურკაში“ გავეხვიეთ, ყველაზე რბილი ტახტი ამოვირჩიეთ და მალე უცოდველის ძილით ჩავიძინეთ. ღამით რამოდენიმე მგზავრი შემოგვემატა. როცა გარიქრაებზე ავდექით, ოთახი ხალხით იყო სავსე. მშვიდად მხვრინავე ჩვენი კომპანიონები დავკოვეთ, ცხენები შევუკვეთეთ და ხეობისაკენ მიმავალ გზას დავადექით.

მწვანე მინდორზე უამრავი ცხვრისა და თხის ფარა იყო შეფენილი. კუდის ორივე მხარეს ცხვრებს ცხიმის უცნაური დუმები ჰქონდათ; მარჯვნივ, პირამიდის ფორმის შესანიშნავი მწვანე გორაკია და მის ზემოთ, უძველესი ციხე-სიმაგრე, რომელიც ველს კლდიდან გადმოჰყურებს. ძალზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ამ ხეობის ხედი, მაგრამ ის უფრო შთაბეჭდავია, როცა საპირისპირო მიმართულებით, ე.ი. ვლადიკავკაზიდან თბილისისაკენ მოდიხართ. ასეთ შემთხვევაში, მიუდგომელ, უდაბურ ადგილებს უკან მოიგოვებთ და შემოდიხართ არაგვისა და ქართლის უმშვენიერეს ხეობაში. გზა ძალზე სწრაფად იძირება თითქმის 2.000 ფუტის სიღრმეში; თოვლსაცავი ნაგებობები გზის გასწვრივ დღესაც გვახსენებენ, რომ ზამთარში ჯვრის უღელტეხილზე მოგზაურობა ძალზე სერიოზული საქმეა; მოძრაობა ხშირად რამოდენიმე დღის განმავლობაში წყდება ზეავეების ჩამოწოლის გამო; გაბაფხულზე კი მდინარეებს თან მოაქვს ხიდები და გზის დიდ ნაწილს ჩამორეცხავენ ხოლმე; მთის ძირში მოჩანს აქაფებული თერგი, თითქმის ისეთივე მღვრიე, როგორც მტკვარი. თუ მის დინებას გავეყვებით, გავალთ ვრცელ დაბლობზე, რომლის სამხრეთით კობი მდებარეობს.

კობის სადგურთან ახლოს ორი სოფელია; უფრო დიდი სოფელი ცადაწვდილი მთის ჩრდილქვეშ მდებარეობს ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, დაცულია უსწორმასწორო კლდით, რომლის წვერზეც ეკლესიისა და ციხის ნანგრევებს დაინახავთ. გზის პირას უცნაური ქვის ფილებია მოხატული სხვადასხვაგვარი იეროგლიფებით, რომელთა შორის ამომა-

ვალ მზეს უპირველესი ადგილი უჭირავს. კობის გარშემო უამრავი სამკურნალო წყაროა და სასტუმრო გამიზნულია რამოდენიმე პაციენტის მოსათაფსებლად. შესაძლოა დადგეს დრო, როდესაც კობი ისეთივე ფეშენებელური კურორტი გახდება, როგორც კისინჯენი, მაგრამ დღესდღეობით ეს ის ადგილი არ არის ავადმყოფებს რომ გაუწიო რეკომენდაცია იქ წასასვლელად.

რაც შეეხება წარმომავლობას, არაფერი შეიძლება ითქვას კობის მიდამოს საწინააღმდეგოდ; როცა იქაურობას ვათვალიერებდით, უნებურად ვფიქრობდით ფრაზაზე – „გამოუცნობი ქმნილება“, რომელიც არაერთხელ გამოუყენებიათ შოგლანდიის მთების მისამართით და ეს მართლაც, ასეა. ის ისე გამოიყურება, თითქოს სამყაროს შექმნის შემდეგ დარჩენილი მასალა უწესრიგოდ, გროვებად იყოს დაყრილი რომ ქაოსის შესახებ შეგიქმნას წარმოდგენა. გზა ახლა თერგის დინებას მიჰყვება და, უნდა ითქვას, რომ ამ სანახაობის აღწერა მისი დიდებულების გამო, სრულიად შეუძლებელია. ჩვენს პირდაპირ თოვლით დაფარული ყაზბეგია თავისი უსწორმასწორო მიუდგომელი ჭიუხებით, აქა-იქ მოჩანს ციხეთა ნანგრევები. მოსახვევს, დაახლოებით შუა გზაზე, აულში – შუასაუკუნეების დროინდელ სოფელში შევყავართ. მის განაპირას პატარა ჭალაა, რაც იშვიათობას წარმოადგენს ასეთ უღიმამო მიდამოებში. ბაზალტის კლდეები უამრავ ფანტასტიკურ ფორმასა და ფერს ქმნიან. რამოდენიმე ადგილზე ისინი წნელების შეკერას ჰგვანან და „გოლიათის ჯებირს“ მაგონებენ. სადგურისაკენ მიმავალ გზაზე ბავშვები სხვადასხვაგვარ კრისტალებს, კვარცის ნაჭრებსა და სხვა ლამამ გეოლოგიურ ნიმუშებს ყიდიან.

ყაზბეგის სადგური ძალიან კომფორტული სასტუმროა. აქ ადამიანს შეუძლია კარგად ისაძილოს და ხანგრძლივადაც დარჩეს. მთა, რომელსაც ყაზბეგი ეწოდება, ხეობიდან ერთ მთლიან მასად არის ამოზიდული და ზღვის დონიდან 16.550 ფუტს აღწევს. ქართველები მას მყინვარს (ყინულის მთას) უბა-

ხიან, ოსები – ქრისტეს მწვერვალს; სინამდვილეში, ყაზბეგი არის გვარი იმ ოჯახისა, რომლის მფლობელობაშიც არის ეს ტერიტორია და ამ სახელს შეცდომით უწოდებენ მწვერვალს, არარატის მსგავსად, ყაზბეგიც მიუწვდომლად ითვლება და ჩვენს თანამემამულეებს ფრემფილდს, მურსა და თაკერს, რომლებმაც, დიდი გარჯის შედეგად, შეძლეს მწვერვალზე ასეულა 1868 წლის ივნისში, არაფინ უჯერებდა, როცა ისინი იქ ასეულის ამბებს ჰყეებოდნენ. ნადირობის მოყვარულთ მთებში დროდადრო ჯიხებე (aurochs, Aegoceros Pallasii) შეუძლიათ ინადირონ. ვისაც სურს თავი აარიდოს საფრთხესა და დაღლილობას, ერთი წყვილი ჯიხვის რქა რამოდენიმე რუბლის ფასად სადგურშივე შეუძლია შეიძინოს.

ვინც მთების სულთა სამეფოში შეიჭრება, შანსი არ უნდა დაკარგოს და ეწვიოს დევდორაკის მყინვარს, საიდანაც მთაზე ყველაზე ადვილად შეიძლება ასეულა; აქ ის ნახავს ადგილს, სადაც მკვიდრ მონადირეებს ჯიხვის რქები მოაქვთ სამსხვერპლოზე იმ მძვინვარე სულების დასაშოშმინებლად, რომელთაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლიათ ყინულის ლოდები დაატეხონ თავს.

არსებობს ფართოდ გავრცელებული ლეგენდა იმის შესახებ, რომ მყინვარწვერზე აღმართულია პაგრიარქ აბრამის კარავი, სადაც აკეანში, რომელიც უხილავ ხელს უჭირავს, ჩვილ იესოს სძინავს; კარვის გარეთ, სიცოცხლის ხის გვერდით, საოცარი სივრცის ხორბლის ყანაა; აკენის გარშემო უდიდესი საგანძურია დახვავებული. მეფე ერეკლე II-ის დროს, ერთი მღვდელი თავის ვაჟიშვილთან ერთად წასულა ამ საოცრების სანახავად, მაგრამ უკან მხოლოდ ვაჟი დაბრუნებულა კარვის ქსოვილის პაგარა ნაგლეჯითა და ხორბლის რამოდენიმე მარცვლით. ფეხსაცმლის ძირებზე მას უამრავი ვერცხლის მონეგა ჰქონია მიკრული – სამწუხაროდ, ეს მონეგები თანამედროვე აღმოჩენილა.

საერთოდ, ცნობილია, რომ მყინვარი პრომეთეს მითთან არის გაიგივებული, თუმც მთა არ შეესაბამება ესქილეს მიერ

ადწერილს. ადრინდელი მოგზაურები იქამდეც კი მივიდნენ, რომ ამტკიცებდნენ თითქოს მათ თავისი თვალით ნახეს ის ბორკილები, რომლითაც გმირი კლდეზე იყო მიჯაჭვული. ამჟამად არსებობს ადგილობრივი ლეგენდა იმის შესახებ, რომ გოლიათი დღესაც იქ წევს ხუნდებით შებორკილი. როცა მთებს კობის მხრიდან მიუვახლოვდი, შეუძლებელი იყო პრომეთე არ გამხსენებოდა. ჩემს წინ გამოჩნდა უსწორმასწორო ფორმის გიგანტური შავი სივრცე, რომელიც მთლად თოვლით იყო დაფარული. მდიდარი წარმოსახვით დაჯილდოებული გონება ამ უსწორმასწორო ზოლში ადამიანის ფიგურასთან მსგავსებას დაინახავდა; არც ერთმა მოგზაურმა არ უნდა დაგოვოს ყაზბეგი ისე, რომ მთის წვერზე განმარტოებით მდგარი წმ. სტეფანეს მონასტერი არ მოინახულოს, ეს მონასტერი განმარტოებულ გორაკზე დგას, სადგურიდან 2.000 ფუტის სიმაღლეზეა. ხედი განსაცვიფრებლად მშვენიერია მზის ჩასვლისას. ამბობენ, იგი სამ მეფეს აუგია, მაგრამ უცნობია მათი სახელები; ასეთუ ისე, შენობა საკმაო სიძველისაა. ღვთისმსახურება წელიწადში სამჯერ წარმოებს. ინგერიერი განადგურებულია მზაკვარი „რესტავრატორის“ მიერ. ეკლესიიდან თქვენ გადმოჰყურებთ ფართო, გოლიათი მთებით გარშემორტყმულ დაუსახლებელ ხეობას და თუ შემობრუნდებით, დაინახავთ მდ.თერგს, რომლის ნაპირებზეც მდებარეობს სადგურიცა და სოფელიც. მდინარის ორივე მხარეს ქვაბულების მსგავსი ჩაშავებული ხეობები მოჩანს. თერგის ქვემოთ ინგუშების სამოსახლოა, სამშობლო იმ ხალხისა, რომელიც ხშირად იტაცებს იქაური მკვიდრი მოსახლეობის საქონელს და ყაზბეგში დაბანაკებულ პატარა გარნიზონს მათზე ნადირობით ართობს.


ყაზბეგიდან გამოსულები, მარჯვნივ ვხედავთ იმ თავადის კარ-მიდამოს, რომლის სახელსაც ატარებს ეს ადგილი. ეს არის გვარი, რომელმაც ქვეყანას მისცა არა ერთი მამულიშვილი და მომავალში, უეჭველად წარმოშობს ისეთ ადამიანებს, რომლითაც საქართველო იამაყებს; სახლი ორსართულიანია. იქვეა მშვენიერი ტაძარი. რამოდენიმე წუთში ჩვენ მივადგებით

ე.წ. „შემლილ“ ხევს, რომელმაც ეს სახელწოდება, საშინელი, გამალებული ნაკადის ვაპო მიიღო. ამ ნაკადმა შექმნა სერიოზული წინააღმდეგობა გზის გაყვანის დროს; ახლა ჩვენ დარიალში შევიღვართ, იმ ხეობაში, რომლის სახელიც ეწოდება ამ გზას და რომელიც ყველაზე დიდებული ადგილია მთელს დედამიწის ზურგზე.

„დარიალს“ ფილოლოგები მიიჩნევენ სპარსული წარმოშობის სიტყვად, რომელიც „კარიბჭეს“ ნიშნავს (შეადარეთ *Derbend, Thuer, door, Slav. Dver* ა.შ.) და, მართლაც, სწორედ აქ მოათავსეს უძველესმა გეოგრაფებმა ცნობილი კავკასიური ჭიშკარი, მაგრამ, ალბათ, უნდა დავეთანხმოთ ადგილობრივ გადმოცემებს იმის თაობაზე, რომ ეს ადგილი უკავშირდება სპარსეთის მეფის დარიოს I-ის სახელს. რაც შეეხება თვით კარიბჭეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია გადაჭრით ითქვას რაიმე არსებობდა ის ოდესმე თუ არა. ყოველ შემთხვევაში, არის სხვადასხვა მოსაზრებები, რომელზე დაყრდნობით მაინცა და მაინც ძნელი არ არის მათი წარმოშობის გაგება.

თერგის მარცხენა სანაპიროზე, სეობის შესასვლელთან, ციცაბო კლდეა აღმართული. მასზე ციხე-კოშკის ნანგრევები მოჩანს. ამბობენ, რომ იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 150 წელს არის აგებული, მაგრამ მას, უდაოდ, უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს კოშკი ასოცირდება ბოროტ დედოფალ თამარის (და არა თამარ მეფის!) – ხალხის წარმოსახვით შექმნილ მითოლოგიური ქმნილების სახელთან. ამ ლეგენდის საფუძველზე ლერმონტოვმა მშვენიერი პოემა დაწერა: ულამაზეს ასულს ჩვეულებად ჰქონდა თავისთან მიეწვია ყველა მომხიბლავი ჭაბუკი, რომელიც კი იმ მიდამოებში გაივლიდა და დაჰპირებოდა ამქვეყნად შესაძლებელ ყველა სიამოვნებას. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის შემდეგ, ჭაბუკის თავმოჭრილ გვამს თერგი შორს, დაბლობისკენ მიაქანებდა... დაღუპულთა რაოდენობა განსაკუთრებით გაფხულის თვეებში იზრდებოდა...

გზის პირას – დარიალის ფორტია, რომანტიკული ადგილი, ძველებური ქონგურებიანი კოშკებით; აქ რამოდენიმე კა-



DANIEL FORT AND REMAINS OF TAMARA'S CASTLE.

გაკია განთავსებული. ისინი დროს ერთფეროვნად აგარებენ. სიმაგრესთან მიახლოებისას, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შეუძლებელია მასში შეღწევა – ვეებერთელა კედელი გადაჭიმულია სწორედ საცალფეხო გზის გადაჭრით. იგი მდინარის კალაპოგშია აგებული და მიიკლავება საშინელ ციყაბო კლდეებში, რომელთა წვერი მაღლა ღრუბლებში იკარგება და რომლის კალთებსაც თითქმის არასდროს წვდება მზის სხივი. ჩვენ ზოგჯერ გვსმენია ისეთი ადგილების შესახებ, სადაც ერთი მუჭა ადამიანებმა შეძლეს მთელი არმიის შეჩერება. ეს ადგილი ერთ-ერთი იმათგანია. უბრალო შეხებაც კი საკმარისია, რომ მძიმე კლდის მასებმა გასასვლელი ფაქტიურად ჩაკეტონ. დაახლოებით ორმოცდაათი წლის წინათ დედოფორაკის მყინვარიდან ჩამოწოლილი ზეაეის გაწმენდა მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლეს. როდესაც ახალი გზა წაღეილია, ან თოვლით იკეება, იძულებულნი არიან გამოიყენონ ძველი გზა, რომელიც ზემოთ, მთებში, თოვლის ზონასთან ახლოს მდებარეობს.


ამ უღელტეხილის პანორამა აღწერილი აქვს პუშკინს, ლერმონგოსა და ბევრ სხვას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი იმ რამოდენიმე ადგილთაგანია, რომელიც მოგზაურს იმედებს არ გაუცრუებს იმ შემთხვევაშიც, თუ ის წინასწარ ძალიან ბევრს მოელის. არ უნდა დაგეაიწყდეს, რომ ეს გზა, ვიწრო ხეობის გავლით, ერთადერთი საშუალებაა კავკასიონის მთების ჯაჭვის გადასალახად. მართალია, არსებობს ორი-სამი ბილიკი, მაგრამ ისინი, პრაქტიკულად, გამოუყენებელია ეტლებისათვის.

ამ ვიწრო გასასვლელის ყველაზე უფრო პირქუმ ნაწილში გზა თერგის მარცხენა ნაპირზე ხილით გადადის და, რამოდენიმე ვერსტის შემდეგ, შედარებით უფრო გაშლილ ტერიტორიაზე აღმოვჩნდებით. ჩემი „პოდოროქნაია“ (საშეი) მეჯინიბე ბიჭს მივეცი და ვთხოვე, რომ ცხენები დაუყოვნებლად მოემზადებინა. როცა ჩაის შევექცეოდი, ზურგსუკან, ჩემდა გასაოცრად, უცხოური აქცენტით ჩემს მშობლიურ ენაზე მომეს-

მა საუბარი. კიდე უფრო დიდი იყო ჩემი გამოცემა, როცა დავინახე, რომ მოსაუბრე „სტაროსტა“ ანუ სადგურის უფროსი იყო, მთავრობის ინსპექტორი ანუ „სმოგრიგელი“ – რეალური განმგებელი. მან მითხრა, რომ ჩემი საშვიდან შეიგყო, რომ ინგლისელი ვარ და თავს უფლება მისცა მოსულიყო და გამომლაპარაკებოდა. ის თავისუფლად ფლობდა ინგლისურს – ხუთი წელი გაუგარებია ლონდონში, უმოგზაურია შეერთებულ შტატებშიც. ეს ძალზე სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი თურმე წელიწადნახევარია ლარსში იმყოფება და ინგლისელი თვალითაც არ უნახავს. ჩვენ ერთმანეთს როგორც კარგი მეგობრები ისე დაეშორდით იმ იმედით, რომ უკან დაბრუნებისას კვლავ შევხვდებოდით ერთმანეთს.

სოფ. ლარსი, რომელიც ფოსტის შენობის ჩრდილოეთით მდებარეობს, სხვებთან ერთად, დასახლებულია თეგორის გვარის რამოდენიმე ჩამომავლით. შორეულ წარსულში თეგორი სომხეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრე ყოფილა. თავისი უმცროსი ძმების შიშით, იგი გაქცეულა სომხეთიდან და თავი მთებისათვის შეუფარებია. თავისი სამეფო წარმომავლობის გამო, ისინი ბემოდან უყურებენ ლარიბ ხალხს, რომელთა შორისაც ცხოვრობენ. ამიტომ ამ უკანასკნელებს მთელი გულით სძულთ ისინი. სწორედ სოფლის განაპირას არის ერთ-ერთი იმ მრავალი კოშკთაგანი, რომლებიც მთელი ამ გზის გაყოფებაზე გვხვდება. ისინი უდაოა, იმისათვის არსებობდნენ, რომ მათ მეპატრონეებს კარგა დიდი გადასახადები აეკრიფათ ძველ-კარგ დროს, როდესაც ყოველი მოგზაური ეალდებული იყო დიდი ბაჟი გადაეხადა ამ ციხე-კოშკების გავლით ერთი მხარიდან მეორეზე რომ გადასულიყო.

ჩვენ ისევ მივყევით თერგს, რომელიც გამალებით მოექანება ღარიალიდან და ყოველ 30 ფუტზე ჩანჩქერებად გადმოსჩქეფს. პუშკინმა, რომელიც თერგს ფინეთის იმაგრას აღარებს, უყოყმანოდ გამოაცხადა, რომ თერგი თავისი დიდებულებით აღემატება ამ უკანასკნელს. რა თქმა უნდა, ორივე ამ შემთხვევაში, სრულიად განსხვავებულ პანორამასთან გვაქვს




DABIEL.

საქმე, მაგრამ როცა საქმე თვით მდინარეებს ეხება, მე არ შემიძლია დავეთანხმო პოეტს: მე არ ვიცი თერგის არც ერთი მონაკვეთი, რომელიც შეიძლება შევადაროთ იმაგრას უოქსესის ჩანჩქერს. ის ხომ უმოწყალო ძალის, დაუმორჩილებლობის მაგერიალიზაციას წარმოადგენს!

თუმც ხეობა ამჯერად ცოცხალი უფრო განიერია ვიდრე ეს იყო რამოდენიმე მილის მანძილზე, სამხრეთით, ხელი ისე დიდებულია და მკაცრი. ჩვენ ახლა კლდეებით, რომლებიც პირდაპირ მდინარის კალაპოტში ეშვება, დაბლობში გამოვდივართ. იქ დგას ჯერახოვსკის სიმაგრე – დაახლოებით 120 ფუტის სიგრძის მართკუთხა შენობა, რომელიც მთლიანად ჯარის ნაწილებს უჭირავს. მთებიდან ჯერ მთლად გამოსულები არა ვართ სანამ არ გავივლით ბალთას და 5 ვერსკით ვლადიკავკაზს არ მივუახლოვდებით. ჩვენს თვალწინ იშლება თვალუწვდენელი ხავეროვანი მწვეანე ველი. კონგრასკი გამოვგნებელია; ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შევიცარიოდან უეცრად ჰოლანდიაში აღმოვჩნდით.

ვლადიკავკაზში კავკასიონის ძირში, თბილისიდან 200 ვერსკის მანძილზე, 2368 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს. საუკეთესო სასტუმრო სადგურში მდებარე „პოჩტოვია“. კარგია „ფრანცია“. „ვლადიკავკაზი“ რუსულად ნიშნავს „კავკასიის ბატონ-პატრონს“ (შეადარე „ვლადივოსტოკს“, „ვლადიმირს“ და ა.შ. – ფუძეა „ვლად“ იგივე, რაც გერმანული „wal-ten“, Gewalt“); ჩერქეზები მას „კაკაის“ უწოდებენ, რაც „მთების კარიბჭეს“ ნიშნავს. მისი მოსახლეობა 30.000 კაცს შეადგენს. აქ, ძლიერი სამხედრო გარნიზონის გარდა, უმთავრესად, ცხოვრობენ რუსები, ჩერქეზები, ქართველები, სომხები, სპარსელები. ციხე-სიმაგრე 1784 წელს ააშენეს, მაგრამ ქალაქი, შამილთან ომამდე, მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი არასდროს გამხდარა. ადამიანი გაოცდება, როცა დაინახავს, თუ რა ნაკლებად არის გამოყენებული ადგილი, რომელზედაც გადის ევროპისა და დასავლეთ აზიის მთელი სახმელეთო გზა. ქალაქში არსებული რამოდენიმე საკვაშური მოწმობს საწარმოების არსებობას,



VLADIKAVKAZ.

მაგრამ ერთადერთი მოქმედი საწარმო არის სპირტის გამო-
სახლელი ქარხანა. მოელ კაეკასიაშია სახელგანთქმული ელა-
დიკაეკაშის ვერცხლის მხაგვრულად დამუშავების ხელოვნება.
მას ვხვდებით ხანჯლის ვალებზე, ქარქაშების, ქამრებისა და
სხვა ნივთების გაფორმების სახით.

ქალაქი გაშენებულია თერგის ორივე მხარეს, რომლებიც
ერთმანეთს რამოდენიმე ხილით უკავშირდება; საუკეთესო
კვარცალი გაშენებულია თერგის მარჯვენა სანაპიროზე, სა-
დაც მდინარის გაყოლებით გრილ, ყვავილებში ჩაფულულ ბა-
ლებსა და ხეივანს ვხვდებით. რამოდენიმე ქუჩა ლამაზად არის
მოკირწყლული. ქალაქში ერთი-ორი სასიამოვნო შესახელო-
ბის სახლია თავისი მიწის ნაკვეთით, მაგრამ უნდა ითქვას,
რომ მთლიანობაში, ეს არ არის ის ადგილი, სადაც ვინმე მო-
ისურვებდა დასახლებას. თუ არა აზიური ტანსაცმელი, აზიუ-
რი ენების მრავალფეროვნება და ის ფაქტი, რომ შენს თავ-
გემოთ კაეკასიონის მთებია აღმართული თავისი ყინულოვანი
მწვერვალებით, ადამიანი ადვილად წარმოიდგენდა თავის
თავს რომელიმე პროვინციულ ქალაქში, რომელიც მოსკოვი-
დან 100 ვერსტის დაშორებით მდებარეობს და არა 2.000-ით.

თუ ბედმა გაგიღიმათ და პაგარა თეატრის კარი ღია და-
გიხვდათ, მას შემდეგ, რაც შემოიღლით ბალებსა და ბულვარს,
ესტუმრებით ეკლესიას, რომელიც ჯერ კიდევ შენების პრო-
ცესშია, ბაზარს, სამხედრო სკოლასა და ძველ ციხე-სიმაგრეს,
თქვენ ნახავთ ყველაფერს, რაც ვლადიკაეკაშს გააჩნია, მაგ-
რამ ყველაზე უკეთესია თუ ჩაჯდებით მინერალური წყლები-
საკენ მიმავალ მაგარებელში (186 ვერსტი 9 საათში) და გა-
ემგზავრებით ქალაქში, რომელსაც „ხუთი მთა“ ჰქვია (პიატი-
გორსკი), (20 ვერსტის დაშორებით რკინიგზის ხაზიდან) და,
რომელიც აგერ თითქმის 100 წელია სახელგანთქმულია იმით,
რომ ყველაზე ფეშენებელურ შიდა სამკურნალო კურორტს
წარმოადგენს რუსეთის იმპერიაში.

ვლადიკავკაზიდან დაბრუნების რამოდენიმე დღის შემდეგ, ტიფლისიდან გასამგზავრებლად მოვემზადე. ივნისის თვის ბოლო დღეები იყო და აუტანელი სიცხე ქალაქიდან ერეკებოდა თითქმის ყველას, ვისაც კი შეეძლო წასულიყო. მთელი გზები, რომლებიც ქალაქიდან გადიოდა, გადატვირთული იყო ათასგვარი ურძითა და ეგლით, რომელსაც მიჰქონდა საოჯახო ნივთები და ხალხი გადაჰყავდა. ჩემმა ნაცნობებმა ხელშეკრულება დადეს რამოდენიმე მალაკნელთან (რუსი ერეგიკოსები), რომლებიც აზამბურის კოლონიას ეკუთვნოდნენ, რომ მათი საოჯახო ნივთები სიღნაღში გადაეგანათ. ისინიც დაგვიპირდნენ, რომ დილის 4 საათზე მოვიდოდნენ, მაგრამ მხოლოდ 9 საათზე გამოჩნდნენ და ამასთან მათი ურმები ნახევრადგაეცებული იყო სხვისი ნივთებით — ეს იყო ხელშეკრულების პირდაპირი დარღვევა. თუ ოდესმე ვინმე ილაპარაკებს მოთმინებაზე, რომელიც უკვე არაკად არის ქცეული და, რომელსაც პატრიარქ იობს მიაწერენ, მაშინ ასეთი მოთმინება უნდა ჰქონდეს ადამიანს, ვისაც მოსკოველ მუეიკთან აქვს საქმე. შეგვიძლია მისსავე ენაზე დააყარო ლანძღვა-გინება, შეგიძლია გაარტყა კიდევ, შეგიძლია მშვიდად, გონების დაძაბვით, მისთვის გასაგები მსჯელობით, ლოგიკით შეეცადო მის დარწმუნებას — არავითარი შედეგი; ის ქუდს იხდის, რომ თავი მოიფხანოს, შემოგყურებს თავდაჯერებული ბავშვური უცოდველობით და გაასუხოხოს არაკით, რომელიც თავისი ლაკონურობით უფროა მნიშვნელოვანი, ვიდრე იმ საქმის მოგვარება, რასაც ედავები. დიდხანს ვიკამათეთ და, ბოლოს, იმის შიშით, რომ სიბრაზისაგან ნერვული სტრესი არ მიგველო, ისევ მის უდიდებულესობას მივმართეთ — კანონს, რომელიც ბრგე პოლიციელით იყო წარმოდგენილი. მისი ბრძანებით, ურმები უმაღვე დაცალეს. სხვისი ნივთები, იქვე, გზის პირას დაყარეს, ჩვენი ბარგი თავის ადგილზე მოათავსეს და, დაახლოებით 10 საათზე მთელი ეს ქარავანი გრუხუნ-გრუხუნით ქვე-


შოთ დაეშვა; ერთი საათის შემდეგ ოთხცხენიანი რესორებიანი ეტლი მოვიდა და ჩვენ, ოთხივენი – ჩემი ქართველი მას-პინძელი, რუსი ქალბატონი, ერთი მამაკაცი და მე კახეთისაკენ მიმავალ: გზას დავადექით. მას შემდეგ, რაც ჩამოვედით ვიწრო ქუჩებით, რომელიც ერევანსკის მოედნიდან მდინარისაკენ ეშვება, გადაგვირთული ხიდი გადავკვეთეთ, ციცაბო ფერდობზე ავედით და სპარსული კვარტლის ყველაზე მჩქეფარე ნაწილი გავიარეთ. როცა გამოვედით გარეუბნიდან, რომელსაც ძაღლების სოფელს უძახიან და ქარევისლებითა და აქლებებით არის საფარე, ჩვენი ბარგით დაგვირთულ ურმებს წამოვეწიეთ, მგვირთავეებს მეგობრულად მივესალმეთ და ორხევისაკენ მიმავალ სწორ მგვრიან გზას დავადექით. ჩვენს მარჯვნივ, ქვემოთ, მტკერის სანაპიროზე მდებარეობს ნავთლული თავისი მშვენიერი ვენახებითა და ხეხილის ბაღებით. იქით, შოჩანს გზა აქსგაფასა და ერევნისაკენ; შორეულ სამხრეთ პორიზონტზე სომხეთის ლურჯი მთებია, ჩვენს მარცხნივ კი გადაჭიმულია არც თუ ისე მაღალი მთების ჯაჭვი.

გერიგორია, რომელმედაც კახეთის გზა მიემართება, უწყლო, პირდაპირი, თითქმის დაუსახლებელი მინდორია; ამოვარდნილი ქარები იმდენად ძლიერია, რომ თავშესაფრის ძიებაში, ჩვეულებისამებრ, სახლებს მიწაში აგებენ ისე, რომ მათი სახურავები გზის სიმაღლეს უგოლდება. ოცი წლის წინათ კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის ხელახლა დაფუძნებულმა საზოგადოებამ აწ განსვენებული რუსეთის მეფისაგან მიიღო მიწის დიდი კონცესია ყარა იაშის მახლობლად და 370.000 რუბლი დახარჯა საირიგაციო არხის (მარიისკი კანალ) მშენებლობისათვის. ეს გეგმა ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი და შედეგებიც არ ყოფილა ისეთი სასურველი, რომ მხარი დაეჭირათ ამ საზოგადოებისათვის; თუმც იყო რამოდენიმე ნესგორიანელი ასირიელი ქრისტიანი, რომლებიც აიძულეს ამ არაჯანსაღ მიწაზე დასახლებულიყო. დღესაც არსებობს უცყუარი ნიშნები იმისა, რომ უძველეს დროში მთელი ეს გერიგორია მტკერის წყლით ირწყვებოდა დიდი ხელოვნებით

ნაგები სარწყავე სისტემით, რომელიც ამ რეგიონს დიდად ნაყოფიერს ხდიდა; ახლა მთელი ეს სივრცე თითქმის ვრცელი უდაბნოა, სადაც მონადირისაგან სრულიად უსაფრთხოდ, ანტილოპები დასეირნობენ.

ორხევი, გარდა ფოსტის სადგურის შენობისა, არაფერი არ არის. ვისაც ერთადერთი გამოცდილება აქვს შექენილი გიფლისიდან ელადიკაეკაზამდე მოგზაურობისა, უსიამოვნოდ გაოცდება, როცა დაინახავს მგზავრებისათვის აგებულ პრიმიტიულ დასასვენებელ ადგილს – ჭუჭყიან, მოშიშვლებულ ოთახს ხის ორი გრძელი სკამითა და მაგიდით. კედლები გემოვნებით არის გაფორმებული ოფიციალური განცხადებებით, რომელთა შორის უმთავრესია ერთი – ოთხ ენაზე: ის აფრთხილებს გლეხებს ფილოქსერის წინააღმდეგ, რისთვისაც პლაკატებზე ამ დაავადების განვითარების ყველა ფაზა გამოსახული. ეს არის და ეს – რაც დამამახსოვრდა ორხევის შესახებ. ერთადერთი საშუალება იმისა, რომ აქ ცოცხა წაისაუზმო, არის „სამოვარი“ (ჩაის ჭურჭელი) მდულარე წყლით; თუ სათანადო ინგრედიენტები გაქვთ, შეგიძლიათ ჩაი თვითონ მოიმზადოთ. ჩემმა უწინდელმა მოგზაურობამ უკვე გამაცნო ყველა იმ პაგარა დისკომფორტსა და გასაჭირს, რაც მოელის კახეთში მიმავალ სტუმარს და ამიგომაც იმედის გაცრუება არ მიგრძენია. მთელი გზის მანძილზე სიღნაღამდე არც ერთი სადგური ამაზე უკეთესი არ არის და თუ მგზავრს საგზალი თან არ მოაქვს, მას საკმაოდ კარგი მადა ექნება, როდესაც დანიშნულების ადგილზე მივა.

მზემ მერიდიანს მიაღწია და საშინელი ძალით დაგვაცხუნა. ჩვენი ეტლი ღია იყო. კინაღამ დავიხრჩეთ მგვრისაგან, რომლის სქელი თეთრი ფენით თავიდან ფეხებამდე ვიყავით დაფარული. გზის ორივე მხარეს შიშველი გახრიოკებული მინდვრებია, სიცხისაგან ქვებივით გამომშრალი და ღრმა ნაპრალებით დასერილი; არავითარი წყალი; ერთადერთი, რაც ამ სურათის მონოტონურობას არღვევს, ურმების მწკრივია დაგვირთული ხარის ტყავებისგან დამზადებული ღვინით სავსე



AN ARBA

უმბარმაზარი გიკებით; ურემი ქართული ეროვნული გრანსპორტის სახეობაა. მას, გადმოცემის თანახმად, უძველესი დროის მეფეები ეტლად იყენებდნენ. ის მთლიანად ხისგან არის გაკეთებული – თითქმის არ არის რკინის ლურსმანი ან რაიმე მეტალი გამოყენებული; ბორბლები დამზადებულია ხის მთლიანი მორისაგან. ამის გამო, ბაეის გადაუხდელად არის ნებადართული გზატკეცილზე ურმით მგზავრობა, იმ ეტლებისაგან განსხვავებით, რომელთა ბორბლებს რკინის სალტეები აქვს შემოკრული. ურმებში ერთი წყვილი ხარია შებმული. შორს გასმის ურმის ჭრიალი. წყურვილისაგან ხახვამშრალები და მგერისაგან მთლად გახევებულნი, მოხარული ვიყავით, რომ ვაზიანს მივალწიეთ. აქ, მუხის ქვეშ, წყაროსთან გავშალეთ ჩვენი საწვიმრები, კარგად ვისაუზმეთ და ცოტა წაუუძინეთ კიდევ. ნაშუადღევს დავტოვეთ ვაზიანი და მალე ჩავუარეთ აყვავებულ გერმანულ კოლონიას მარინფელდს*, მოვლილი, ალვის ხეებით მოჩრდილული თავისი კოსტა კოტეჯებით. მდინარე იორი ამ მიდამოებს საოცრად ნაყოფიერს გრილსა და, შუა ზაფხულშიც კი, სასურველს ჰხდის. მარინფელდამდე, ჩვენს მარცხნივ, მოჩანს თელავის გზა და კახეთის მთები, რომლებიც ჩვენი გზისაკენ სწრაფად და დამრეცად ეშვებიან, მაგრამ კიდევ ბევრი მომღლეი ვერსტი უნდა გავიაროთ, რომ შევძლოთ თელავის გზას დავადგეთ. დაახლოებით საღამოს 6 საათისათვის ჩამოვედით აზამბურში რუსულ სოფელში, რომელიც არც თუ ისე შორს მდებარეობს სართიჭალიდან. შეთანხმებულები ვიყავით, რომ ის დამე იქ გაგვეთენებინა და ე.წ. „პოსტოიალი დვორს“ ანუ სასტუმროს მივადექით.

აზამბური მუსგად ისეთივეა, როგორიც ნებისმიერი სხვა რუსული სოფელი – გრძელი, ჭუჭყიანი, გაუბედურებული ქობახების ორი მწკრივი. თითოეულ გლესს აქვს თავისი სახლი და სხვა ნაგებობები, რომლებიც განლაგებულია ოთხკუთხა გერიგორიის გარშემო, რომლის შუაშიც არის ურიკები, ღორები, სამეურნეო პროდუქტები და ყოველგვარი სიბინძურე. მცხოვრებლები მალაკნები არიან; ზოგიერთ რამეს ამ ხალხის

რელიგიური შეხედულებების შესახებ შეიძლება გაეცნოთ ბ-ნ დ.მ. უოლესის ცნობილი ნარკვევით რუსეთის შესახებ. მალაკ-ნებს არც მღვდლები ჰყაეთ და არც ზიარების წესი აქეთ. ისინი არც ეწვეიან, არც სვამენ, არასდროს ილანძლებიან უშეერი სიგყეებით და უდიდეს თაყვანს სცემენ ბიბლიას, რომელიც თა-რობე ყველა ოჯახის საერთო ოთახში დევს. მალაკნები ვერ მოხიბლავენ ადამიანს ვერც სახით და ვერც საუბრით. მათი საშინელი სირეგვენე და შეუსხედაობა კიდეე უფრო ძალუმაღ იგრძნობა იმ კონგრასტიო, რომელიც საქართველოს მკვიდ-რი მოსახლეობის ფონზე იქმნება. მათ მიერ ამ გერიგორიის კოლონიზირება აუხსნელი დარჩებოდა, თუ არ გავიხსენებდით მათ განსაკუთრებულ რელიგიურ რწმენას – ამ დაბლობში ყველაზე უარესი ადგილი ამოირჩიეს. ერთადერთი სასმელი წყალი, რომელიც მთელ ამ არე-მარეში მოიპოვება, იმდენად უვარგისია, რომ ჩანის დალევა, რომელიც ამ წყალზე მზადლე-ბა, სრულიად შეუძლებელია იმათთვისაც კი, ვინც მტკერის წყალს არის მიჩვეული. სოფლის ახლოს ამშორებული, დამ-პალი ჭაობებია, რომლებიც ამ გერიგორიას ჯანმრთელობი-სათვის საშიშს ხდის.

სადილის შემდეგ, მოსაწეეად გარეთ გამოვედით მალაკ-ნელი რომ არ შეწუხებულებიყო ურბილესი სიგარეგის სუნით. ზამთარშიც კი სტუმარი იძულებულია ღია ცის ქვეშ მოსწი-ოს. გზაზე გამოვედით. აქ ბაეშეები დაგვედევნენ – მათ არას-დროს უნახავთ ევროპულ განსაცმელში გამოწყობილი ქალ-ბატონი. პატარა გორაკზე ავედით. აქედან დაინახეთ ჩვენი ბარგით დატვირთული ურეში, რომელიც ნელ-ნელა გვიახლოვ-დებოდა. სოფელში ხელახლა შესვლისას წამოვეწიეთ გლეხს, რომელსაც ინგლისური სამკალი მანქანა მოჰქონდა. ეს კაცი უფრო მოლაპარაკე ჩანდა, ვიდრე მისი მეზობლები – თავისი საკუთარი ინიციატივით გამოგვესაუბრა. ქება დაუწყო სამკალ მანქანას და ირწმუნებოდა, რომ ამ მანქანის გამოგონებე-ლი (განსაკუთრებით, მისი რომელღაც ჭანჭიკის) „ყურის ძირში კოცნას“ იმსახურებდა. შევეცადეთ მის დაინგერესებას ჩვენი

საკუთარი იდეით, რომ სოფლის თემს ერთად შეეძინა საბეურნეო მანქანები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მისი მოქცევა ვერ შევძელით.

ცხრა საათი ხდებოდა, როცა ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი – თავადი გიორგი მასზე გაპიროვნებულ საქონელთან ერთად ჩამოვიდა. ვახშობის დროს დიდი მხიარულება გამოიწვია მისმა ამარ ცდამ გაეკონტროლებინა სიგყვა „ჩორგის“ (ეშმაკი) ხმარება – მისი მოფერებითი სიგყვა, რომელიც სასტიკად არის აკრძალული ყველა ნორმალური მალაკნელის ოჯახში. მშვენიერი ღამე იდგა, ჰაერი გრილი იყო, მაგრამ მალაკნების გილების შემოსევას გარეთ დაძინება ვარჩიეთ, დასაბანაკებელი ადგილი კალოზე შევარჩიეთ სახლიდან 100 იარდის დაშორებით. აქ „ბურკებში“ გავეხვიეთ, დავეჭიეთ, დიდხანს, დიდხანს ვსაუბრობდით და ვეწეოდით სიგარეტს მანამ, სანამ ძილი არ მოგვერია, მაგრამ მშვიდი ძილი იმ ღამეს არ გვეწერა – თავს ველური ძაღლები დაგვესხნენ. რამოდენიმეჯერ ცემა-ტყეპით გავრეკეთ, მაგრამ ყოველ გარეკვაზე მათი რიცხვი უფრო და უფრო იზრდებოდა და, ბოლოს, რაც კი ძალე იყო აზამბურში, ყველა ჩვენ შემოგვესია ყმუილით.


სამ საათზე ფეხზე ვიყავით და მეეტლებს ვაღვიძებდით, ცხენები შევკაზმეთ და კაკაბეთისაკენ გაუუდექით გზას. რიჩრაქზე ულამაზესი ჩიტები პეპლებივით დაფარუტაგებდნენ მომხიბლავი მშვენიერი ფრთებით, თვით პეპლები კი სილიდით ჩიტებს წააგავდნენ. ამჯერად ისეთი საშინელი სიცხე არ იდგა როგორც მაშინ, როცა რამოდენიმე კვირის წინ ნაშუადღევს აქ გამოვიარე, მაგრამ, იმდენად ცხელოდა, რომ მთის ჰაერით სუნთქვას ენატრობდით. ეს ადგილი ჭაობიანია და ციებცხელება ამ ადგილებს სრულად დაუსახლებელს ხდის.

კაკაბეთი ვერაფერ საინტერესოს ვერ გვთავაზობს. აქედან კაჭრეთამდე მომაბებრებელი სივრცეა გადაჭიმული. კაჭრეთთან ახლოს კი სტუმართმოყვარე ანდრონიკოვების ოჯახის მამულია. მათთან ოთხ საათს დავერჩით და სადგურიდან მხოლოდ ნაშუადღევს პირველი საათისათვის გამოვედით. მარც-

ხნივ, მიმზიდველი შესახედაობის შარავგას ჩაეუარეთ, რომელიც ბაკურციხისაკენ მიემართება. ერთხანს დაბლობს მივეყვებოდით; შემდეგ ძალიან სწრაფად ავედით სოფელ ნუკრიანში და მთის წვერიდან სიღნაღი გამოჩნდა. ჩვენს ქვემოთ, გყით დაფარული მთის კალთები კიდევ უფრო მშვენიერი მოგვეჩვენა იმ გაშიშვლებულ, მონოტონურ გარემოსთან შედარებით, სადაც გასული ორი დღე გაფატარეთ. მიხვეულ-მოხვეული გზით ჩამოვედით. ქალაქში შევედით, ბაზრის გადაჭრით გავიარეთ მთავარი ქუჩა და პირდაპირ მივაღექით ციცაბო მთას, რომელიც ალაზნის ველიდანაა ამოზიდული.

ჩვენი ახლანდელი ბინა უმშენიერესი ადგილი აღმოჩნდა დიდი მაღალჭერიანი ოთახებითა და ორი აივნით, სახლის უკან, გორაკის ფერღობებზე შეფენილი ვენახებითა და ბაღებით. უფრო მშენიერი ხედი მე არაღსროს მინახავს და არც წარმომედგინა. შენობა აგებული იყო ციცაბო, ვიწრო ხევის პირას, რომლის დამრეცილი ფერღობები ალაზნის ველამდე დაფარული იყო ვენახებითა და თუთის ხეებით, სწორი ნაყოფიერი დაბლობი 30 მილის სიგანეზეა გადაშლილი. მარცხნივ, კოშკებჩამონგრეული ვრცელი ციხე-სიმაგრე დგას – დიდი მნიშვნელობის მქონე სიმაგრე შამილთან ომის დროს, მის უკან სომხური ეკლესიაა და ქალაქის გარეუბნები. ჩვენს წინ, პირდაპირ მოჩანს დაბლობიდან კედელივით ამოზიდული კაეკასიონის მთიანეთი. თოვლით დაფარული მისი მოელვარე მწვერვალები მისსავე ფერღობებზე შეფენილ ჩაშაკებულ გყეებს ზაფხულის ლაქვარდოვანი ცისაგან გამოყოფენ. ველის შუაში ვერცხლისფერი ალაზანი მიიკლაკნება და დაქუშავებულ მიწებს დაბურული გყეებისაგან აცალკევებს. შორს, ჰორიზონტთან მიმოფანტულია პატარ-პატარა სოფლები თავისი ქათქათა კოპწია ეკლესიებით. იქით მოჩანს გყე, რომელიც მძინარე მზეთუნახავის უღრან გყეს გვაგონებს. სიღნაღის სიმაღლეებიდან ეს გყე დიდი არა ჩანს, მაგრამ მისი დიამტერი 6 მილია. შიგნით ის იმდენად უღრანია, რომ იქ შეღწევა მხოლოდ ნაჯახით გზის გაკაფვის შედეგად შეიძლება. აქ უამრავი გარეული ცხოველი და საშიში ქვეწარმავალი ბუდობს. მარცხნივ, თელავის მთებია; უკიდურესად მარჯვნივ, მდინარის ნაპირზე რამოდენიმე ქოხი ალაზნის ხიდის მდებარეობას მიაჩნებებს. მის იქით უწყვეტი უნაყოფო ქვიშის სტეპებია, რომლებიც კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული.

სიღნაღი თბილისიდან აღმოსავლეთით 100 ვერსტის დაშორებით და ალაზნის ველიდან 100 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს. მოსახლეობა 10.000 ალემბგება, უმრავლესობას სო-



A STREET IN NISNANG.

მეხი ვაჭრები, მევახშეები ჯა სხეები შეადგენენ. სახელწოდება სიღნაღი „თაემესაფარ ქალაქს“ ნიშნავს. 19 საუკუნეში დაარსებული და გამაგრებული, დაღესტნელთა შემოსევების დროს, იგი სოფლის მოსახლეობის საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. ციხის გერიგორია საკმაოდ დიდია და მაღალი კედლით არის შემოზღუდული. კედელში თანაბარი მანძილით დაცილებული კოშკებია დაგანებული. შიშინანობის დროს ქალაქის მოსახლეობა ამ კედლის შიგნით იმყოფებოდა; ბაკურციხის ფოსტის გზა ამ ციხე-სიმაგრის გავლით მიემართება. შზის ჩასვლისას, სიღნაღის მთელი სიმდიდრე და მშენიერება შეიძლება ამ შარავგზაზე მოსეირნე ნახოთ, რადგან იგი ერთგვარი „ბულვარია“. კვირაობით აქ ზურნისა და ღოლის თანხლებით ჭიდაობა იმართება. ამჟამად სიღნაღის სამხედრო მნიშვნელობა დასასრულს უახლოვდება და თუ რუსეთი ოდესმე ისევ დიდ ომში ჩაება, გასაგები იქნება, რომ ამ რეგიონში ლეკებმა რაღაც ჩაიღინეს. გარნიზონის რაოდენობა აქ ძალიან მცირეა.

კლუბი სიღნაღის მთელი იქაური სოციალური ცხოვრების ცენტრს წარმოადგენს. შაბათობით იმართება არაოფიციალური ცეკვები, რასაც უცხოელები მოუთმენლად ელიან, როგორც მონოტონური პროვინციული ცხოვრების სასიამოვნო გამონათებას. სასტუმრო „გასტინიცა ნადეჟდა“ (სასტუმრო იმედი), რომელსაც კახეთის „გრანდ პოგელი“ შეეარქებით, იმდენად ჭუჭყიანია და არამიმზიდველი, რომ ევროპელი ევრეკი წარმოიდგენს ასეთი რამ თუ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ეს არის ყველაზე უკეთესი სასტუმრო ქალაქში. მის მოპირდაპირე მხარეს სასამართლოს შენობაა. მახსოვს რა საინტერესო საღამო გავაგარე იქ, როცა ვესწრებოდი ქართველების, თათრებისა და სომხების სასამართლო პროცესებს, რომელიც ძვირფას ფორმაში გამოწყობილ რუს მომრიგებელ მოსამართლეს მიჰყავდა. საქმეები მოგვარებულ იქნა სისწრაფით, რომელიც სრულიად უცხოა ლორდ-კანცლერის უმაღლესი სასამართლოსათვის.

მთლიანობაში, სიღნაღი ჭუჭყიანი, მაგრამ უაღრესად თვალწარმგაცი პაგარა ქალაქია; ქუჩები ვიწროა, მიხვეულ-მოსხვეული, ცუდად მოკირწლული. დუქნები, როგორც ეს ჩვეულებრივად არის მიღებული აღმოსავლეთში, პაგარა ღია ოთახებია, სადაც უნაგირის ოსტატები, თერძები, მჭედლები გულმოდგინედ მუშაობენ. ქალაქს გარს მშვენიერი მთები ერგყმის, დაფარული მუხის, კაკლისა და გყის სხვა მცენარეებით. ერთადერთი ადგილი, რომელიც მე სიღნაღმა გამახსენა, ემელუი გახლავთ, მაგრამ ეს მსგავსება ოდნავია მხოლოდ.

ბოდბეში, ერთ-ერთ მთაზე წმინდა ნინოს მონასტერია. ეს პატივსაცემი რელიკია მთელ კახეთში ყველაზე მშვენიერ ადგილზე დგას გარშემორტყმული დაბურული ტყით, რომელიც აღრეული ხანიდან გადაურჩა განადგურებას ხალხური ტრადიციის გამო. ამ ტრადიციის მიხედვით იმ წელსეე მოკვდება ადამიანი, თუ ამ ტყეში ერთ გოგსაც მოტყხს.

მონასტერი თავდაპირველად მეფე მირიანს აუგია მაშინვე, როგორც კი ქართველთა განმანათლებელი გარდაცვლილა. ტაძარში წმინდოს საფლავი ახლაც შეგიძლიათ ნახოთ. ერთ-ერთ კედელზე არსებული წარწერა გვაუწყებს, რომ თემურ-ლენგის მიერ ქვეყნის აოხრების შემდეგ, ტაძარი მეფე გიორგის აღუდგენია. ეკლესიის საცავში ბევრი უძველესი ხელნაწერია, რომელთა შორის ზოგიერთი, უდაოდ, დიდ ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, ეს ხელნაწერები კატალოგიზირებული არ არის. ბოდბეში ვიზიტისას, ჩავუარე ერთ ღვინის დუქანს, სადაც რამდენიმე ქართველი დროს მხიარულად ატარებდა. როცა დამინახეს, დაჟინებით მთხოვეს მათთან დავრჩენილიყავი და დამეღია, მაგრამ მადლობა გადავუხადე და მოვებოდიშე, რომ დროის უქონლობის გამო, იძულებუი ვიყავი შეთავაზებამზე უარი მეთქვა; მაგრამ, როცა უკან ვბრუნდებოდი, ისინი შუა ქუჩაში გამოვიდნენ, ქუდები მოიხადეს და თასი მომანწოდეს. ამჯერად მის დაცლაზე უარი ვეღარ ვუთხარი, ჩემი კეთილი მასპინძლები სერიოზულად რომ არ გამენაწყენებინა. ეს პაგარა

ინცინდენტი ქართული ხასიათის საუკეთესო გამოვლინებაა – როცა ქართველი მხიარულობს, სურს რომ ეს სიხარული ყველამ გაიზიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უბედურად ჩათვლის თავის თავს. მე მინახავს ერთი ქართველი მემამულე, რომელმაც რამოდენიმე წუთით მიაგოვა ლხინი და თავლაში შევიდა, რომ თავისი ერთგული ცხენისათვის გაეზიარებინა საყოველთაო მხიარულება იმით, რომ მას ბაგაში უამრავი ქერი დაუხვავა.

მოზგაურობა ალაგანგა ბაკურციხე-ქართუბანი-ლაბოლეხი

საქართველოს ბაღნარს – კახეთს ვენახებით დაფარულ გორაკებზე ყოველდღე სეირნობით მალე გავეყანი. კოდალოში ანდრონიკოების ხელგაშლილ სტუმართმოყვარეობას ვეზიარე, ბაკურციხეში – ვაჩნაძეებისას, მაგრამ ალაგანის მეორე მხარეზე მიმდებარე ადგილებში არა ეყოფილვარ. ამიგომ, სიამოვნებით დაეთანხმდი, როცა თავადმა ვაჩნაძემ მიმიწვია დილაადრიან მათთან ერთად გავმგზავრებულიყავი მისეულ ქამულებში კართუბანში, რომელიც მდ.კაბალოზე, მთის ძირში, დაბლობის მოპირდაპირე მხარეზე მდებარეობს.

ამგვარად, ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას გამოჩნდა ჩვენი კავალკადა, რომელიც ფერდობის ქვემოთ, სიღნაღის მთავარ ქუჩაზე მიემართებოდა. ჩვენი პირველი შესვენების ადგილი ბაკურციხე იყო, სიღნაღიდან 17 ვერსტზე. აქ სადილად მიგვიპატიეს – კახეთის მემამულეთა და ქალბატონების დიდ თავყრილობას შევხვდით. როცა ქალაქი დაეტოვეთ, ჩვენი გზა რამოდენიმე მილის მანძილზე, მდინარის ფლატეზე გადიოდა. როცა ახლა ვიხსენებ ამ ვიწრო ხეობის მშვენიერ ხელუხლებელ ბუნებას, გული ისევ სიამოვნებით შევსება. ეს იყო ბევრი სასიამოვნო მოგზაურობის სურათები – შუაღლის თაკარა მზეში, საღამოს სიგრილეში, ქარიშხლიანი ღამეების შემდეგ. ეს გახსენებაა იმ წუთებისა, როცა შინ წვიმისაგან მთლად გალუმპულები ვბრუნდებოდით, როცა გზას მხოლოდ ელვის თვალისმომჭრელი გამობრწყინება გვინათებდა; როცა გზას ლოდებში მივიკვლევდით, ბევრი თავაზიანი მამაკაცი გვხვდებოდა. მათ უმრავლესობას ჩვენისთანა ჩერქეზული სამოსი ეყვანა, მაგრამ არც თუ ისე ცოტა იყო მათ შორის განსაკუთრებით, ხანდაზმულები, რომლებიც ნამდვილ ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს ატარებდნენ – მოკლე ქულაჯას, რომელსაც მხრებიდან ჩამოშვებული გრძელი ქსოვილი აშშვენებდა. ამ კოსტიუმს ძველ პოლონურ ეროვნულ ტანსაცმელს ამსგავსებენ.



GEORGIAN NATIONAL COSTUME.

გზაზე მომავალი ალაპიანები ასგრაბანის ბეწვისაგან შეკერილ ფაფახს იხდიდნენ, თავის ნაგიფი დაკერით გვესალმებოდნენ, თავისი ქვეყნის წესისამებრ, სიგყვებით: „გამარჯობა“, რაც ნიშნავს: „მე შენ ვისურვებ გამარჯვებას“. ჩვენც ვპასუხობდით – „გაგიმარჯოს“ – ღმერთმა გამარჯვება მოგცეს“. ეს მისალმებები ისეთივე მრავლისმთქმელია, როგორც ფოლიანტიკის ათობით გოპი. მე არასდროს მსმენია მათგან რაიმე მონათხრობი ისე, რომ არ ეფიქრათ ქართული სამეფოს დიდებულ, მაგრამ ნაღვლიან წარსულზე. ეს ერი საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა თვითიყოფადობას, სრულიად მარტო, ქრისტეს მოძღვრებითა და ჯერით იბრძოდა ყველა მაჰმადიანი მგრის წინააღმდეგ, ახლენდა გვირობისა და რაინდობის ისეთ სასწაულებს, რომლებიც რომისა და საბერძნეთის დიდებასაც ბევრს შემაგებდა.

ღმერთმა მოგცეს გამარჯვება გმირო საქართველოვ!

როგორც იქნა, ღარგაფიდან ამოვალწიეთ და ანაგის ფოსტის გზაზე გავედით. ქაფმორეულმა ჩვენმა ცხენებმა ჭენებით გაიარეს კარგადმოკლილი ვენახები, რომლებიც რუს კაპიტალისგ გრაფ შერეპეტიევს ეკუთვნის და, რომელიც ადგილობრივ ღარიბ მემამულეებს განადგურებით ემუქრება – ის თავის ღვინოს თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად ჰყიდის. დაახლოებით სიღნაღსა და ბაკურციხეს შორის გზაზე ორმა ჩვენთაგანმა დანარჩენებს გაეუსწართ. ერთმანეთის გვერდი-ვერდ მივდიოდით, როცა ჩემი თანამგზავრის ცხენს ნალი დაეკარგა. მე ის იქვე გმისპირას მდებარე სამჭედლოში დავტოვე და გზა მარტომ გავაგრძელე. ზაფხულის მცხუნვარე მზე მალლა იდგა ცის ლურჯ თაღზე; ჩემს მარცხნივ, სუროთი დაფარული კლდეები მოჩანდა, მარჯვნივ მდინარის გადაღმა აღმართული მთის თეთრი მწვერვალები, რომელიც ერთმანეთისაგან გეყოფდა მე და ევროპას, მაგრამ მე ევროპაზე სულაც არ ვფიქრობდი, ყველაფერი დამაფიწყდა – ნათესაეები, ჩემი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა. მე და ჩემი ცხენი ერთ არსებად ვიქეცით სიცოცხლის მჩქეფარე ოკეანეში ჩვენს დეღამი-

წაბე მსროლნი. ჩემი მაჯისცემა ჰარმონიულად ერწყმოდა თვით ბუნების გულისძგერას. იგი რიგმულად მიჰყვებოდა ნაკადულის ჩხრიალს, ხეთა მოცახცახე ფოთლებში მოსრიალენიავის ჩურჩულს. მე განცხრობის ნირვანაში შევედი. აქ „მე“-ს მთელი ცნობიერება სამყაროს სულში დაინთქა.

ჩენი მასპინძლის სახლისაკენ მიმავალ ბილიკს ნახევარი მილით გავცდი. უკან მოუხედავად მიექროდი, სანამ ჩემს წინაშე წამომართულმა კლდის გრილმა ჩრდილმა თავდავიწყებოდან არ გამომიყვანა. სწორედ ამ კლდის წვერზე შეხედნენ ჩემი მეგობრები თავიანთ მოიჯარეებს იმ უთანხმოების მოსაგვარებლად, რაც მათ შორის წარმოიშვა. ალალ-მართალ ხალხს არ უყვარს სასამართლოები – განსაკუთრებით რუსული. ამიგომ კეთილმა კახელებმა გადაწყვიტეს დაეა ძეელი ნაცადი წესით მოეგვარებინათ: მოკლულ იქნა ორი ცხენი და ორივე მხრით კარგა ბევრი იქნა სასტიკად ნაცეპი და დაღურჯებული; მემამულეები გამარჯვებულები გამოვიდნენ. მიუხედავად ამისა, დათანხმდნენ გარკვეული კონცესიები დაეთმობთ გლეხებისათვის. ასე რომ, ბრძოლის ველი ყველამ კმაყოფილმა დატოვა. ერთი რამ უნდა ითქვას მხოლოდ – ეს საქმე იშვიათი გამონაკლისი არ ყოფილა. საერთოდ, ურთიერთობა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ბრწყინვალეა; მათ ისეთი ძლიერი შინაურული სიყვარული აკავშირებს ერთმანეთთან, რომ გლეხები თავიანთ ბატონებს მოფერებითი სახელებითაც კი მიმარსავენ.

ნაშუადღევს, ყველანი ჩენი მეგობრის სტუმართმოყვარეობით ეტკებოდით. როცა მე ვაპბობ „სტუმართმოყვარეობით“, მე არ ვაპბობ ამ სიგყეებს მისი შაბლონური მნიშვნელობით – ქართველი თავისი სტუმრის მიმართ ისეთ თავაზიანობას და სიკეთეს ამჟღავნებს, რაც სრულიად უცნობია ევროპის ხალხებისათვის. მალე სხვა ნაცნობებიც შემოგვიერთდნენ და სადილობის ჩვეულებრივ დროს, 3 საათზე, ოციოდე ჩვენთაგანი მთის ძირში მოჩრდილულ გალავერში დაჯდა სასადილოდ. კერძები სუფთა აღმოსავლური იყო: ფლავი (ბრინჯი შეკამ-

მული ხილით, ბუსგულის კაკლითა და სხვა), მწვადი (ცხერის საუკეთესო ხორცი შემწვარი ერთი იარღის სიგრძის ვერცხლის შამფურებზე, რომელსაც მთლიანად მოგართმევენ) და ბევრი სხვა დელიკატესი, რომლის გახსენებაზე ახლაც ნერწყვი მომდის. ქართული ღვინო განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. კახეთს აქვს მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ნიჟარა ვაშის მოსაყვანად. აქ შეიძლება ნებისმიერი ღვინის წარმოება, შამპანურის ჩათვლით. საუბედუროდ, ხალხი ჯერ არ იცნობს იმ მეთოდებს, რომლითაც ეს ღვინოები უნდა იყოს „მანიპულირებული“ იმისათვის, რომ ევროპელს მაშინვე მოეწონოს. ზოგიერთი საუკეთესო მარკის ღვინო, რომელსაც ეს ნაკლი არ გააჩნია, უმეტესად, პეტერბურგსა და მოსკოვში იყიდება, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენად კარგად ცნობილი არ არის, როგორც ამას იმსახურებს. ვაჭრები, ახალი ღვინოების შემოგანას ხელს უშლიან, როგორც ამას ჩვენი ავსტრალიელი და აფრიკელი ქვეშევრდომები აკეთებენ; მაგრამ აუცილებლად დადგება დრო, როცა ქართული ღვინოები ცნობილი და დაფასებული იქნება.

ღვინის სმის ძალზე საინტერესო გრადიცია არსებობს საქართველოში. სადღეგრძელოების ოსტაგს (გოლუმბაშს) ყოველთვის ირჩევენ. მის მოვალეობას შეადგენს სათითაოდ ყველა სტუმრის სადღეგრძელოს შეთავაზება. ის, ვინც სასმისს არ დაცლის, სანამ შემდეგი სადღეგრძელოს დრო დადგება, გოლუმბაში დაუძახებს „ალავერდი“, რომელსაც მოზინა მსმელი უპასუხებს „იახშიოლ“ და მაშინვე ერთი ამოსუნთქვით, ცლის სასმისს, რათა თავი დააღწიოს ღვინით სავსე ღიღი ყანწის ჯარიმას, რომელიც მან სულმოუთქმელად უნდა დალიოს. გემოხსენებული სიგყვები თათრული წარმოშობისაა და იხმარება იმ მამაცი თათრის პატივსაცემად, რომელსაც ალავერდი ერქვა და რომელიც ქართველების მხარეზე ებრძოდა სპარსელებს. იგი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ჭიქები იტყვენ 0,13 ლიგრს და უცხო ადამიანი, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად ქეიფობს, შიშით შეჰყურებს თავის მომავალ მდგო-

მარეობას, რომელშიც აღმოჩნდება ჯაგიდის დაგოვებისას. საბედნიეროდ, ღვინო სხვა არაფერია, თუ არა სუფთა ყურძნის წვენი და ვისაც მაგარი თავი აქვს, სამი-ოთხი კვარტი შეუძლია დალიოს. თითოეულ სადღეგრძელოს თან ახლავს ბრწყინვალე უძველესი სიმღერა, რომელსაც „მრავალქამიერ ღმერთმა ინებოს“ (ღმერთმა გიბოდოს მრავალი წლის სიცოცხლე) ჰქვია, და, რომლის პასუხად სადღეგრძელოს მიღებმა სიმღერითვე უნდა უპასუხოს – „მადლობელი ვარ“ (მადლობას გიხდით). დანართში ჩაწერილი მაქვს ეს სიმღერა. ქალბატონები ღვინით ოდნავ შეფერილ წყალს სვამენ მხოლოდ.

სადილი ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა და დამთავრდა მრავალფეროვანი სადღეგრძელოებით, რომელთა შორის ინგლისისა და მისი დედოფლის სადღეგრძელოები უდიდესი აღფრთოვანებით აიგაცეს. ჩაის შემდეგ, სტუმრები უსმენდნენ მუსიკასა და ცეკვავდნენ. ბინდმა მოგვისწრო, როცა ყველა – მოხუცი თუ ახალგაზრდა კატა-თაგეობანასა და დახუკობანას თამაშში ვიყავით გართულნი. შუა ღამე გადასული იყო, როცა დასაძინებლად წავედით; ზოგი ჩვენგანი დაწვა ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე, რომელიც საქართველოში საწოლად იხმარება, ზოგმა კი, წამოსასხამში გახვეულმა, მწვანეზე ძილი არჩია.

წინასწარ დაგეგმილი გვექონდა, რომ დილის 4 საათზე ალაბანზე გავმგზავრებულებიყავით, თავიდან რომ აგვეცილებინა შუადღისას მდინარის ნაპირზე მდებარე ველის თაკარა სიყხე, მაგრამ როცა ავდექით, აღმოვაჩინეთ, რომ ორი ცხენი სადღაც გაუჩინარებულიყო. ამან ორი-სამი საათით შეგვაყოვნა. ბოლოს, დავემშვიდობეთ ჩვენს კარგ ბაკურციხელ მეგობრებს და ფერდობით დაბლობისაკენ დავეშვიტეთ. მსახურის გარდა, ყველანი, ამ ქვეყნის წესისამებრ, კბილებამდე ვიყავით შეიარაღებული ხანჯლებით, პისტოლეტებით, ხმლებითა და თოფებით – მეტად საჭირო საშუალებებით. აქ ვნახეთ გუთნის დედები, რომლებსაც მხარზე ორლულიანი თოფები ეკიდათ, წელზე ხმლები და ხანჯლები ერტყათ. ამავე დროს, ხნულის

ბოლოს მზადყოფნაში სპეციალურად იდგნენ ადამიანები, რომ, საჭიროების შემთხვევაში, განგაში აეტყხათ. ამ ნაყოფიერი მიწების ნახევარი თუ იქნება დამუშავებული, რადგან მთებიდან შემოსეული თავმზებელადებული ლეკი მძარცველები, თავს ესხმიან ფერმებს, იგაცებენ ყველაფერს, რისი წაღებაც შეუძლიათ, ხოლო ბრძოლის დროს, უბრალოდ, წვავენ და ანადგურებენ მთელ სოფლებს თითქმის თბილისის კარიბჭემდე.

მდინარეზე თავქვე მოგზაურობა ძალზე დამლელი აღმოჩნდა. ბორანს შუადღემდე ვერ მივალწიეთ. მებორნე მდინარიდან კარგა მოშორებით ცხოვრობს, პატარა ქოხში. მხოლოდ ჰაერში ექვსი გასროლის შემდეგ შევძელით მისი ყურადღება მიგვეპყრო. ლერწმებში ნახევარი საათის ლოდინი, როცა მზე მუსტად ჩვენს თავზე იდგა, უცხელესი ნახევარი საათი იყო ჩემს ცხოვრებაში. ბოლოს, მოვიდა ბორანი – ერთად შეკრული გრძელი ხის მორები, რომლის შიდა ნაწილი გამომწვარია. ცხენებს უნაგირები და აღვირები დაეხსენით და ბორანზე დავალაგეთ. თვით ცხენები, რა თქმა უნდა, თვითონ უნდა გასულიყვნენ მდინარეზე. დინება აქ ძალიან ძლიერია. მათი წყლიდან გამოყვანა ძნელი აღმოჩნდა. მოსალოცები ვიყავით, რომ არც ერთი მათგანი დინებას არ წაუღია. ბორანზე რომ არ ვყოფილიყავით, მდინარის ნაპირები იმდენად ციცაბოა, რომ ხმელეთზე გადმოსვლა შეუძლებელი იქნებოდა. როცა ყველამ მშვიდობიანად მივალწიეთ მეორე ნაპირს, ხის ჩრდილში წამოეწეჩით და შევექეცით კიგრს, სოფლის პურს, მთელი გიჟით წამოღებულ თეთრ კახურ ღვინოს.

ჩვენი მუშაკობის ყველაზე ცხელი დღე მიიწურა; ახლა გადახრუკული, უჩრდილო ველის ნაცვლად, უმზეო დაბურულ ტყეებში მოგვიხდებოდა სიარული, სანამ ღამის გასათევ ადგილს მივალწევდით. კარგად ვიცოდით, რომ ასეთ განცხრომაში მთელი დღე ვერ ვიქნებოდით, რადგან ეს გყვ სავესე იყო აემნიანი ცხენის ბუზებით; რამდენადაც ჩრდილოეთის ბილიკით უნდა გვევლო, შანსი გექონდა პირადად გავცნობოდით ამ მწერებს. ნაპირიდან ერთ მილზე ბუზების მთელი გუნდები

შემოგვესია. ცხენები უფრო და უფრო შფოთავდნენ – ფერ-
დებიდან სისხლი სდიოდათ. ბოლოს, ტკივილისაგან სულ
მთლად გადაირივნენ. ცდა იმისა, რომ ცხენები აღვირით დაგ-
ვეჭირა – გამორიცხული იყო. ერთადერთი, რაც შეგვეძლო
გაგვეკეთებინა, თავის ნებაზე მიგვეშვა და ყურადღებით ვყო-
ფილიყავით, რომ ამ ძნელად სავალ გზაზე, თავი დაგვეღწია
ჩამოშვებული ტოტებისაგან. მართალია, საქართველო გრო-
პიკული ქვეყანა არ არის, ეს ნამდვილად გროპიკული ტყე იყო
მთელი სიუხვითა და მრავალფეროვანი მცენარეულით – კაკ-
ლისა და სხვა საუკეთესო ჯიშის ხეებით, რომლებიც ძირს
ყრია და გამოუყენებლად ლპება. მდინარის ორივე მხარეს ჭა-
ლები იმდენად დაბურულია, რომ აქ შესვლა შეუძლებელია;
ყველგან უამრავი უცხო კაშკაშა ფერის ყვავილია, რომელიც
ჰაერს სურნელებით ავსებს და ყველა ხეზე ჭიკჭიკებენ გასა-
ოცარი, თვალისმომჭრელი სილამაზის ჩიტები.

მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე მივალწიეთ მდ. კა-
ბალოს. ეს არის პაგარა, სწრაფი მთის მდინარე. მის ფონზე
გავიარეთ და გავემართეთ მშვენიერი მდელოსკენ, სადაც ჩემს
ნაცნობ თათარ მენახირეს სადგომი აქვს მოწყობილი. დაახ-
ლოებით ოცი ოჯახი ცხოვრობს მაფხულის განმავლობაში აქ
გაშლილ დიდ კარვებში, რომლებსაც კომფორტი არ აკლია.
კარვის შიგნით, თქვენ დაინახავთ ხალიჩებით მოფენილ ტახ-
ტებს, არც თუ უჩვეულო ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის
საოჯახო ნივთებს, რომლებიც მთლიანად ხელოვნების ნიმუ-
შებია როგორც ფორმით, ასევე ულამაზესი ჭედურობით. მთა-
ვარი მწყემსის კარავთან ცხენებიდან ჩამოვედით, მწვანეზე წა-
მოვწექით და სადილს მოუთმენლად დაველოდეთ. საკვები უხ-
ვად იყო და ძალიან კარგი, ეს მოსალოდნელი იყო იმ მიდა-
მოსათვის, რომელიც მდიდარია გარეული ფრინველითა და
თევზით; წყურვილი გრილი „კუმისით“ (ფაშაგის გადაღულე-
ბული რძე) მოვიკალით. თათრები მშვენიერი ვაქცაცური შე-
სახედაობის ახალგაზრდები არიან. მათ გამოხედვაში თავისუფ-
ლების ველური გრძნობა იხატება – უკიდურესად მიზმიდევ-

ლი მათთვის, ვისაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქალაქში გაუტარებია. მე მწამს, რომ კაბალოს კარვებში კიდევ ორი-სამი კვირა რომ გამეგარებინა, ცივილურ ცხოვრებაზე უარის თქმით კმაყოფილი დავრჩებოდი. მშვენიერი ქალწული, უდაბნოს ქურციკი – წითელი გუნკითა და განიერი შარვლით შემოსილი თექვსმეტი წლის კობტა ფეხშიშველი შავთმიანი გოგონა, რომელსაც გრძელი თმა უამრავ ნაწნავად ჰქონდა დაწნული, მორცხვად იმზირებოდა ჩვენკენ. მისი ლამაზი მიბნედილი თვალები თითქოს გვეუბნებოდნენ: „იფრინე უდაბნოში! ჩემთან ერთად იფრინე!“.. და კიდევ ბევრ სხვა რამეს, რაც ცნობისმოყვარე მკითხველმა შეიძლება აღმოაჩინოს აწ გარდაცვლილი ბ-ნ გომას მორის ნაწერებში.

შებინდებისას, რამოდენიმე თათრის თანხლებით, საძოვარზე შეფენილი ცხენების დიდი ჯოგებისა და ნახირის სანახავად გავემგზავრეთ. შემდეგ კი გზა გავაგრძელეთ თითქმის ორი მილით დაშორებულ მდინარის ზემოთ მდებარე, დახუნძლული კარ-მიდამოებისაკენ, სადაც ქართველი გლეხები ცხოვრობენ. აქ, კილიკიელმა ბერძენმა მოურავმა მიგვიღო. ჩაიზე რამდენიმე საათის მხიარული საუბრის შემდეგ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, ნაკადულის გაბმულ ჩხრიალში, მიწაზე გავეშალეთ ჩვენი ნაბლები (ბურკები) და დავიძინეთ – თუ ამას ძილი ჰქვია, კოლოების სასტიკი ღრუბლების შემოგვის პირობებში.

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, როცა გარიჟრაჟზე ყველანი სიცივემ გამოგვალვიდა. კაბალოს ყინულოვან წყალში ბანაობისა და ნაჩქარევი საუზმის შემდეგ, მეურნეობებს ვეწვიეთ. თამბაქო აქ წარმოების უმთავრესი კულტურაა, მაგრამ მისი მოყვანა დღესდღეობით მომგებიანი არ არის. მე ვნახე 300 შეკერა შარშანდელი მოსავლის უმშვენიერესი ფოთლები-სა, რომლებიც გაუსაღებელი ერთმანეთზე იყო დალაგებული. ის ისეთივეა როგორც თურქული თამბაქო და მისი ყიდვა სასაცილოდ დაბალ ფასებში შეიძლება, მაგრამ მის შესახებ ვეროპაში არაფერი იციან; რუსეთშიც კი მხოლოდ ამ ბოლო

ხანებში გაეცნენ „ბათუმურ თამბაქოს„ (ბაგუმსკი ტაბაკ), თუმცა ის გაცილებით უკეთესია იმაზე, რაც ღონზე მოჰყავთ. ქართველი მემამულეები ვერ ახერხებენ თავისი ნაწარმის ევროპაში გატანას, მაგრამ ღარწმუნებული ვარ, რომ თუკი ინგლისური ფირმები აქ თავის მყიდველებს გამოგზავნიან, არ ინანებენ იმ შემთხვევაში, თუ მათ საქმე ექნებათ არა გაქნილ სომეხ შუამავლებთან, არამედ ქართველ მწარმოებლებთან. შიში ლეკების ყაჩაღური ბანდების მიმართ ხელს უშლის ნებისმიერ კაპიტალურ დაბანდებას ასეთი რეგიონის განვითარებაში. თვით საქართველოში კი არავის აქვს დასაბანდებელი დიდი კაპიტალი. ამის გამო, ზემოხსენებული მამულის უდიდესი ნაწილი – ასობით მილის მანძილზე – გაუვალი უღრანი ტყეებია.

რვა საათისათვის უკვე ცხენებზე ვისხედით. ბრლიკი მთის წვერისაკენ, ზევით, ტყით დაფარულ გერიგორიაზე მიემართება. აქ ვიწრო კლდოვანი გასასვლელია; მას ძალზე ცუდი რეპუტაცია აქვს როგორც ყაჩაღთა ბუნაგს; მხოლოდ რამოდენიმე კვირის წინ აქ მოგზაურთა ჯგუფს თავს დაესხნენ, ორი კაცი დაჭრეს, ყველას წაგლიჯეს სამკაულები, ფული და იარაღი. ნახევარი მილით თუ ვიყავით დაშორებული მთის წვერიდან, როდესაც შეენიშნეთ, რომ ერთი ლეკი იქვე შორი-ახლოს დაბრწოდა. შევჩერდით, თოფები მოვიმარჯვეთ, დაგვჩენეთ და თავდასხმისათვის მოვემზადეთ. რამდენადაც გარემოება საშუალებას გვაძლევდა, სწრაფად წავედით წინ. მალე კიდევ სამ ლეკს მოვკარით თვალი, მაგრამ იქ, ალბათ, მთელი არმია იყო ჩასაფრებული. ამჯერად ისინი იმით დაკმაყოფილდნენ, რომ შორიდან გვადევნებდნენ თვალს და როცა დაინახეს ძალა ჩვენს მხარეს იყო, ტყის სიღრმეში გაქუსლეს, თავი დაგვანებეს და შესაძლებლობა მოგვეცეს გზა გაგვეგრძელებინა.

მთის წვერზე ასულები, ალაზნის ველის დიდებულებით დატკბით ახლა უკვე იმის მოპირდაპირე მხრიდან, საიდანაც, ჩვეულებრივ ვუმზერდით ხოლმე; ჩვენს უკან, წამომართულიყო კავკასიონის თეთრი მწვერვალები, რომლებიც აქვე, ხელის გაწვდენაზე ჩანდნენ დილის გამჭვირვალე ჰაერში. ცოტა უფ-

რო მოშორებით, ხეებიდან ამოსული ლურჯი კვამლი მიგვა-
ნიშნებდა, რომ იქ ჩვენი ნაცნობი შარაგზის ყაჩაღები საუბ-
რებს იმზადებდნენ. აღმოსაელეთისაკენ, თითქმის გორაკის ძირში,
მდებარეობს რუსული სამხედრო დასახლება – მიხაილოვკა და
ჩვენც აქ ჩამოვედით.

მიხაილოვკა. თუ ამიერკავკასიის სხვა რუსულ კოლონი-
ებს შევადარებთ, მიხაილოვკა საკმაოდ აყვავებული დასახლე-
ბაა, მაგრამ ევროპელისათვის ის არკადიას* როდი წარმო-
ადგენს. ეს არის ერთი უწესრიგო ფართე ქუჩა, უბადრუკი,
ჭუჭყიანი შესახედაობის კარ-მიდამოებით. კოლონისტები იძუ-
ლებულნი არიან ებრძოლონ ციებ-ცხელებას, რომ აღარაფე-
რი ვთქვათ ლეკებზე. ყოველივე ეს მოწმობს, რომ თავის ცხოვ-
რებით ისინი დიდად ბედნიერები არ არიან. მიხაილოვკა ეს
ის წერტილია, სადაც სამხედრო გზა სიღნაღიდან აღმოსაელე-
თისაკენ უხვევს და დაახლოებით ხუთი მილის შემდეგ შედის
ლაგოდეხში, სადაც არმიის კორპუსის შტაბბინაა განლაგებუ-
ლი და, სადაც დაახლოებით 11 საათზე ჩამოვედით.

ლაგოდეხი გარკვეული ზომის ადგილია განიერი სუფთა
ქუჩებითა და დიდი მწვანე სკვერებით, სადაც მშვენიერი ხე-
ბია დარგული. სახლები კოპწიაა და მოხერხებული. მთის
სწრაფი ნაკადულები ქალაქის შუაგულში მოჩხრიალებენ და
მოსახლეობას გემრიელი წყლით ამარაგებენ. სამოგადობრივი
შენობები წარმოადგენენ ყაზარმებს, ჰოსპიტალს, ღუქნებს, წი-
თელი აგურისაგან ნაშენ ეკლესიას, მოკრძალებულ კლუბს, ბა-
ზარს და ა.შ. 39-ე ნაწილის ოფიცრის ბინისაკენ გავემართეთ.
დიდად ვისიამოვნეთ ამ ოფიცრის მიერ გამოჩენილი სტუმართ-
მოყვარეობით – საღამომდე დავრჩით. საშინელი სიცხის მიუ-
ხედავად, ჩვენმა მასპინძელმა გვიჩვენა ყველაფერი, რისი ნახ-
ვაც ღირდა: საოცრად მიმზიდველი, ბრწყინვალედ მოვლილი
პარკი ალუების გრძელი ხეივნით. მის შუაში დგას პავილიონ-
ი გარნიზონის საცეკვაო დარბაზით; იქვე, პარკის შესასვლელ-
თან მოჩანს პაგარა ძველი სასაფლაო. აქ ნამდვილ ძველე-
ბურ მოჩვენებას დაუსადგურებია. იგი თეთრი ბანოვანის სა-

ხით, ხელში ჯვრით, ყოველი წლის ივნისის თვეში გამოეცხადება ხოლმე და შიშის მარს სცემს ადგილობრივ ტომი ეტკინსს. მე ეურჩევ „ფსიქიკური კვლევის სამოგადოებას“ ყურადღება მიაქციოს ამ ფერიას. თვითონ მე დიდი სურვილი მაქვს სამოგადოების ხარჯით ერთი თვით წამოვიდე ლაგოდებში და ეს პრობლემა გამოვიკვლიო.

ჯარის ნაწილები კარგა ბევრს იგანჯებიან ზაფხულის თვეებში. ტვინში სისხლის ჩაქცევის, ღებინტერიისა და სხვა ჩივილების ბევრ შემთხვევას აქვს ადგილი.

ნაშუადღევს სადილად დავსხედით და კარგადაც მოვილხინეთ. ჩემს მარჯვნივ მჯდომი აღმოჩნდა ძმა იმ მშვენიერი ქალბატონისა, რომელიც მე თბილისში გავიცანი. მოხდა ისე, რომ თავის დისგან მან სწორედ იმ დღეს მიიღო წერილი, სადაც ჩემს შესახებ იყო საუბარი – ინგლისელი აქ უცხო ხილია. ამ ბატონს ხეგიალის ისეთივე მიდრეკილებები აღმოაჩნდა, როგორც მე და მითხრა, რომ ფიქრობდა ხმელეთით ემოგზაურა ინდოეთში, „სადაც დაქირაებულ ჯარისკაცებს ინგლისელები იმდენივეს უხდიან, რამდენსაც რუსები კაპიტნის ჩინის მქონე ოფიცერს“. სადილის შემდეგ, ყველამ ერთი საათი დავიძინეთ და როცა სიცხე ოდნავ მინელდა, მიხაილოვიკისაქენ მიმავალ გზას დავადექით. მეორე დღეს დათვბე ნადირობა უნდა გამართულიყო. ჩვენი მასპინძლები დაქინებით გვთხოვდნენ დავრჩენილიყავით და ნადირობაში მიგველო მონაწილეობა, მაგრამ რამდენადაც მეორე დღის 24 საათში სიღნაღში უნდა დავბრუნებულიყავით, იძულებული ვიყავით უარი გვეთქვა ამ სიამოვნებაზე.

ლაგოდებიდან არ ვიყავით გასულები, როცა ვილაცას უბედური აზრი მოუვიდა თავში – ცხენები გაგვეჭენებინა. ამისათვის ადგილი ცუდად იყო შერჩეული: მოულოდნელმა მოსახვევმა მდინარის ფართო, რიყის ქვებით მოფენილ კალაპოტში გამოგვიყვანა. პირველმა ცხენმა თავისი მგზავრი შუა წყალში მოისროლა, მე კი, მდინარის მეორე მხარეს ქვების გროვაზე ჩამოვევარდი. დანარჩენები, ჩვენი მარცხით გაფრთ-

ხილებულნი, გადარჩნენ. ერთ საათზე მეტი დაგვეჭირდა, სანამ გაქცეულ ცხენებს დავიჭერდით. როცა შიხაილოვკას მივუახლოვდით, ისეთი შეგრძობა მქონდა, თითქოს კალოზე გამლევს – ყველა ძვალი მტკიოდა. ჩვენი ბანაკი მუხის ქვეშ ერთი გლეხის სახლის უკან იყო გაშლილი. პირდაპირ მიწაზე დავეყარენით და დილაზე კოლოების ნადავლად ვიქეციით.

დილის ხუთის ნახევარზე უკვე ცხენებზე ვისხედით და გამამხნევებელი რუსული ვოდკის გადაკერის შემდეგ, სწორი კარგად მოვლილი სამხედრო გზით ქვემოთ, ალაზნისაკენ გაექუსლეთ. დრო და დრო გავეყურებდით უკან, მთის მშვენიერ სოფლებს. ახლა, ღამის დასვენების შემდეგ, ჩემი უამრავი დაშაყებული ადგილი ორჯერ უფრო მეტად მტკიოდა. უნაგირზე თავს ძლივს ვიმაგრებდი. ჩემი თანამგზავრები ერთმანეთს სროლაში ეჯიბრებოდნენ, თავს ნადირობით ირთობდნენ კურდღლებსა და ფრინველზე, რაც ასე უხეადაა ამ მხარეში. რვა საათი იქნებოდა, როცა მორყეული ხის კონსტრუქციის ჭიაურის ხიდს მივალწიეთ. აქვეა უბადრუკი ღვინის ღუქანი, სადაც სასაუბმოდ შევიჩერდით. შესანიშნავი თევზი (15 გირვანქა), შესაბამისი გარნირითა და სოფლური პურით, სოლიდური საკეები იყო ჩვენთვის. საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რას წარმოადგენდა ვახშმის თხევადი ნაწილი – ჩვენი ტიკი გამოეცალეთ და მასპინძლის მარაგს მივადექით.

მდინარე, გაფხულობით მაინც, მდორეა და ჭუჭყიანი. მას დამპალი ბოსტნეულის სუნი ასდის და ხელს უწყობს მალარიის გავრცელებას. ალაზნის ეს ნაწილი რომ გვეცოდნოდა მხოლოდ, მაშინ გაუგებარი იქნებოდა ის ხოტბა-დიდება, რომელსაც მას რუსთაველის ქვეყნის ხმატკბილი მომღერლები ასხამენ.

ორი საათი მოვისვენეთ, ძალ-ღონე მოვიკრიბეთ და სილნალისაკენ მიმავალ გზას დავადექით. გავიარეთ ფართო მინდორი, რომელიც მწიფე ხორბლით იყო გადაყვითლებული. შუადღემ მოგვისწრო, როცა სილნალის მთაზე ძალზე მომღლელ ასვლას შევუდექით. ერთი საათის შემდეგ, ოცნებამორეულნი

აივანზე ვიწვექით, კართუბნის თამბაქოს ვეწვოდით და გონე-
ბით კვალდაკვალ მიეყვებოდით ჩენი წარმტაცი მოგზაურო-
ბის ყოველ ნაბიჯს იმ ჯადოსნურ ადგილებში, რომლებიც ახ-
ლა ჩვენს ფერხთით იყო გადაშლილი.

სიღნაღიდან თელავისაკენ და იქიდან ტიფლისამდე

კახეთში ჩემი ყოფნა იმდენად სასიამოვნო იყო, რომ ძალზე გამიჭირდა იქაურობის დატოვება. ჩემი მეგობრები დაქინებით მთხოვდნენ, რომ ქართველი ქალი მომეყვანა ცოლად, აქ დაესახლებულიყავი, გამეშენებინა ვაზი და მათთან ერთად მესვა ღვინო მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე; როცა საბოლოოდ გადაწყდა ჩემი გამგზავრების დღე, მთხოვდნენ ღვინოების თვემდე მაინც დაერჩენილიყავი, მაგრამ, ვინაიდან ჯერ კიდევ დიდი გზა მქონდა გასაუღელი, გადაეწყვიტე ინგლისში ზამთრის დადგომამდე დაებრუნებულიყავი.

იქლისის ერთ დილას, სიღნაღს გამოვემშვიდობე და საფოსტო ეგლით თელავისაკენ გავემშურე. ბაკურციხის გზა უკვე ნაცნობი იყო ჩემთვის, მაგრამ ადრე ის ასეთი მშვენიერი არ მომჩვენებია, როგორც ახლა, როცა ვემშვიდობებოდი. შემდეგ გამოჩნდა ქალაქი, რომელიც ბაკურციხის მსგავსად, ვაჩნაძეების ოჯახის წევრებით იყო სავსე და გურჯაანი, ერთ-ერთი სოფელი, რომელიც ანდრონიკოვების ოჯახს ეკუთვნის. ანდრონიკოვები* ბიზანტიის პრინცის ჩამომავლები არიან. მათი წინაპარი თამარ მეფის დროს გამოიქცა ბიზანტიიდან და საქართველოში დასახლდა. ანდრონიკოვები გამოირჩევიან თავისი განსაკუთრებული სიმამაცითა და ხელგაშლილობით — ორი თვისება, რომელიც ყველაზე მეტად ფასობს ამ ქვეყანაში; ჩვენს საუკუნეში ქვეყანას მათ მისცეს გენერალი*, რომელიც რუსეთის მეფის სამსახურში მყოფ გენერლებს შორის ღირსეული პიროვნებაა. სხვათაშორის, უნდა ვთქვა, რომ გასაოცარია იმის აღმოჩენა, რომ რუსული არმიის უდიდეს სამხედრო ლიდერებს შორის დიდი პროცენტე ქართველები არიან. მეორე გასაოცარი ვითარება ის არის, რომ ზოგიერთი საუკეთესო ოჯახი საქართველოში უცხოური წარმოშობისაა; ბაგრატიდები — სამეფო ოჯახი, ერთ დროს ებრაელები ყოფილან; ისინი თავის თავს იესეს ვაჟს — დავითის შთამომავ-

ლებად აცხადებენ; ორბელიანები, სამეფოს მეორე მთავარი ოჯახი, ჩინეთიდან მოვიდნენ. ანდრონიკოვები, როგორც უკვე აღვნიშნე, წარმოშობით ბერძნები ყოფილან.

გურჯაანის მახლობლად არის *ახგალა*, ჯამისებრი ჩაფარდნილი ადგილი, რომელიც გალახის აბაზანებს წარმოადგენს. მკურნალობენ ადამიანებს, რომლებიც იგანჯებიან რევმატიზმით, საყმაწვილო და მრავალი სხვა დაავადებით. აბაზანები უბრალო ორმოებია, რომლებიც გალახით არის სავსე. მათი შუაგულიდან ბუყბუყით ამოდის საშინელი სუნის გაზი. ყველაზე დიდი აბაზანა საქონლისათვის არის განკუთვნილი. საჭირო არ არის იმის თქმა, რომ მთელი ეს პროცედურა მიმდინარეობს *al fresco**, რადგან არავის უფიქრია აქ, კავკასიის ამ შორეულ კუთხეში, სამკურნალო დაწესებულების ამენება. რა თქმა უნდა, ახგალასაც აქვს თავისი ლეგენდა. გადმოცემით, ერთხელ, ფერიცვალების დღესასწაულზე, გლეხი თავის ვენახში მუშაობდა. ამ დროს უცნობმა ჩამოიარა და ჰკითხა თუ ამ წმინდა დღესასწაულზე რატომ არ იყო ის გაძარში. კაცმა დამცინავად უპასუხა, რომ მას არაერთი ფერისცვალება უნახავს – მან და მისმა ცოლმა ფერი იცვალეს და მოხუცებად იქცნენ, მისი შვილები ქალები და კაცები გახდნენ; უცნობმა, რომელიც სხვა არავინ იყო, თუ არა უფალი ჩვენი, უთხრა: „მამ, ახლა, კიდევ ნახავ სხვა ფერისცვალებას“. ამ სიტყვებზე მიწამ პირი გახსნა, თხევადმა მასამ ამოხეთქა, თან ჩაიგანა ვენახიც, ცოდვილიცა და მთელი მისი ჯალაბობაც.

ალაზნის პარალელურად გზა მიემართება შემდეგი სადგურის – მუკუმანისაკენ, რომელიც ბაკურციხიდან 70 ვერსგით არის დაცილებული. იქვე, აყვავებული ქალაქია – ველისციხე. მთელ ამ რაიონში ნაყოფიერი, კარგად დამუშავებული მინდვრებია და ბევრი სოფელი თავისი ღვინოებით არის ცნობილი. თელავის რაიონის გლეხები ბევრად უფრო მდიდრები არიან, ვიდრე სიღნაღისა. *აკური*, რომელიც 14 ვერსგით არის დაცილებული სიღნაღიდან, უკანასკნელი სადგურია. ქალაქი თელავი სწორედ ჩვენს წინაა გორაკზე შეფენილი და საოცრად თვალწარმგაცი სანახაურია.

აკურის იქით, დაახლოებით ექვსი მილის დაშორებით, მშენიერ ველზე მდებარეობს *წინანდალი* – ადრე თავად დავით ჭავჭავაძის მამული, მაგრამ ამეამად ალექსანდრე ალექსანდრეს ძის – სრულიად რუსეთის თვითმყრობლის საკუთრება. მისთვის, ჩემი იქ ყოფნის პერიოდში, უზარმაზარი სასახლის მშენებლობა მიმდინარეობდა. რამდენადაც საქართველოში ანარქისტები არ არიან, აქ მეფე ბევრად უფრო დაცული იქნებოდა, ვიდრე გატყინაში. მე არ შემიძლია პასუხისმგებელი ვიყო იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს მოარული ხმები, თითქოს იყო წინადადება ახალგაზრდა არისტოკრატთა დიდი რაოდენობა გაესახლებინათ იმ მიზნით, რომ უფრო სარწმუნო გაეხადათ მონარქის უსაფრთხოება კავკასიაში აქ მისი დროებითი ყოფნის დროს.

წინანდალი ცნობილია როგორც შამილთან ომის ყველაზე დრამატული ინციდენტის ასპარეზი – 1854 წელს თავად ჭავჭავაძისა და ორბელიანის ქალბატონების დატყვევების ადგილი.* იმის გამო, რომ ხმები დადიოდა კახეთის ამ ნაწილში ლეკთა თარეშის შესახებ, ჭავჭავაძეების ოჯახი იელისამდე თბილისიდან არ გამგზავრებულა თავის მამულში. როცა ისინი მშვიდობიანად ჩამოვიდნენ წინანდალში, მათ მალე შეუერთდნენ ჭავჭავაძის და – ბარბარე ორბელიანი, რომლის ქმარიც სულ ცოგა ხნის წინათ დაიღუპა თურქებთან ბრძოლაში. მაფხულის რეზიდენციაში ისინი სულ ახალი დაბინაეებულნი იყვნენ, როცა თავადმა ჭავჭავაძემ ბრძანება მიიღო წასულიყო და მის საცხოვრისთან ახლო მდებარე ციხე-სიმაგრე დაეკაეებინა. წასულის წინ, თავადმა დაამშვიდა თავისი ოჯახის წევრები, რომ ყოველ წუთს ელის თელავიდან დახმარებას და, ამასთან, ალაზანი ისეა ადიდებული, რომ მგერი მის გადმოლახვას ვერ შეძლებს. რამოდენიმე დღის შემდეგ, თავადმა ცოლს მოსწერა, რომ 5-ნ ათასი ლექით არის გარსშემორტყმული, მაგრამ ციხის აღების საშიშროება არ არსებობს; იმ შემთხვევაში, თუ ის ჩათვლიდა, რომ ოჯახისათვის უმჯობესი იქნებოდა წინანდლის დატოვება – მაშინვე შეატყობინებდა.

ამასობაში, ლეკები უფრო მეტად მოუახლოვდნენ, ეიდრე მათ წარმოედგინათ. ახლო-მახლო სოფლებიდან ავარდნილმა ალმა მალე გააფრთხილა ოჯახი, რომ მას დასაკარგი დრო აღარ ჰქონდა. უპირველესად ყოვლისა, გლესობა მივიდა ქალბატონთან მუდარით, რომ მათთან ერთად ტყისათვის შეეფარებინა თავი, შემდეგ აზნაურობამ შეთავაზა დახმარება, მაგრამ უარი მიიღო – თავადის მეუღლეს სომ მისმა ქმარმა უთხრა იქ დარჩენილიყო და ისიც იქ რჩებოდა. ბოლოს, მგერმა ისე ღრმად წამოიწია წინანდლისაკენ, რომ ქალბატონი დათანხმდა მთელი მისი განძეულობა და სამკაულები მოემზადებინათ იმ ღამით და დილით გაქცეულიყვნენ; მაგრამ უკვე გვიანდა იყო. გარიჟრაჟზე ლეკები უკვე სასახლის ბაღში იყვნენ. ოჯახის ექიმი და ერთი მუჭა მსახურები რამოდენიმე წუთის განმალობაში რაინდულად იცავდნენ სასახლის კარიბჭეს, მაგრამ ისინი მალე დახოცეს და სასახლე მთიდან ჩამოსული ველურების ხელში აღმოჩნდა. ქალებმა და ბავშვებმა თავი შეაფარეს სხენს, სადაც მათ ესმოდათ სარკეების, როიალებისა და სხვა ავეჯის მსხერევის ხმა. რამოდენიმე ლეკმა სულ მალე აღმოაჩინა შეშინებულ ოჯახის წევრთა სამალაფი და თითოეულმა მათგანმა, როგორც ნადავლის საკუთარ წილს, ქალს ან ბავშვს სგაცა ხელი. როცა ლეკები გყვეებს მიათრევდნენ, კიბე სიმძიმისაგან ჩაინგრა და ყველანი, ერთმანეთში არეულ-დარეულნი, ქვევით ჩაცვივდნენ. შემდეგ ერთმანეთში გამართეს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქალბატონების ნივთების დასაუფლებლად – განსაცემელი მთლად შემოახიეს და ძონძებად აქციეს, ზოგიერთი მათგანი დაჭრეს კიდევ. დამპყრობლებმა დახოცილი ლეკების გროვიდან გულწასული მსხვერპლი ამოიყვანეს და აიძულეს ისინი მათ უკან ცხენებზე შემომსხდარიყვნენ.

ალაზანზე დიდი წვალეებითა და შიშით გადავიდნენ და, როცა მეორე ნაპირს მიაღწეს, ნახევრადშიშველი ქალები მთლად სველი, აკანკალებული და გაუბედურებულნი იყვნენ. საოცარი, მაგრამ ქ-ნ ბარათოვს (ბარათაშვილი), 18 წლის მშენი-

ერ გოგონას, ერთი ძაფიც კი არ ჩამოვარდნოდა განსაცმლიდან. ის ისე იყო მორთულ-მოკაზმული, თითქოს მეკლისზე მიემურებოდა; მაგრამ საცოდავი მადამ Drancay, ფრანგი გუვერნიორი ქალი, პერანგისა და კორსეგის ამარა იყო დარჩენილი. ერთი მუჭა ქართველები თავის დახსნას შეეცადნენ, ლეკებს ისინი არმიის შეწინავე რაზმი ეგონათ და გაიქცნენ. თავადის ასულ ნინო ჭაჭავაძეს ჩვილი მკერდში ჰყავდა ჩაკრული. კარგა მანძილის გავლის შემდეგ, ის ისე დაიქანცა, რომ ბავშვი ხელიდან გაუვარდა და ცხენებმა გადათელეს. გამწარებული ქალი ცდილობდა ცხენიდან გადახტომას, მაგრამ ერთ გამტაცებელს მაგრად ჰყავდა ის დაბლუჯული, მეორემ კი აუღელვებლად გამოჭრა პაგარას ყელი.


როცა ლეკებმა აღმოაჩინეს, რომ გყვეების რაოდენობა მეტისმეტად დიდი იყო, საშოცი ადამიანი იქვე, გაზაზვ დახოცეს, ყველა გზისპირა სოფელი გადაწვეს, მისი მცხოვრებლები აჩეხეს, შემდეგ, დაბურული გყით, ზემოთ, მთებში ავიდნენ და გადავიდნენ პოხალსკში, სადაც 10000-იანი ჯარით შამილი იღგა. აქ გყვეებს ახალი ჯგუფი შემოუერთდა – ნიკო ჭაჭავაძე 30 ქართველთან ერთად, რომლებიც სამი დღის განმავლობაში იბრძოდნენ 500 ლეკის წინააღმდეგ, იცავდნენ რა ციხესიმაგრეს. ისინი მხოლოდ მას შემდეგ დანებდნენ, როცა გყვიაწამალი გამოელიათ. შამილმა თავადის ასულს უბრძანა, თბილისში მიეწერა, რომ ყველა გყვეს გადასცემდნენ რუსეთს მისი ვაჟის ჯემალ-ედინისა და დიდი გამოსასყიდის სანაცვლოდ. ამასობაში ქართველი ქალბატონები იბულებულნი იყვნენ ჩადრი ჩამოეფარებინათ და შამილის ჰარამხანაში* ეცხოვრათ. აქ მათ დიდი პატივით ეპყრობოდნენ, ისინიც უდიდეს მოწიწებას იჩენდნენ ამ დიდი მეომრისა და წინასწარმეგყველის მიმართ.

მოლაპარაკება 8 თვეს მიმდინარეობდა და გაცელა 1855 წლის 8 მარტს კასაიურტში შედგა. ჯემალ-ედინი-შამილის ვაჟი ბავშვობიდან მძევლად იმყოფებოდა პეტერბურგში. ის არაჩეულებრივად კეთილმოსურნე ადამიანი იყო. თავისი ცხოვრების წესით, მთლიანად გარუსდა. თავისუფლად ფლობდა რუ-

სულ, ფრანგულ, გერმანულ ენებს, იყო პოლკოვნიკი და მეფის ადიუტანტი. მან დიდი სინანულით დატოვა ცივილიზაცია რომ დაბრუნებოდა თავის მშობლიური მთების ველურ ცხოვრებას; დიდხანს არც უცოცხლია - 1858 წელს გული გაუსკდა.

გზა, ზევით, ციცაბო *მთა-ცივის* და ბულვარის გავლით თელავში შედის. გზის ერთ მხარეს სასტუმროა; როცა ღამის გასათევი ადგილი მოვითხოვე, მითხრეს, რომ სასტუმრო რემონტზეა და სტუმრებს ვერ მიიღებენ; მირჩიეს, რომ „კლუბში“ წავსულიყავი. ჩემთვის შემოთავაზებული ოთახი ჭუჭყიანი და უღიმღამო აღმოჩნდა. ასე რომ, გადაეწყვიგე ფოსტის სასტუმროში გავჩერებულიყავი. შუადღის 1 საათი იყო მხოლოდ, როცა გადაეწყვიგე მესადილა. ვიფიქრე, რომ ისეთ ქალაქში, როგორც თელავია, შესაძლებელი იქნებოდა საჭმლის შოვნა. ჯერ ფოსტის უფროსს მივმართე, რომელმაც მითხრა, რომ მხოლოდ ადუღებული წყალი შეეძლო შეეთავაზებინა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ქალაქში შევძლებდი სადილობას. მშიერი, მწყურვალი, დასიცხული ერთი საათი ზევით-ქვევით დავეხეტებოდი ქალაქის ქუჩებში. და, ბოლოს, მივაგენი ერთ ჭუჭყიან ღუქანს, სადაც შევექეცი კვერცხს, ღვინოს, პურსა და ვოდას. კვერცხის მოსახარშად 45 წუთი დასჭირდათ! მკითხველისათვის მიმინდია იმის განსჯა, იყო თუ არა ჩემი შთაბეჭდილება თელავის შესახებ კეთილგანწყობილი, სადგურში დაბრუნდი და დავიძინე.

ის-ის იყო აგრილებას იწყებდა, როცა გამოვედი ქალაქის ღირსშესანიშნაობათა სანახავეად, იმ ქალაქის, რომელიც კახეთის უძველესი სამეფოს დედაქალაქია; იგი ალაზნის ღონიდან 1400 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს ორ მთას შორის და მეტად ძლიერი პოზიცია უჭირავს. დაარსებულია მეფე გიორგი I-ის (Grigal I)* მიერ და შაჰ აბასის მეთაურობით XVI საუკუნეში სპარსელებმა გაანადგურეს. თელავი ხელახლა მეფე ერეკლე II-მ ააშენა. ახლანდელი მოსახლეობა 8-9 ათას კაცს შეადგენს. როცა ფოსტის სასტუმროდან ქალაქის ცენტრისა-



THE CITY WALL, TELAV.

კენ მივდიოდი, ქალაქის კედლის კარიბჭეში გავიარე. ეს კედელი მთელ ქალაქს ერტყმის გარს და დიდ სიძველეს წარმოადგენს. მარცხნივ, ერეკლე II-ის სასახლეა, სადაც ამემამდ ყმაწვილ ქალთა სასწავლებელია განთავსებული. აქვე შეგიძლიათ ნახოთ ის ოთახი, სადაც 1798 წლის 11 იანვარს მოხუცი გმირი მეფე გარდაიცვალა. აქეა, თავისი იშვიათი ჩუქურთმებითა და მხატვრობით, უდიდესი ღირებულების მქონე ორი საინტერესო ეკლესია. კარგად მოკირწლულ მთავარ ქუჩაზე თაღებიანი ქარვასლაა, რომლის ქვეშ დუქნებია მოთავსებული. თელავი ბევრად უფრო ხალისიანი ქალაქია, ვიდრე სიღნაღი, თუმც მოსახლეობა აქ მცირეა. სომხები შედარებით ცოტანი არიან. დაბალი ხიდიდან, რომელიც ფლაგებზეა გადაებული, ალაზნის, კავკასიონის მთებისა და თუშეთის მხარის ბრწყინვალე ხედი იშლება. როცა თელავის ყველა ღირსშესანიშნაობა მოვინახულე, ისე დავიღალე, რომ ბულეარიდან სოფლისაკენ ვაპირებდი წასვლას. ამ დროს კადეგის ფორმაში გამოწყობილმა 14 წლის ულამაზესმა ბიჭუნამ მოირბინა ჩემთან და თავაზიანად მომესალმა. ეს იყო თავადი მ-, რომელიც მე თბილისში გავიცანი. მას მალე მოჰყვა მამამისი – გადამდგარი პოლკოვნიკი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია რუსეთის მეფეს და არაერთხელ ყოფილა დაჭრილი. თუმც მხოლოდ ერთი-ორჯერ შეეხვედრივარ, მან მისაყვედურა, რომ მის ოჯახში არ დავიდე ბინა და დაეინებით მთხოვა რამოდენიმე დღე მასთან დავრჩენილიყავი. მაგრამ მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა მეორე დღეს დილაადრიან თბილისში გამგზავრება. ჩვენ ერთად გავისეირნეთ პარკში, რომელსაც *ნადიკვარი* ეწოდება და, რომელიც ქალაქს ვახვახოვებმა (ვახვახიშვილებმა) გადასცეს. დიდად ვისიამოვნეთ ალაზნის ველისა და მთების თვალწარმგაცე ხედით. ჩემი ნაცნობის ოჯახში დაბრუნებულები, შუალამემდე ვისხედით. ღვინოს ვწრუპავდით და ვსაუბრობდით. როცა ფოსტის სასტუმროში წასვლა დავაპირე, ჩემი ჭადარათმიანი მასპინძელი და მისი ვაჟი გადამეხვივნენ, ყველაფერი საუკეთესო მისურვეს; დაეინებული თხოვნის შემ-

დევ, თან მსახური გამაყოლეს და მისი ხელით პურ-ლეინოც გამომატანეს საგზალად.

მეორე დღით 4 საათზე დაეგოვე ჩემი ხის ტახტი და თბილისში მიმავალ დილიქანსში ჩავეჯექი. მე მხოლოდ ორი თანამგზავრი მყავდა: ერთი – ყველაზე არასასურველი შესახედაობის სომეხი ვაჭარი და, მეორე – გიმნაზიის დირექტორი ქართველი, რომელიც არდადეგებზე ოდესაში მიემგზავრებოდა. ეს უკანასკნელი ძალზე მხიარული და განათლებული ადამიანი აღმოჩნდა. ის პირველი რევოლუციის დოქტრინებისა და ეროვნულობის მგზნებარე დამცველი იყო. ჩემმა შეუვალმა უცხოურმა აქცენტმა მას ცნობისმოყვარეობა აღუპრა და მაშინვე გამომელაპარაკა. როცა ვუთხარი რომ ინგლისელი ვარ, არავითარ შემთხვევაში არ დამიჯერა და მიმტკიცებდა, რომ სამეგრელოდან ვიყავი.

გმა რამდენიმე სოფელზე გადის და, შემდეგ, როცა მდინარის ერთ მხარეს ბევით მიემართება, სახლები იშვიათად გვხვდება. მარჯვნივ, ციცაბო კლდეზე მოჩანს ოთხკუთხა გამოქვაბულები. ამბობენ, რომ თბილისსა და მცხეთასთან მდებარე გამოქვაბულების მსგავსად, ისინიც ომის დროს თავშესაფარად გამოიყენებოდა. მათთან ახლო მისვლა მთის წვერზე მდებარე მონასტრიდანაა შესაძლებელი. მარცხნივ, ღეთისმშობლის მონასტერია – თელავის მოსახლეობის საყვარელი ნუგეშისცემის ადგილი. სოფლის შარაგმა მიჰყვება ხეობის ფსკერს, მდინარე თურდოს მარჯვენა ნაპირს, რომელიც მდინარი ჭალებით არის დაფარული.

კარგა დიდი დროა საჭირო *გომბორის* მთაზე რომ ახვიდე. ეს მიხვეულ-მოხვეული გზა სულ ცოგა ხნის წინ გაიხსნა და ოფიციალურად ჯერ არ არის გამოცხადებული. ყველაზე ხელსაყრელი გრანსპორტი დილიქანსია, მაგრამ ის ძალიან ნელია და მოუხერხებელი. გომბორის სადგურში დანაყრება მირჩიეს, მაგრამ რადგან დილიქანსი აქ მხოლოდ ნახევარ საათს ჩერდება, დუქანში შევედი. მაგრამ, ვაი, რომ აქ არაფერი იყო არყის, თამბაქოსა და ასანთის გარდა. პეიზაჟი გომბორის გა-

დაღმა, დრო და დრო ძალიან წააგავს ინგლისისას. აქ უხვადაა ყოველგვარი ფრინველი და ნადირი. მე დავინახე ორი ულამაზესი შველი, რომლებმაც ჩვენს უკან, გზაზე გადაირბინეს. ავედით ბალახით დაფარულ ბორცვზე, სადაც არც ერთი ხე არ იყო და გომბორის გადასასვლელს მივალწიეთ. ამ ადგილს, სამართლიანად, ეწოდება *ცივი მთა* (6044 ფუტზე მღვის დონიდან და 34 ვერსტზე თელავიდან). უკან მოვიტოვეთ კახეთი და ქართლის პროვინციაში იორის ხეობით ჩამოვედით; ჩავეუარეთ *ვერენას* დანგრეულ ციხე-სიმაგრეს, რომელიც V საუკუნეში ვახტანგ გორგასალს აუგია, და მთელი გზა ლაგერამდე ვტკებოდით მარად ცვალებადი, აუწერელი სილამაზის ხედებით.

ლაგერი. როგორც თვით სახელწოდებიდან ჩანს, არის სამხედრო პოსტი და, თავისი მდებარეობის გამო, გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან ტიფლისსა და თელავს შორის მდებარეობს. ის არის ბრიგადის საზაფხულო სამყოფელი. გარნიზონი დიდი არ არის, მაგრამ იმუამად მისი რიცხოვნობის გაზრდაზე ლაპარაკობდნენ. მართლაც, სოფლიდან რამოდენიმე ვერსტის დაცილებით, ორასამდე ჯარისკაცსა და ექვს მარბაზანს წავაწყდით. აუტანელი სიცხე იყო და თავს ვერ ვიკავებდით იმ საბრალო ჯარისკაცების საცოდაობით — ოფლად იღვრებოდნენ, იგინებოდნენ და მთის ფერდობზე სიმწრით მიბობლავდნენ. გიმნაზიის უკომპრომისო დირექტორმა ვრცელი მსჯელობა გამართა განიარაღების უპირატესობაზე, მაგრამ ლაგერის რუსული კოლონიის კოხტა, სასიამოვნო შესახედაობის გლეხის დედაკაცმა მას შემდეგი სიტყვებით გააწყვეტინა: რა თქმა უნდა, მძიმეა ჯარისკაცის ხვედრი, მაგრამ „ჩვენ რომ დიდი არმია არ გეყოლოდა, ინგლისელები მოვიდოდნენ და ყველას მონებად გაგვიხდიდნენ“.

შემდეგი სადგური *უჯარმა* იყო, დიდი მნიშვნელობის ციხე-სიმაგრე მესამე საუკუნიდან 15-ე საუკუნემდე, მაგრამ ახლა უინტერესო ადგილი, მნიშვნელოვანი მხოლოდ იმით, რომ სოფლის სასაფლაო სრულიად განმარტოებული გორაკის ცი-

ცაბო ფერდობზე მდებარეობს. ამ წერტილიდან გზა მოსაწყენი ხდება: იგი მოშიშელებულ ქარიან დაბლობზე გადადის. აქ მოგზაურობა ისეთივე მომქანცველია, როგორც სილნალის გზაზე, რომელსაც ის ვაზიანთან უერთდება. მალე მზეში აკიაფდა წმ.დავითის თეთრი ტაძარი; შემდეგ ორხევი გამოვიარეთ და მზის ჩასვლის შემდეგ, სულ მალე, 70 ვერსტის გაელის შემდეგ, დასიცხულები, მტვრიანები და მშივრები გიფლისში შემოვედით. ორი დღე დაეყავი გიფლისში, სადაც ამ დროს სულისშემძვრელი სიცხე იდგა; სინანულით დავემშვიდობე ჩემს ჩერქეზულ ტანსაცმელს და ისევ მორჩილად ჩავიციე კოსტიუმი გახამებული გილოს საყელოთი. მესამე დღის ნაშუადღევს უკვე ბაქოში ვიყავი..

საქართველოს ისტორია, შეიძლება ითქვას, იწყება ფარნავაზით – პირველი მეფით, რომელიც ქვეყანას ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში მართავდა და რომელსაც მიაწერენ მარტივი სამოქალაქო ანბანის შემოღებას. ამ უძველესი თარიღიდან მოყოლებული დღევანდლამდე, ჩვენ გვაქვს თითქმის უწყვეტი ნაკადი ფაქტებისა, რომელთა სანდოობა სხვა ქვეყნების ისტორიული წყაროებითაც მტკიცდება. ისინი, ვინც საქართველოს ადრეული ისტორიისადმი საგანგებო დაინტერესებას იჩენენ, ამ წიგნისათვის დართულ ბიბლიოგრაფიული ცნობარით შეძლებენ საკუთარი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. წარმოდგენილი მიმოსილება შემოიფარგლება უფრო თანამედროვე პერიოდით, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის XI საუკუნიდან იწყება.

1089 წელს, საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა დავით II ბაგრატიონი, გადმოცემის თანახმად, დავით წინასწარმეცველისა (ყურადღება მიაქციეთ ქნარისა და შურდულის გამოსახულებას საქართველოს სამეფო გერბზე) და ფარნავაზის შთამომავალი. დავითის უშუალო წინამორბედთა დროს, ქვეყანა უმოწყალოდ გაანადგურეს თურქ-სელჯუკებმა; მაგრამ ჯვაროსანთა წარმატებებმა და მაჰმადიანთა ძალაუფლების შესუსტებამ აღმოსავლეთში, დავითს საშუალება მისცა, აეღორძინებინა და უმაღლეს დონეზე აეყვანა თავისი ქვეყანა. მას შემდეგ, რაც ის მამაცურად შეებრძოლა თურქებს, განდევნა ისინი თავისი სამფლობელოს ყოველი კუთხიდან, დავითი ქალაქების, ციხე-სიმაგრეებისა და ეკლესიების ხელახალ შენებას შეუდგა. მან გაწმინდა სახელმწიფო და ეკლესია ბევრი მანკიერებისაგან და გულუხვად უწყობდა ხელს განათლებას. ამ საქმეებმა მას დავით აღმაშენებლის სახელი მოუპოვა. აქედან მოყოლებული, საქართველო მთელი საუკუნის მანძილზე აყვავებული ქვეყანა იყო და, შემდგომში, ეროვნული დიდების ზენიტსაც მიაღწია.

1184 წელს, თამარ მეფე ავიდა მამისეულ ტახტზე და ქვეყანას 28 წლის მანძილზე მართადა. ეს იყო უბედნიერესი და ყველაზე უფრო დიდებული პერიოდი საქართველოს ისტორიაში. დედოფალს ჰქონდა ბედნიერება თავის გარშემო შემოეკრიბა ბრძენი მრჩეველები და მამაცი მხედართმთავრები, მაგრამ, თამარის განსაკუთრებული თვისებების გამო, მოპოვებული წამაგებები, უმთავრესად, მას მიეწერება. სამხედრო ლაშქრობებმა, რომელსაც ის აწარმოებდა, მთელ აზიაში გაუთქვა მას სახელი; ერზერუმმა, დვინმა, ტრაპეზუნდმა, სინოპმა, სამსუნმა, ყარსმა ნახა ქართული შეიარაღებული ძალების გრიუმფი. ზუსტი ტაქტიკით იქნა დამარცხებული ცნობილი რუქნ ედინი და სპარსელებს შიშის ზარი დასცა ხორასანში ქართველთა ლაშქრობამ.

ყოველივე ამის მიუხედავად, თამარი დიდ ყურადღებას აქცევდა შინაურ საქმეებს: იყო ობოლთა დედა, ქერივთა გამკითხავი. რელიგია იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ყოველივე ამის საშუალებას აძლევდა; როცა მხედრობა დიდ ნადავლს მოიპოვებდა, ნადავლის ერთი ნაწილი კურთხეული ქალწულის სახელზე იყო გადაღებული. ასეთმა ქმედებამ ხელი შეუწყო ყოველ სოფელში ტაძრების აღმოცენებას. დღის უმეტეს ნაწილს თამარი ლოცვა-ვედრებაში ატარებდა და საკუთარი მეფური ხელით სამოსს უკერაედა გაჭირვებულ ადამიანებს. გრადიციულად არსებობს აზრი, რომ ყოველ ცისმარე დღე ისე მუშაობდა თამარი, რომ თავისი საკუთარი სარჩო დაემსახურებინა. ეს შეფასება, ალბათ, გადაჭარბებულია, მაგრამ ცხადად ჩანს, თუ როგორი პიროვნება იყო დედოფალი.

თამარ მეფე არც ლიტერატურულ ნიჭს ყოფილა მოკლებული. როცა ბრძოლას მოიგებდა, დებორას* მსგავსად, შეეძლო თავისი გრიუმფის შესახებ უფლისათვის მოეთხრო ტკიბილი, აღფრთოვანებული ჰიმნით. ერთ-ერთი ასეთი სადიდებელი ჰიმნი დღემდეა შემონახული, თუმცა, თამარ მეფე, უმთავრესად, ცნობილია როგორც მგოსანთა მფარველი და შთამავტონებელი. მისი მიწერ-მოწერის არსებული ფრაგმენტები



QUEEN TAMARA.

ადასტურებს, რომ ის კარგი დიპლომატიც ყოფილა. ერთ-ერთი წერილი განსაკუთრებულად გამოხატავს მისი მამაკური რწმენის კეთილშობილურ სულს. რუქნადინმა 800000-იანი ლაშქარი შეკრიბა და საქართველოზე გასალაშქრებლად მოემზადა. გამოლაშქრებამდე მან დედოფალს შიკრიკი გაუგზავნა თხოვნით, რომ უარი ეთქვა ქრისტიანობაზე და მას გაჰყოლოდა ცოლად. წერილი მთავრდებოდა მუქარით, რომ თამარი თუ არ დამორჩილდებოდა მის სურვილს, ის ძალით დაეპაგრონებოდა მას. შიკრიკს, რომელმაც ეს შეურაცხმყოფელი წინადადება მოიგანა, დედოფლის გარემოცვა, ალბათ. იქვე სიცოცხლეს გამოასალმებდა, თამარს რომ არ ეხსნა ის. მან მშვიდად მისწერა საპასუხო წერილი, სადაც გამოხატავდა თავის უდიდეს ნდობას უფლისადმი და აცხადებდა, რომ გაანადგურებდა რუქნადინსაც და მის ურჯულო მხედრობასაც. წერილი თამარმა ნამდვილი ქალური შგრიხით დაასრულა: „რადგანაც ვიცი, თუ რა თავქარიანია მხედრობა შენი, წერილს თქვენი შიკრიკის ხელით არ გიგზავნით. მას ჩემს საკუთარ მსახურს ვაგან.“

თამარი არ დაკმაყოფილდა თავის ქვეყნიდან მაჰმადიანთა განდევნით, მან ელჩები დაგზავნა ქრისტიანულ გაერთიანებებში – ალექსანდრიაში, ლიბანში, სინას მთაზე, იერუსალიმში, კვიპროსში, საბერძნეთსა და რუმინეთში და, საჭიროების შემთხვევაში, თავისი დახმარება შეთავაზა; იმისათვის, რომ თეოლოგიაში უზრუნველყო თავისი ხალხის მართლმადიდებლობა, მან ბრძანა მოეწყოთ საჯარო პაექრობა ქართული და სომხური ეკლესიების მესვეურთა შორის.

ბევრი უბედურება შეხვდა მას პირად ცხოვრებაში. ტახტზე ასვლის სამი წლის შემდეგ, ის აიძულეს ცოლად გაჰყოლოდა რუს თავად ბოგოლიუბსკის, რომელიც თავის მოსკოვის სამფლობელოებიდან იყო გამოძევებული. ეს პიროვნება სამარცხვინოდ ექცეოდა თავის თანამეცხედრეს. თამარი კარგა ხანს იგანდა შეურაცხყოფას. ბოლოს, საეკლესიო ხელისუფალთ შესჩივლა ამის შესახებ და განქორწინების უფლება მი-

ილო. იმის გამო, რომ პირველი ქმრისაგან შეილი არა ჰყოლია, სამეფოს თავად-აზნაურობამ ისევ აიძულა დედოფალი ხელმეორედ გათხოვილიყო და გახტისათვის მემკვიდრე მიეცა. მისი მშვენიერება და სახელი შორეული ქვეყნებიდან უამრავ მთხოვნელს იზიდავდა. მაჰმადიანები მისი გულისათვის უარს ამბობდნენ საკუთარ რელიგიაზე და ბევრი მათგანი დაიღუპა კიდეც მისი სიყვარულის გამო. თამარმა ამოირჩია ოსი უფლისწული – დავით სოსლანი, რომელმაც თავისი სიმაჰაციითა და ერთგულებით დაამტკიცა, რომ ქალთა შორის ამ უმშვენიერესი თვალმარგალიტის ღირსი იყო, და, თამარმაც 1194 წელს მისცა მას ვაჟი – გიორგი ლაშა, 1195 წელს კი – რუსუდანი.

ბოგოლიუბსკი, თუმც ის განდევნაზე ბევრად უარეს განაჩენს იმსახურებდა ქართველებისგან, ორჯერ შემოიჭრა საქართველოში, მაგრამ წარუმატებლად.

თამარ მეფე 1212 წელს გარდაიცვალა, დაღლილი ხანგრძლივი ლაშქრობებითა და თავის მეუღლის – უდიდესი მხედართმთავრის სიკვდილით დამწუხრებული. გახტზე მისი ვაჟი, 18 წლის ლაშა გიორგი ავიდა. ვერც კი მოასწრო ჭაბუკმა მეფემ გვირგვინის დადგმა, რომ ჯერ განჯა აუჯანყდა, შემდეგ კი, კიდეც უფრო დიდი უბედურება დაატყდა – ჩინგის ხანი შემოესია. გიორგი 90000 ათასიანი არმიით შეებრძოლა მონღოლებს, მაგრამ დამარცხდა. ამასობაში სპარსეთის შაჰმა მშვენიერი რუსუდანის ხელი სთხოვა ლაშა გიორგის. იგივე მოთხოვნა წაუყენა მას შირვან შაჰმაც. გიორგი დაჰპირდა ამ უკანასკნელს, რომ მიათხოვებდა თავის დას, მაგრამ ის 1223 წ. გარდაიცვალა.

ახლა რუსუდანი გახდა დედოფალი. მან უარი უთხრა ორივე მთხოვნელს და ერზერუმის მმართველს მოგით (Mogit Eddin) ედინს გაჰყვა. ხორასნის სულთანი შემოიჭრა საქართველოში და გიფლისი აიღო. ერთხანს სპერსელებმა და მონღოლებმა ერთად საშინლად ააოხრეს მთელი ქვეყანა. ბოლოს და ბოლოს, რუსუდანი დანებდა მონღოლებს და თავისი ვაჟი

მძევლად გაუგზავნა დიდ ხანს. საქართველოს დიდება დაეცა და 1243 წელს, რუსულანის სიკვდილის შემდეგ, მისმა ვაჟმა – ლაიით IV და ძმისშვილმა – ლაიით V სამეფო შუაზე გაიყვეს. ქართლი და იმერეთი დამოუკიდებლები აღმოჩნდნენ.

შემდგომი ორასი წლის მანძილზე, საქართველოს ისტორია სხვა არა არის-რა, თუ არა გაუთავებელი ბრძოლები, ალყები, თავდასხმები. 1445 წელს მეფე ალექსანდრემ საბოლოოდ მოსპო სამეფოს ერთიანობა, როცა ის თავის სამ ეაქს გაუნაწილა. მან ქართლი ვახტანგს მისცა, იმერეთი – დიმიტრის, კახეთი – გიორგის. ღრთთა ვითარებაში, მეგრელები, გურულები, აფხაზები, სვანები – ყველანი აუჯანყდნენ მათ და თავისი მიწა ხან თურქების და ხან სპარსელების საჯიჯგნად გახადეს; მაგრამ ასეთი დანაწევრების მიუხედავად, ქართველ ხალხს არასდროს დაუკარგავს სიმამაცე – მგრებიც კი პატივს სცემდნენ მას. მაჰმადიანები ღრო-და-ღრო წარმატებით ეპაგრონებოდნენ ხოლმე ხან ერთ, ხან მეორე კუთხეს, მაგრამ მათი ბაგონობა დიდხანს არ გრძელდებოდა. ქართველები ცეცხლითა და მახვილით უკან ერეკებოდნენ მათ თავიანთ ქვეყნებში. XVI საუკუნის დასასრულს, საქართველო გაყოფილია ორ დიდ მაჰმადიანურ ძალას შორის, რომლებმაც ეს ქვეყანა თავიანთ ბრძოლის ველად აქციეს. სამეგრელო, გურია, საათაბაგო და იმერეთი თურქებმა დაიკავეს; ქართლი, კახეთი, სომხეთი და კართუბანი თავისი ნებით დამორჩილდნენ სპარსეთს, და, შედეგად, გამუღმებით ნადგურდებოდნენ ოგომანთა იმპერიის თათარი მოკავშირეების მიერ. 1596 წელს, კახეთის მეფე ალექსანდრემ რუსეთის მეფე თეედორე ივანეს ძესთან დახმარების თხოვნით ელჩები გაგზავნა. ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რუსეთის მონარქი დათანხმდა კახეთი თურქებისაგან, დაეცვა და ამ მიზნით გამოეგზავნა თავისი ჯარები კავკასიაში. შაჰ-აბას დიდი არ იყო ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი, რადგან თვითონაც სურდა თურქების წინააღმდეგ კავშირი დაემყარებინა მოსკოვთან.

XVII საუკუნის დასაწყისში ქართლის მეფე გიორგი ცდი-

ლობდა რუსეთის მფარველობის მოპოვებას და ეს დაახლოება ალბათ, სამეფო ქორწინებით და სხვა ნაბიჯებით დამთავრდებოდა, მეფე ბორის გოლუნოვის სიკედილსა და, შაჰ-აბასის ბრძანებით, მეფე გიორგის მოწამელას რომ არ ჩაეშალა ეს მოლაპარაკებები. სპარსეთის შაჰმა ეჭვი აიღო, რომ კახეთის მეფე – ალექსანდრეს ვერაგული მიმოწერა ჰქონდა თურქებთან. ამის გამო, კახეთში გამოგზავნა შაჰის კარზე აღმზღილი მისივე ვაჟი – გამაჰმადიანებული კონსტანტინე. მოლაღატემ მამა და ძმა უმოწყალოდ დახოცა. კონსტანტინეს წინააღმდეგ აღდგნენ თავადები და მისი არმია თითქმის მთლიანად გაქლიტეს. თვით კონსტანტინემ ლეკეთს შეაფარა თავი და გიფლისი სამი დღით დაუთმო მათ საძარცვაებად, იმ პირობით, რომ ისინი დახმარებას გაუწევდნენ. თავადები დამარცხდნენ და ქვეყანა კელავ ურჯულოებს დარჩათ სათარემოდ.

1619 წელს, ალექსანდრეს შვილიშვილმა, კახეთის მეფე თეიმურაზმა, რომელიც მთებში იყო გახიზნული, ელჩი გაუგზავნა მიხეილ თევდორეს-ძეს თხოვნით, რომ შებრალებოდა მოძმე ქართველი ქრისტიანები. რუსეთის მეფემ, თავის მხრივ, შაჰ-აბასს სთხოვა შეეწყვიტა ქართველთა დევნა. მეფის სურვილი, შეძლებისდაგვარად, მეგობრულად იქნა შესრულებული. თეიმურაზს არა მხოლოდ კახეთში დაბრუნების ნება დართეს, არამედ უბოძეს ქართლიც, რომელიც მის მფლობელობაში დარჩა 1634 წლამდე, როცა ის ისევ ჩამოართვეს და გამაჰმადიანებულ მეფე როსტომს გადასცეს. 1653 წელს როსტომი კახეთსაც დაეპატრონა და თეიმურაზი იძულებული გახდა თავშესაფარი იმერეთის სამეფო კარზე ეძებნა. ამავე დროს, ის განაგრძობდა მოსკოვის დახმარების მოპოვებას, მაგრამ პოლონეთთან ომის გამო, რუსეთის მეფეს საკმარისი ძალები არ აღმოაჩნდა. თეიმურაზი ისევ დაბრუნდა თავის სამეფოში, სადაც ის შეპყრობილ იქნა შაჰის მიერ.

ამ დროს იმერეთს მართავდა მეფე ბაგრატი, რომელიც 15 წლის ასაკში ავიდა ტახტზე. მის რეგენტად მისი დედინაც

ვალი დარეჯანი დაინიშნა. დარეჯანი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მოეპოვებინა ჭაბუკი მეფის სიყვარული, თუმც ის უკვე დაქონწინებული იყო დარეჯანის ძმისშვილზე. როცა მეფისაგან უარი მიიღო ასეთი სისხლისაღმრევე წინადადების გამო, ბაგრაგს მან თვალები დასთხარა და თვითონ ცოლად გაჰყვა ვახტანგ ქუქუნას*, რომელიც მან მეფედ გამოაცხადა. ერთგულმა იმერლებმა, ახალციხის ფაშას დახმარებით, ბრმა ბაგრაგს გახტი ხელახლა დაუბრუნეს, ვახტანგს თვალები დასთხარეს და, ორივე, ისიც და დარეჯანიც დილეგში ჩაჰყარეს.

1658 წელს, როსტომის გარდაცვალების შემდეგ, მუხრანის ბაგრაგიონთა შგოს წარმომადგენელი ვახტანგ IV* გახდა ქართლისა და კახეთის მეფე. მან 1676 წლამდე იმეფა. მისი გარდაცვალების შემდეგ, მისმა ვაჟმა გიორგიმ უკანონოდ მიიგაცა ქართლის გახტი და თავის უფროს ძმას არჩილს კახეთი დაუტოვა. არჩილი მოსკოვს გაემგზავრა დახმარებისათვის, მაგრამ რუსეთისაგან ვერაფერი მიიღო. შემდეგ, უკან დაბრუნებულმა, ხუთჯერ მოიპოვა იმერეთის გვირგვინი და ხუთჯერვე დაკარგა. არჩილი 1713 წელს რუსეთში გარდაიცვალა.

1703 წელს ქართლის გახტზე ვახტანგ V* ავიდა. თავისი მეფობის პირველი შვიდი წელი მან, ისპაჰანში, ტყვეობაში გაატარა. 1723 წელს, თურქები ხელახლა შემოიჭრნენ საქართველოში, ვახტანგმა ჩათვალა, რომ საბოლოოდ დაკარგა თავისი სამეფო, რუსეთში გაიქცა და იქვე გარდაიცვალა.

1736 წელს, შაჰ ნადირმა უკანონოდ იგლო ხელთ სპარსეთის გვირგვინი და ქართლ-კახეთი თურქეთის უღლისაგან გაათავისუფლა. გახტზე ასელამდე ცოცხალი ხნით ადრე, 1732 წელს რუსეთმა სცნო სპარსეთის უფლებები საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მდინარეებს თერგსა და მტკეპარს შორის მდებარეობდა. ნადირი ცდილობდა ქართველი თავად-აზნაურების გული მოეგო და საპაგიო თანამდებობებს ურიგებდა მათ თავის ძლევამოსილ ლაშქრობებში. ამ ლაშქრობებით გაითქვა მან სახელი მთელ მსოფლიოში. თითქმის ყველა უდიდესი ქართველი მხედართმთავარი ახლდა მას თან ინდოეთის დაპყრო-



IRAKLI II

ბით ომებში, მაგრამ მისი განსაკუთრებული სიყვარულით ერეკლე სარგებლობდა – ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზის ვაჟიშვილი. ერთ-ერთ ექსპედიციასთან დაკავშირებით საინგერესო ამბავს მოგვითხრობენ ამ ჭაბუკი მეომრის შესახებ. 1737 წელს, როცა ნადირ შაჰმა კანდაგარი აიღო და სინდესაკენ (Seinde) გაეპართა, მიაღვა იმ ადგილს, სადაც აღმართული იყო სვეგი წარწერით – მათ, ვინც ამ სვეგის იქით ნაბიჯს გადადგამს, სიკვდილი არ ასცდება – ასეთი იყო წინასწარმეტყველება. ერეკლემ, რომელიც ამ დროს მხოლოდ 19 წლისა იყო, წამოჭრილი სიძნელე მარტივად გადაწყვიტა: ეს სვეგი წარწერით სპილოს აჰქიდა, სპილო კი ლაშქარს წინ წაუძღოლა. დაპყრობილ იქნა სინდე და ერეკლე – უხეად დაასაჩუქრეს. შაჰი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ჭაბუკ უფლისწულს უარი ეთქვა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, მაგრამ ვერც მოფერებას და ვერც მუქარას ვერ გაჭრა. ინდოეთის დაპყრობის შემდეგ, ნადირ შაჰმა ერეკლე თანამედრობიდან გაათავისუფლა 1739 წელს და შუა აზიაში შეიჭრა. აიღო ბალხი, ბუხარა, სამარყანდი, საიდანაც კავკასიაში დაბრუნდა და ლეკებთან ომში ჩაება. სიმამაცე იყო ის უდიდესი თვისება, რომელიც ერეკლეს ყველგან გამოარჩევდა, არაგვზე მან 2000 თურქი და ლეკი დაამარცხა. ის პირველი იყო, ვინც თავაწყვეტილ მთის მდინარეში შეიჭრა მტრის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ და საკუთარი ხელით მოუღო ბოლო მათ ბელადს. ამ სამსახურისათვის ნადირმა 1744 წელს მას კახეთის სამეფო უბოძა.

1747 წელს ნადირ შაჰი მოკლეს და სპარსეთში არეულობა დაიწყო. შაჰის გიგული ალა-მაჰმად-ხანმა-მთავარმა საჭურისმა მოიპოვა ძალით. 1748 წელს, თეიმურაზმა და ერეკლემ სპარსელებისაგან იხსნეს ერევანი. ეს ქალაქი ხარკს უხდიდა საქართველოს 1800 წლამდე. როცა სომხებმა, რომელთაც არ სურდათ რუსების ხელში ჩაეარდნა, სპარსელები მოიწვიეს მათი გერიგორიის დასაკავებლად. 1749 წელს, 3000-იანი ლაშქრით ერეკლემ მნიშვნელოვანი მარცხი აგება სპარსეთის 1800-

იან არმიას ყარაბულასთან და ისე იხსნა ერევანი; შემდეგ აი-
ლო განჯა, განდევნა ლეკები და ჩერქეზებთან შეკრა კავში-
რი. 1760 წელს თეიმურაზი რუსეთს გაემგზავრა. დედოფალმა
ელისაბედმა ის დიდი პატივით მიიღო და საქართველოში ჯა-
რების გამოგზავნას დაჰპირდა, მაგრამ 1761 წელს გარდაიც-
ვალა. მხოლოდ ორი კვირა იცოცხლა თეიმურაზმა მისი სიკე-
დილის შემდეგ.

ქართლის ტახტზე ერეკლე ავიდა და იგი კახეთს შემოუმ-
ტკიცა. მან რუსეთიდან გამოიწვია იმ დროისათვის ყველაზე
დიდი ქართველი სწავლული – ანტონ კათალიკოსი, რომელიც
დევნილობაში იმყოფებოდა რუსეთში, და პატრიარქად დასვა.
კათალიკოსმა თბილისსა და თელავში დაარსა სკოლები, სა-
დაც ისწავლებოდა ბაკმაისტერის (Bacmeister) „ახალი ფილო-
სოფია“, მშობლიურ ენაზე თარგმნა მრავალი საგანმანათლებ-
ლო შრომა, მოახდინა ეკლესიის რეფორმა და ხელი შეუწყო
ლიტერატურის განვითარებას.

1765 წელს ერეკლეს წინააღმდეგ ორგანიზებული შეთქ-
მულება მიზნად მეფის მოსპობას ისახავდა. მის ჩამოყალიბე-
ბას შემდეგმა გარემოებამ შეუწყო ხელი: ერეკლეს და – ელი-
საბედი სამი წლის გათხოვილი იყო დიმიტრი ამილახერის ვაჟ-
ზე – გიორგიზე, რომელსაც, თავის ფიზიკური მდგომარეობის
გამო, ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულება არ შეეძლო.
ელისაბედმა გაყრა მოითხოვა. ვაჟის გამო შეურაცხყოფილმა
დიმიტრიმ და მისმა მეგობრებმა კონსპირაციული მოლაპარა-
კება დაიწყეს სპარსეთის სამეფო კარიდან ახლახან დაბრუ-
ნებულ ეახტანგ V-ის კანონიერ შვილ პაატასთან, რომელსაც
განათლება რუსეთსა და ინგლისში ჰქონდა მიღებული. პაა-
ტას უნდა მოეკლა ერეკლე და თავი მეფედ გამოეცხადებინა.
ეს საიდუმლო გარიგება დროულად იქნა აღმოჩენილი და, ყვე-
ლა ის, ვინც მონაწილეობდა ამ საქმეში, ან სიკედილით იქნა
დასჯილი, ან დასაზიჩრებული.

ამასობაში, იმერეთის მეფე სოლომონი მოღალატე თავა-
დებმა ტახტიდან ჩამოაგდეს, განდევნეს და ქუთაისი, შორაპა-

ნი და სხვა ციხე-სიმაგრეები თურქებს გადასცეს. სოლომონმა დახმარებისათვის რუსეთის დედოფალ ეკატერინეს მიმართა. 1769 წელს ტოტლებენი 5000-იანი არმიით კავკასიაში ჩამოვიდა, ქუთაისი დაბრუნებულ იქნა და იმერეთი თურქების ბატონობისაგან განთავისუფლდა. შემდეგ წელს შაჰმა ჭირმა გაანადგურა მთელი ამიერკავკასია, მარტო გიფლისში 5000 ადამიანი დაიღუპა. მაშინ, ერმიოპინის ქალთა მონასტრიდან წმინდა შუბი ჩამოიგანეს და ჭირის ეპიდემია შეწყდა. როცა ლეკებმა შეიგყვეს წმინდა შუბის შესახებ, მოითხოვეს ეს რელიკვია მათთვისაც გაეგზავნათ; მუსტად ასეთივე შუბი დაამზადეს. მასაც ისეთივე კეთილისმყოფელი ძალა აღმოაჩნდა, როგორც ნამდვილს. 1772 წელს ტოტლებენი სუხოტინმა შეცვალა. როცა მშვიდობა აღადგინეს, 1772 წ. რუსები შინ დაბრუნდნენ. მაგრამ, როგორც კი წავიდნენ, თურქები კვლავ შემოიჭრნენ იმერეთში; მეფე სოლომონმა, დიდი სისხლისღერის ფასად, როგორღაც შეძლო მათი დამარცხება. თვით მეფემ, საკუთარი ხელით, უამრავი მათგანი გამოასალმა სიცოცხლეს.

ერეკლეს სამეფო ერთ ხანს ტკებობდა შედარებითი სიმშვიდით და იფურჩქნებოდა. ამან მეფეს საშუალება მისცა რეგულარული არმია დაეშალა და მილიცია ჩამოეყალიბებინა და უოკებელი ლეკების თარემისაგან ქვეყნის დასაცავად. მეფე და მისი ვაჟიშვილები, როგორც ჩვეულებრივი მოკვდაენი, კანონისადმი მორჩილების მაგალითს აძლევდნენ ხალხს და თუ ვინმე თავს აარიდებდა სამხედრო სამსახურს, იძებნებოდა და ირობგებოდა. 1779 წელს, ერევნის ხანმა უარი თქვა ხარკის გადახდაზე და საგულდაგულოდ გაამაგრა ქალაქი. ქართველებმა აიღეს ერევანი. უკან დაბრუნებულებმა, თან წამოიყვანეს რამოდენიმე სომეხი, რომლებიც გადაიყვანეს თბილისში, გორსა და სიღნაღში, სადაც მათ ვაჭრობისა და მევახშეობის გაერთიანებები დააარსეს.

1795 წელს მოხდა საშინელი კატასტროფა, რომელმაც საქართველო კინალამ სრულ ნგრევამდე მიიყვანა – შაჰ ალა მაჰმადმა თბილისი ნაცარ-ტუტად აქცია. სპარსელებმა დიდი

ბალებით დალაშქრეს სომხეთი და, სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე, მტკერის ნაპირებს მიაღწიეს. სპარსელთა მოწინავე რაზმს 10 სექტემბერს ქალაქის შემოგარენში თავს ქართველები დაესხნენ და სასტიკად გაუსწორდნენ. როცა ამ ბრძოლაზე ლაპარაკობდა, შაჰმა თქვა: „ასეთი მამაცი მტერი არასდროს შემხვედრია“. მეორე დღეს, ლაშქრის ძირითადმა ნაწილმა ქალაქი იერიშით აიღო. მეფე ერეკლე ისეთ სასოწარკვეთაში იყო, რომ კინალამ მტერს ჩაუვარდა ხელთ. რამოდენიმე ერთგულმა თავადმა ბალებით გამოიყვანა ის მტრის მიერ აღებული ქალაქიდან და, არაგვის ხეობაში, მთიულეთს შეაფარა. თითქმის მთელი ქართული არტილერია მტრის ხელში აღმოჩნდა. ქალაქი და მისი შემოგარენი სპარსელებმა გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს.

ქალაქის რბევა ექვს დღეს გრძელდებოდა; სპარსელები ბარბაროსულად ხოცავდნენ ქალებსა და ბავშვებს, ხრწნადი გვამების სიმყრალე იქ ყოფნას გაუსაძლისს ხდიდა. სპარსული ისგორიკოსი ამბობს: „მამაცმა სპარსულმა არმიამ უჩვენა ურწმუნო ქართველებს, თუ რას უმზადებს მათ ბედი განკითხვის ჟამს“. მთელი ამ საშინელების, ხალხისა და ქვეყნის აოხრების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, რუსეთს რომ გამოეგზავნა ჯარი, რომელსაც ის ბარ-ზეიმით დადებული ხელშეკრულებით დაჰპირდა ერეკლეს. შაჰი ოთხი თვის მანძილზე ემზადებოდა ამ თავდასხმისათვის და ორივე ქვეყანამ, რუსეთმაც და საქართველომაც კარგად იცოდა ეს.

უფლისწულმა გიორგიმ, ასეთი დიდი მამის უღირსმა შვილმა, რომელსაც არა ერთხელ უბრძანეს თავისი ჯარით თბილისში შემოსულიყო, უარი განაცხადა. როგორც კი დედაქალაქის დაცემის ამბავი შეიგყო, ის სიღნაღიდან გაქცევას შეეცადა, თუმცე ქალაქი საგულდაგულოდ იყო გამაგრებული და იქ დიდი რაოდენობით კარგადშეიარაღებული ადამიანი იმყოფებოდა. მოსახლეობა წინ აღუდგა გიორგის და არ გაუშვა. მხოლოდ მცველების მოსყიდვით შეძლო უფლისწულმა თელავში გაქცევა. გაჭირვების ჟამს არც ერთი შვილი ერეკლეს მხარში არ ამოდგომია.

მტერმა მცხეთა აიღო და გადაწვა. გადარჩა ცნობილი კათედრალი, ნახჩევანის ხანის მუდარის შედეგად. ხანმა შეძლო დაეყოლიებინა მომხდურნი, რომ არ წაებლწათ მამაცი ქართველი მეფეების საფლავები.

მთიულეთიდან მეფე ერეკლე ანანურში გადავიდა. შაჰმა მას დაადევნა 8000-იანი არმია, რომელსაც სათავეში ერეკლეს მოლაღაგე კარისკაცი ჩაუყენა, მაგრამ შაჰის ჯარი სასტიკად დამარცხდა. ამის შემდეგ, ალა-მაჰმადხანმა შეთავაზა ერეკლეს, რომ ის გაათავისუფლებდა ტყვეებს და გიფლისის ციხესიმაგრესაც დატოვებდა იმ პირობით, თუ ერეკლე უარს იტყოდა რუსეთთან ხელშეკრულებაზე და ხარკს გადაუხდიდა სპარსეთს; მაგრამ ერეკლეს გაგონებაც არ სურდა რაიმე პირობის შესახებ, რაოდენ ხელსაყრელიც არ უნდა ყოფილიყო ის, თუ კი იძულებული გახდებოდა რუსეთთან კავშირი დაერღვია. რუსეთმა კი ის გასაჭირში მიაგოვა. ერეკლემ სწრაფად შეკრიბა ჯარი და სამხრეთისაკენ დაიძრა; კოჯორსა და კრწანისთან მან დაამარცხა სპარსელები და 6 ოქტომბერს გიფლისი დაიბრუნა.

ამ დროს კავკასიაში შემოვიდა რუსეთის დიდი არმია, რომელმაც აიღო დერბენდი, შამახია, ბაქო და დალესტნის რამოდენიმე ციხესიმაგრე, მაგრამ 1796 წ. დედოფალ ეკატერინეს გარდაცვალებამ ბოლო მოუღო ამ კამპანიას. 1797 წ. რუსეთის მეფე პავლემ ამიერკავკასიიდან უკან გაიწვია თავისი ჯარი. 1797 წელს, ალა მაჰმად ხანი ისევ დაიძრა საქართველოსაკენ, მაგრამ, საბედნიეროდ, მისი წინამორბედი ნადირ შაჰის მსგავსად, ისიც მოჰკლეს. შაჰმა ჭირმა და შიმშილმა მუსრი გაავლო ყველა იმას, ვინც სპარსელთა ხმაღს გადაურჩა; მაგრამ ქართველებს კიდე უფრო დიდი უბედურება ელოდათ – ისტორიაში თითქმის შეუდარებელი კარიერის შემდეგ, 1798 წელს, იანვარში, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ერეკლე. კარგად სთქვა ფრედერიკ პრუსიელმა: „Moi en Europe, et en Asie l' invincible Hercule, roi de Géorgie“.*

სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, გიორგიმ სპარსეთთან და-

იწყო მოლაპარაკება, მაგრამ რუსეთის მეფემ – პაულემ შეიგყო შესაძლო კავშირის შესახებ და მოახერხა დაპირებებით მოეგო შაჰისათვის, ხელი მოეწერა ხელშეკრულებისთვის, რომელიც ბაგრატიონების დინასტიას სამუდამოდ უმტკიცებდა სამეფო ტახტს და ნებისმიერ დროს საჭირო სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა. აჯანყდა გიორგის ძმა ალექსანდრე, მაგრამ რუსთა დახმარებით, ეს აჯანყება ჩახშობილ იქნა. ალექსანდრე შეურაცხყოფილი იყო, რადგან მეფე ერეკლეს ანდერძით, გიორგის შემდეგ, ტახტის მემკვიდრეობა ალექსანდრეზე უნდა გადასულიყო, მაგრამ რუსებმა დაითანხმეს გიორგი, რომ თავისი ვაჟი – დავითი, რუსული არმიის გენერალ-მაიორი, თავის მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ალექსანდრემ სპარსეთს მიმართა დახმარებისათვის. ეს დახმარება მან მიიღო. ალექსანდრე და მისი მოკავშირე ომარ ხანი 12000-იან ლაშქრით სამსაათში იქნა დამარცხებული იორთან მდებარე სოფელ კაკაბეთთან. გიორგი 1800 წელს გარდაიცვალა და საქართველო ფორმალურად რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

პირველი მმართველი – გენერალი კნორინგი 10000-იანი არმიით შემოვიდა საქართველოში და შემდეგ წელს, მეფე ალექსანდრე I-მა მოახდინა საქართველოს ანექსია. 1803 წელს, ქართველმა თავადმა – ციციშვილმა შეცვალა კნორინგი. მისი რჩევით, „თავიდან რომ აეცილებინათ სამოქალაქო განხეთქილება“, მეფის ოჯახი რუსეთში გაიწვიეს. ამ ამბავს ძალზე გრაგიკული ინციდენტი მოჰყვა. მეფე გიორგის ქვრივმა – დედოფალმა მარიამმა უარი განაცხადა რუსეთში წასვლაზე. ერთ დღით, რუსი გენერალი ლაზარევი თავისი ჯარისკაცებით დედოფლის პალატებში შეიჭრა და ძალით მის წაყვანას შეეცადა. დედოფალმა იძრო ხანჯალი, რომელიც კაბის ქვეშ ჰქონდა დამალული, და გენერალს გულში გაუყარა. გააფთრებულმა მისმა ქალ-ვაჟმაც რამოდენიმე რუსი ჯარისკაცი დაჭრა. სამეფო ოჯახის წევრები, რა თქმა უნდა, დამარცხდნენ – ისინი რუსეთის გზას გაუყენეს. დარიალის ყველაზე ვიწრო გასასვლელში თავგორის ოსები შეეცადნენ მათ დახსნას, მაგრამ

ამაოდ. მარიამ დედოფალი ვორონეჟის მონასტერში გამო-
ამწყვდიეს 7 წელი და მშობლიური მიწა მას აღარასოდეს
ღირსებია.

თ-ღი ციციშვილი ცდილობდა, შეძლებისდაგვარად, გაეუმ-
ჯობესებინა თავისი ქვეყნის მდგომარეობა. 1804 წელს მან სამ-
ხედრო გზის მშენებლობა დაიწყო კავკასიონზე. თავადმა შეძ-
ლო დაეყოლიებინა იმერეთის მეფე სოლომონი ეცნო რუსე-
თის მეფე თავის სუბერენად, მაგრამ, მალე, სოლომონმა ისევ
გააბა საიდუმლო ურთიერთობები თურქებთან. მას შემდეგ, რაც
შტურმით აიღო განჯა და მთიულეთის აჯანყება ჩაახშო, რო-
მელსაც მეფე ერეკლეს შვილები – იულონი და ფარნაეაზი ედ-
გნენ სათავეში, ციციშვილი ბაქოსაკენ დაიძრა, მაგრამ 1806წ.
იგი ბაქოს ხანმა მუხანათურად მოაკვლევინა.

ჯარების მთავარსარდლად ახლა გრაფი გულოვიჩი დაი-
ნიშნა. თავისი თავაზიანობით გრაფმა ქართველი ხალხის კე-
თილგანწყობა დაიმსახურა. კახეთი თავისი ნებით დამორჩი-
ლდა მის ხელისუფლებას. გრაფმა არაერთხელ დაამარცხა
თურქები, მაგრამ წარმატება ვერ მოიპოვა ერევნისათვის
ბრძოლაში, სადაც მან 2000 კაცი დაკარგა. შემდეგ, ის უკან
გაიწვიეს და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს. სა-
ქართველოს შემდეგი მმართველი გენერალი გორმასოვი გახ-
და; ის ისევ აგრძელებდა ბრძოლას თურქებთან, რომლებიც
იმერეთის მეფეს – სოლომონს უწევდნენ დახმარებას. 1810
წელს აღებულ იქნა ფოთი. სამეგრელოს დედოფალი ნინო, რო-
მელიც რუსეთის მოკავშირე იყო, თვითონ წარუძღვა ჯარს
შეგვეაზე. სოხუმიც იქნა აღებული. სოლომონ მეფე დაითანხ-
მეს, რომ წასულიყო ქართლის ერთ-ერთ სოფელში და რუ-
სეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე მოეწერა ხელი; მაგ-
რამ რუსებმა ვერაგულად დაიჭირეს ის ღამით და თბილისის
ციხეში გამოამწყვდიეს. გადაცმულმა მეფემ შეძლო ციხიდან
თავის დაღწევა და ისევ ახალციხეს მიაშურა. აქ ის თურქებ-
მა დიდი პატივით მიიღეს. სოლომონი ისევ დაბრუნდა იმე-
რეთში, სადაც მთელი ხალხი აღსდგა მის დასაცავად. აჯან-

ყებები მოხდა კახეთსა და ოსეთშიც კი, მაგრამ დიდძალი სამხედრო ძალით იქნა ისინი ჩახშობილი. ყოველივე ამ უბედურებას თან დაერთო გაურცელებული შავი ჭირი, რომელმაც უამრავი ხალხი იმსხვერპლა იმერეთში.

გორმასოვი მალე შეცვალა პაულიჩმა, რომლის ადგილიც რამოდენიმე თვეში რტიჩევმა დაიკაეა. 1813 წელს ადგილი ჰქონდა ლენქორანის, კასპიისპირეთში, ცნობილ შტურმს გენერალ კოტლიარევსკის მიერ. ამ ლაშქრობას შედეგად მოჰყვა გულისტანის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელსაც სპარსეთის ინტერესების გათვალისწინებით, ხელი მოაწერა თეირანში მყოფმა ბრიტანეთის ელჩმა სერ გორ ოსლიმ (Gore Ousley).

მეფე სოლომონი 1815 წელს გარდაიცვალა გრაპეზუნდში და მასთან ერთად დამთავრდა იმერეთის, როგორც დამოუკიდებელი სამეფოს, შფოთიანი არსებობაც. დაახლოებით სამნახევარი საუკუნის მანძილზე, 30-ზე მეტი მეფე იჯდა იმერეთის ტახტზე. 22 მათგანი ჩამოგდებულ იქნა (ერთ-ერთი ბრმა ბაგრატი – რეაჯერ). შეიდი მათგანი ძალმომრეობითი სიკვდილით გარდაიცვალა, სამს – თვალები დასთხარეს.

1816 წელს, ერმოლოვმა დაიკაეა გენერალ-გუბერნატორის პოსტი. და, სულ მალე, ჩეჩნებმა და დაღესტნელებმა რუსებს სერიოზული სატკივარი გაუჩინეს. ამის შემდეგ სამღელელოება ჩაუდგა სათავეში ეროვნულ მოძრაობას იმერეთში, მას გურია და აფხაზეთიც შეუერთდა. ამასობაში, მანამდე ერთგული თავადი დადიანის ძმა აჯანყდა. მთელი ეს ცდები, რომ საქართველოში რუსული უღელი შეერყიათ, რა თქმა უნდა, უნაყოფო აღმოჩნდა, და 1822 წელს დამთავრდა გაქათალიდან ლეკების განდევნის შემდეგ. აჯანყდნენ ჩერქეზებიც. 1826 სპერსეთმა ისევ ომი გამოუცხადა რუსეთს და 60000 არმიით საქართველოში შემოიჭრა. კახთა და ლეკთა დახმარებით, რომელთაც ერეკლეს ვაჟიშვილი ალექსანდრე ედგა სათავეში, სპარსელებმა პირველად წარმატებას მიაღწეს, მაგრამ, შემდეგ, ბედის ჩარხი უკუღმა დაგრიალდა და რუსებმა გრიუშით აიღეს ერევანი, თავრიზი და სხვა ქალაქები.

1827 წელს ერომოლოვი პასკევიჩმა შეცვალა და სპარსეთთან თურქმანჩაის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიღო, მაგრამ რუსეთმა ახლა თურქეთს გამოუცხადა ომი. რუსებმა აიღეს ყარსი, ფოთი, ახალქალაქი, ახალციხე, ბეიაზიდი და 1829 წ. მეომარმა მხარეებმა ხელი მოაწერეს ადრიანოპოლის შეთანხმებას.

1830 წ. ყაზი-მოლა აჯანყდა. ამ აჯანყებამ გამოიწვია კავკასიის მაჰმადიანი ხალხების ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. ბარონ როზენმა, რომელიც არმიას სარდლობდა, 1831 წ. გიმრი დაიკავა და ყაზი-მოლა მოკლულ იქნა. გოლოვინი (1837 წ.), ნაიდჰარგი (1842) და თავადი ვორონცოვი (1844-1854) შედარებით მშვიდობიან პერიოდში მოღვაწეობდნენ და შეეძლოთ ყურადღება მიექციათ ქვეყნის საშინაო მდგომარეობისათვის. ჩვენთვის, ინგლისელთათვის, საამაყო და განსაკუთრებით სასიამოვნოა გავიხსენოთ თავადი ვორონცოვი, რომელიც თავისი პატიოსანი და გულმოდგინე ცდისათვის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დიდ აღიარებას იმსახურებს. მით უფრო, რომ ეს სახელმწიფო მოღვაწე, სისხლით თუ არა, წარმოშობითა და განათლებით ინგლისელი იყო.

ყაზი-მოლას სიკვდილს, როგორც მოელოდნენ, დაღესტნის დაშოშმინება არ მოჰყოლია. გიმრის განადგურებული გიმრის ადგილი კიდევ უფრო დიდმა წინასწარმეტყველმა და მეომარმა დაიკავა. ათი წლის პარტიზანული ომის შემდეგ, შამილმა 1834 წელს მთელი აღმოსავლეთ კავკასია ააჯანყა და განანადგურებელ დარტყმებს აყენებდა მის წინააღმდეგ გამოგზავნილ რუს გენერლებს. 1853 წ. თურქეთთან ომის გამოცხადებამ ლეკებს იმედი ჩაუსახა, მაგრამ სომხეთში თურქი მეთაურების სრულმა უუნარობამ ამ იმედის განხორციელება შეაფერხა. ყველასათვის ცნობილია შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდა შამილის მოღვაწეობაში, 1859 წელს გუნიბში, მის დაპატიმრებამდე; მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ძალზე ცოცხა ყურადღება ექცეოდა იმ მნიშვნელოვან რელიგიურ სისტემას,

რომელიც შთააგონებდა მურიდებს* გმირობის გასაოცარი საქმეების ჩასადენად. ნამდვილად აღსანიშნავია ფაქტი, რომ სუფიების, მისტიციზმი შეთავსებადი აღმოჩნდა ისეთ შეურიგებელ რწმენასთან, როგორიც ისლამია.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ცოცხალი რამდენიმე საინტერესო მოხდა საქართველოს ცხოვრებაში. 1862 წელს, დიდი მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის დანიშვნა მეფის ნაცვლად კავკასიაში, ყმათა თანდათანობით გათავისუფლება, გელეგრაფისა და რკინიგზის ხაზების გაყვანა, ერთი-ორი ბანკის, სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივი სარგებლობის დაწესებულებების დაარსება – ყველაფერი ეს არის ის მთავარი, რაც ისტორიკოსმა უნდა აღწეროს. „თავისუფალი“ სვანეთი დაპყრობილ იქნა რამოდენიმე წლის წინათ და ამჟამად რუსეთის უპირატესობა სადავო აღარ არის თურქეთისა და სპარსეთის საზღვრებამდე. ბოლოდროინდელ ომსაც კი რუსეთ-თურქეთს შორის, კავკასიის ხალხებში შესამჩნევი მღელვარება არ მოჰყოლია.

დღემდე არ არსებობს საქართველოს *ისტორია* იმ გაგებით, როგორც ეს ჩვენ დღეს გვესმის. ის შრომები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ, უბრალოდ, ცოცხალი თუ ბეერად, მასალათა სანდო კრებულებია, რომლებიც დღევანდელი ფორმით მკითხველში დაბნეულობას იწვევს. ჩვენ გვჯერა, რომ ამ მოვალეობის ღირსეული შემსრულებელი სერიოზულად მოკიდებს ხელს თავისი ერის მაგიანეებს და გასაგები ფორმით წარუდგენს მათ მსოფლიოს. ჩვენ გულით ვაგარებთ იმედს, რომ ის ისე არ დაასრულებს თავის ამოცანას, რომ არ გახდეს მემადიანი ახალი, ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაბადებისა, იმ სახელმწიფოსი, რომელიც ღირსი იქნება მეფე ერეკლესა და თამარის დიდება შეინარჩუნოს.

ქართული ენა და ლიტერატურა

ქართული და ქართველური ენების წარმოშობა ჯერ კიდევ ბურუსშია გახვეული, მაგრამ ფილოლოგების საერთო აზრით, ის არ მიეკუთვნება ინდო-ევროპული ენების ოჯახს, თუმცა ზენდის, სანკრისტის, სპარსულისა და სომხურის დიდ ზეგავლენას განიცდის. ქვეყნის უძველესი მეგყველება შემონახულია საეკლესიო რიტუალებსა და ლიტერატურაში, რომელთა დამწერლობა, თავისი ხასიათით, საგრძნობლად განსხვავდება სამოქალაქო ალფაბეტის – „მხედრულისაგან“. მის გამოგონებას მეფე ფარნაეზ I, ხოლო თანამედროვე დამწერლობისას – ალექსანდრე დიდის სახელს მიაწერენ. ხუცურს, ანუ საეკლესიო დამწერლობას, გასაოცარი მსგავსება აქვს სომხურთან, რომლის ბრწყინვალე ნიმუშიც შეიძლება ვნახოთ 1743 წლის მოსკოვურ ბიბლიაში, და რომელიც ამასწინათ იქნა შეძენილი ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის მიერ. ასოთა რიცხვი ორივე ალფაბეტში ერთნაირია – 38. თანამედროვე ალფაბეტი შემდეგი სახისაა:

ა a	ნ n	ყ (ხორხისმიერი k-ს მსგავსი რამ)
ბ b	ი (მოკლე)	
გ g	ო o	შ sh
დ d	პ p	ჩ ch
ე e	ჟ zh	ც tz
ვ v	რ r	ძ dz
ზ z	ს s	წ ts
ე' (მოკლე)	ტ t	ჭ dch
თ th (არა ინგლ. th, არამედ t, რომელსაც მოჰყვება ბგერა h)	უ u (oo)	ხ kh
	ვი (vee)	ყ khh
	ფ ph (ფ, რომელსაც მიჰყვება ასო h)	ჯ j
ი i (ინგლისური ee)	ქ k	ჰ h
კ c		შ ho
ლ L	ღ gh (ხორხისმიერი)	
მ m		

ორთოგრაფია წმინდად ფონეტიკურია. ძალიან მცირე განსხვავებაა წმინდა წიგნებსა და დღევანდელ ენას შორის. მიახლოებითაც არ არის ისეთი სხვაობა, როგორც ანგლოსაქსურსა და ინგლისურს შორის; მაგრამ თანამედროვე ენაში ბევრი უცხოური სიტყვაა შემოტანილი.

ქართული ლიტერატურის ყველაზე ადრეული ნიმუშები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, წარმოადგენენ ბიბლიის თარგმანებსა და თეოლოგიურ შრომებს, შექმნილს ბერძენ სულიერ მამათა გეგავლენით; მათ* თითქმის XI საუკუნემდე ეკავათ ქვეყნის თითქმის ყველა მაღალი საეკლესიო პოსტი.

ჩვ.წ.აღ. XI-XII სს. ქართულ-ბერძნული ურთიერთობა ძალიან მჭიდრო ხასიათს ატარებდა. ახალგაზრდა არისტოკრატები დაეით აღმაშენებლის სამეფო კარიდან და მისი უშუალო მემკვიდრეები ხშირად იგზავნებოდნენ ათენის სკოლებში, ბრუნდებოდნენ სამშობლოში, თან მოჰქონდათ პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებები, რომლებიც უდიდეს გეგავლენას ახდენდა იმ პერიოდის საქართველოს ინტელექტუალურ და სოციალურ ცხოვრებაზე. მზადდებოდა საფუძველი ქართული ლიტერატურის ოქროს ხანისათვის, რომლის აისიყ თამარის მეფობას დაემთხვა. წინასიტყვაობაში თავისი ლექსიკონისათვის, რომელიც მხოლოდ XVIII საუკუნეში იქნა შედგენილი, სულხან ორბელიანი ამბობს, რომ სიტყვათა მნიშვნელობას პროკლეს, ნემესიოსის, არისტოტელეს, დამასკელის, პლატონის, პორფირისა და ბევრი სხვა ბერძენი მწერლის თარგმანებით ამოწმებდა. მისი ხელნაწერები დღეს რომ არსებულებოდა, მათ შეეძლოთ ფასდაუდებელი სამსახური გაეწიათ კლასიკური ეპოქის სწავლულთათვის.

ქარიშხლიანმა პერიოდებმა, რომელიც ოქროს ხანას მოჰყვა, ურიცხვი ლირიკული ნაწარმოები გაანადგურა, მაგრამ გადაარჩა ეპიკური პოემა, რომელიც დღეს ამ ენაზე შექმნილ უდიდეს შედევრად ითვლება და რომელმაც უმნიშვნელო ხარვეზებით მოაღწია ჩვენამდე, განადგურებას გადაურჩა. ეს ნაწარმოები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“.

ისგორია ძალიან ცოგა რამეს მოგვითხრობს რუსთაველის შესახებ. ვიციტ მხოლოდ, რომ ის დაიბადა სოფელ რუსთავეში, ახალციხესთან ახლოს, რომ განათლება ათენში მიიღო, დაუბრუნდა თავის მშობლიურ ქვეყანას, სადაც მან თავისი უდიდესი ნაწარმოები შექმნა, იყო თამარ მეფის მდივანი, შემდეგ ბერად აღიკვეცა და გარდაიცვალა იერუსალიმთან ახლოს, წმინდა ჯვრის მონასტერში, სადაც მისი პორტრეტი დღემდე შემონახული. ამბობენ, რომ პოეტს თავდავიწყებით უყვარდა თავისი გვირგვინოსანი ქალბატონი. ეს მოსაზრება პოემის მრავალი სტროფით დასტურდება.

თავისუფლებისათვის შვიდი საუკუნის მანძილზე განუწყვეტელი ბრძოლის განმავლობაში, ქართველებმა მეხსიერებაში ცოცხლად შემოინახეს ეს ნაწარმოები. უმძიმეს წუთებში ის ხალხს შთააგონებდა იმედსა და სიმამაცეს და დღესაც ისეთივე უსაყვარლესი ნაწარმოებია მათთვის, როგორც მთელი ამ ხნის მანძილზე იყო. მის სტროფებს გაიგონებთ არა მხოლოდ გლეხთა და არისტოკრატთა ოჯახებში, არამედ, არ არსებობს ერთი ქართველიც კი, განსაკუთრებით, ქალები, რომელთაც ზეპირად არ იცოდნენ პოემის ყოველი სიტყვა. მართლაც, იყო დრო, როდესაც არც ერთ ქალს არ ჰქონდა გათხოვების უფლება, თუ მთელი პოემა ზეპირად არ ეცოდნებოდა. ასეთი არაჩვეულებრივი პოპულარობის მიზეზი იმ გარემოებაში უნდა ეძიოთ, რომ პოემა უმნიშვნელო დეტალებამდეც კი ეროვნული სულით არის გაქლენთილი; თუმც პოემის გმირები: მამაკაცები და ქალები წარმოდგენილნი არიან როგორც არაბები, ინდოელები, ჩინელები – ისინი სულით ხორცამდე ქართველები არიან.

უმარტივესია ნაწარმოების სიუჟეტი: როსტევეანი, პატრიარქალური აღმოსავლეთის მეფე, რომელმაც თავისი გახტი თავის ქალიშვილს – თინათინს დაუთმო, ერთ დღეს სანადიროდ არის გამოსული თავის სპასპეგ ავთანდილთან ერთად. მდინარის პირას ის ხედავს ვეფხის გყავით შემოსილ მომგირალ ულამაზეს ჭაბუკს. მეფე უბრძანებს თავის მცველებს შეიპყრონ

უცნობი, მაგრამ ეს უკანასკნელი ჰკლავს რამოდენიმე მათგანს და უჩინარდება. ამის გამო, როსტევეანი ისეთ საგონებელში ვარდება, რომ ბოლოს, თინათინი ცოლობას ჰპირდება რაინდს, რომელიც შეძლებს მისი მამის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. ავთანდილი მიდის ვეფხისგყაოსნის საძებრად. სამი წელი დაეხეტება, უცნაური თავგადასავლები გადახდება თავს, სანამ იპოვიდეს გარიელს – ჭაბუკ რაინდს, რომელსაც თავდავიწყებით შეჰყვარებია ინდოეთის მეფის ასული – ნესტან-დარეჯანი. შემდეგ, ავთანდილი სამშობლოში ბრუნდება თინათინის ხელის სათხოვნელად.

ავთანდილში ვხედავთ აღმოსავლეთის ქრისტიან რაინდს, რომელიც ღირსია იმისა, რომ ჩვენს როლანდსა* და წითელი ჯვრის რაინდებს* შევადაროთ მიუხედავად იმისა, რომ გარიელი შმაგი მუსულმანია, რომლის ვნებასაც ის, ამაღის გალელის მსგავსად (Amadis of Gaul)* თაემუუკავებულებამდე მიჰყავს.

მთელი პოემის მანძილზე, მკითხველი ძლიერი და უწყვეტი ინტერესით მიჰყვება პოემას და მისი დრამატული მთლიანობა მხედველობიდან არასდროს რჩება; მაგრამ რაც უნდა საინტერესო იყოს თხრობა თავისთავად, ყველაზე ფასეული, უმთავრესად, „ვეფხისგყაოსანში“ გადმოცემული თამარის ეპოქის საქართველოს ცხოვრების სურათია.

თინათინი, სხვა არაეინაა თუ არა თვით თამარი, რომელიც შემდეგნაირად არის აღწერილი:

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარგოდ ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული; მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული, ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.“

თინათინი არის ქალურობის უმშვენიერესი სახე, სწორედ ისეთი, როგორსაც შესაძლოა ველოდეთ დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში და ძალზე ძნელად წარმოსადგენია ისეთ ქვეყანაში, რომელიც განმარტოებით დგას აზიის ველური ხროვით გარშემორტყმული. თინათინის სიბრძნე, ხასიათის სიმგვიციე, სისპეტაკე და სიყვარულისადმი ერთგულება რუსთავე-

ლის ქვეყანაში სამაგალითო გახდა ქალთა მთელი თაობები-
სათვის, რომლებიც საოცარ სულგრძელობას ავლენდნენ სი-
ხარულისა და მწუხარების დროს.

ავთანდილის პორტრეტი შემდეგნაირად არის დახატული:

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთარისა,
ჯერო უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა;
მას თინათინის გონება ჰკელიდის წამწამთა ჯარისა.
„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;
რა მოშორდის, ვერ-მჭვრეტელმან ეარდი შექმნის

ფერ-ნაკლულად;

ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო
წყლულად.

საბრალოა, სიყვარული კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად!

„რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სჭირს მის სოქალისა;
თქვა: „ზედა-ზედა მომხედების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემის ფერ-გამქრქალისა!“

„ვეფხისტყაოსნიდან“ ვგებულობთ, რომ რუსთაეელისდრო-
ინდელი იდეალური გმირი გამორჩეული იყო თავისი სიმამა-
ციოთ, სიმართლით, ფიცისადმი ერთგულებით, თავგანწირვით,
სიუხვითა და ცეცხლოვანი სიყვარულით.

„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,

მე რად გაეწირო მოყვარე, მმა უმტკიცესი ძმობისა?!

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა

ბრძნობისა!

მით ვისწაველებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა
წყობისა.“

ყველაზე ცნობილი სტრიქონი მთელს პოემაში, ალბათ, ის
არის, რომელიც ამბობს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

აფორიზმად იქცა სტრიქონი:

„რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!“



RUSTAVLI.

რუსთაველის მიერ გამოხატული სიყვარულის იდეები ნაწილობრივ ოედიუსისას* ჰგავს, თუკი რომაელი პოეტის არაღელიკატურობას გამოვრიცხავეთ; მაგრამ რუსთაველს პლატონი გყუილად არ უსწაველია – მის ნაწარმოებში ვხედავთ იმ მეტაფიზიკური თეორიების კვალს, რომელიც ს.ბონავენტურამ*, დანტემ, მისმა ბუერმა თანამედროვემ და შემკვიდრემ აღმოაჩინა ქრისტიანობაში.

ბოლო სტროფი ცნობიერი თუ გაუცნობიერებული წინასწარმეგყველებათა იმისა, რომ მძიმე ღღეების შემდეგ, ისევ რიყრაჟი ღღება.

„დასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.

გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!

ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა...

ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,

წამია კაცთა თეალისა და წამწამისა მსწრობელი!“.

რაც შეეხება რუსთაველის სტილს, უნდა ითქვას, რომ გასაოცარ მსგასებას ეპოულობთ მის თანამედროვე ევროპელ მწერლებთან, სახელდობრ, გრუბადურებთან. ადვილად შეგვიძლია გავიგოთ, რომ მისი მოღვაწეობა რაღაცით წააგავდა კიდეც ზოგიერთ იმ ტკბილად მომღერლის ბედს, რომლებიც საფრანგეთისა და იტალიის ქალბატონთა მფარველობითა და კეთილგანწყობით სარგებლობდნენ. უდიდეს ევროპელ პოეტთა შორის არიოსტო* და გორკეატო გასო* ყველაზე მეტად ენათესავენბიან რუსთაველს. თემის მსგავსებასთან ერთად, ამ უკანასკნელის პლატონურობა კიდეც უფრო მეტად ადასტურებს მათ მსგავსებას.

თავისი ღღევანღელი ფორმით, პოემა 1600 სტროფისაგან შედგება. თითოეულ სტრიქონში 16 მარცვალია და ოთხსტრიქონიანი სტროფი ერთიღაიგივე რითმით მთავრღება.. რიგში პირობადღებულია მახვილებით ისევე, როგორც ინგლისურ ლექსში და მას შეიძლება ჰეგზამეტრი ვუწოდოთ, ე.ი. თითოეულ სტრიქონში არის 6 გერფი, რომელიც ცეზურით იყოფა სამ გერფად; მეოთხე სტრიქონი უცვლელად იწყება ნაწილაკით „I“,

რომელიც მარცვლად არ ითვლება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პოემა არც ერთ ევროპულ ენაზე არ ყოფილა თარგმნილი, თუმც მისი ნაწყვეტები და ამონარიდები გამოქვეყნებულია რუსულ და პოლონურ ჟურნალებში. მე მინახავს გვარი „როსტაველო“ ციტირებული ჯიობერტის (Gioberti)* ნაწერებში ერთი წლის წინათ, საგულდაგულოდ შეჯერებულ ტექსტთან ერთად. ქართველმა კრიტიკოსებმა ნიადაგი მოამზადეს მათთვის, ვისაც სურს ეს ეროვნული ეპიური პოემა ევროპულ მკითხველს გააცნოს.

რუსთაველის თანამედროვეთაგან შეგვიძლია დავასახელოთ: ჩახრუხაძე, პოემა „თამარიანი“-ს ავტორი. ნაწარმოები მთლიანად ეპითეტებისაგან შედგება. მაგალითად,

„თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირმცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მტკნარი, მომდინარი“;

შავთელი – რუსთაველზე კიდევ უფრო მეტად დაფასებული პოეტი, მაგრამ მისი უმშვენიერესი ნაწარმოები დაკარგულია. მხოლოდ თავისი „დარეჯანიანით“ და ს.თმოგველი – „ვისრამიანისა“ და „დილარიანის“ ავტორი. მათ შექმნეს რომანები რაინდობასა და თავგადასაქვლებზე; მათ დიდად აფასებენ სამშობლოში და შესაძლებელია მათი დონის საუკეთესო ევროპული ლიტერატურის წარმოქმნადაც შევადაროთ. დაახლოებით იმავე პერიოდში დაიწერა ეროვნული მაგიანე, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება.

ლიტერატურული საქმიანობის ეს პერიოდი უეცრად გაწყდა ჩინგიზ-ხანის საშინელი შემოსევებით. განუწყვეტელმა ოთხსაუკუნოვანმა ომებმა, რომელშიც ქვეყანა იყო ჩაბმული, აქტიური რომანის უდიდესი მასალა შექმნა, მაგრამ ამისათვის არაფერს უკლებია.

XVII საუკუნის ბოლოს, თავადმა სულხან ორბელიანმა თავისი მოგზაურობა აღწერა წიგნში „მოგზაურობა ევროპაში“ და შექმნა იგავეებისა და ხალხური მოთხრობების კრებული, რომელიც მოგვიანებით რუსეთში დაიბეჭდა. ს.ორბელიანი ლუი XIV-ის კარზე ცხოვრობდა და მეგობრობდა ლაფონტენთან*,

რომელიც თავისი ზოგიერთი იგავის გამო, დაეალებულია ქართველი თავადისაგან. ს.ორბელიანმა უდიდესი სამსახური გაუწია თავის ქვეყანას იმით, რომ შეადგინა ლექსიკონი, რომელიც 25000 სიტყვას შეიცავს, და საფუძველი დაუდო ყველა შემდგომ ლექსიკოგრაფიულ სამუშაოს.

1712 წელს, ვახტანგ VI თბილისში სტამბა დააარსა და თამარის ეპოქის უმნიშვნელოვანესი ლექსები და რაინდული რომანები გამოაქვეყნა. ამ წიგნებს მან ისეთი ფასი დაადო, რომ ყველა მისი ქვეშევრდომისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ერეკლე მეორის, როგორც ქართული ლიტერატურის ავგუსტუსის*, დიდებული ხსოვნა განაგრძობდა მოქმედებას და მან ანტონ კათალიკოსის სახით Mæcenos Pollio ჰპოვა. XVIII საუკუნის ყველაზე გამოჩენილი მწერლები იყვნენ: უფლისწული ვახუშტი – ვახტანგ VI ვაჟი, რომელმაც შეადგინა „საქართველოს ისტორია“ და „საქართველოს გეოგრაფია“; ანტონ კათალიკოსი, რომელიც ავტორია ბევრი საგანმანათლებლო და რელიგიური შრომისა; გურამიშვილი და საიათნოვა, რომლებიც თავისი ლექსებით ქებას ასსამდნენ ერეკლეს გრიუმუს. ეს ლექსები დღესაც ახლობელია თითოეული გლეხისთვისაც კი.

ქვემოთ მოყვანილი სერენადა* ამ პერიოდს ეკუთვნის. იგი პუშკინმა ჩაიწერა 1829 წელს. მის შესახებ ის შემდეგს წერს: „მასში არსებობს გარკვეული აღმოსავლური არათანმიმდევრულობა, რომელიც არ არის პოეტურ ღირსებას მოკლებული“.

ქართულმა პოემიამ ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედამდე ვერ შეძლო „აღმოსავლური არათანმიმდევრულობისათვის“ დაეღწია თავი. ლიტერატურული გამოღვიძება, რომელიც 60-70 წლის წინათ დაიწყო, ბევრად იყო დავალებული დასაველეთ ევროპის ისეთი პოეტების მიერ, როგორიცაა ბაირონი, რომელსაც ქართველები, უმთავრესად, პუშკინისა და ლერმონტოვის თარგმანებით გაეცნენ.

თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) – რუსული არმიის გენერალი, თანამედროვე პოეტური მიმდინარეობის დამაარსებელი. დასაველელ რომანტიკოსთა გავლენა კიდევ უფ-

რო ცხადად ჩანს ბარათაშვილის (1816-1846) ადრეულ ნაწარმოებებში, მაგრამ მან წარმატებას მაშინ მიაღწია, როცა გააცნობიერა თავისი სიჭაბუკის ნაღვლიანი მიზანტროპია და ეყო სიმამაცე ელიარებინა, რომ ბაირონიზმის „ბოროტმა სულმა“* შეცდომაში შეიყვანა.

თავად გიორგი ერისთავს ბედმა არცუნა დასაუღეთ ევროპის ლიბერატურა თავის თანამემამულეთათვის გაეცნო. რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, ის პოლონეთში გადაასახლეს. აქ მან შეისწავლა მიცკევიჩი, შილერი, პეტრარკა და პუშკინი, რომელთა პოეზიის რჩეული კრებული თავის მშობლიურ ენაზე გამოაქვეყნა. თბილისში დაბრუნებულმა, გერისთაემა დააარსა ეროვნული თეატრი, რომლისთვისაც ის თვითონ წერდა კომედიებს. ერისთავთან ერთად დამთავრდა სენტიმენტალიზმი და პოეტთა ახალმა თაობამ შთაგონების ძიება პატრიოტულ იდეალებში იწყო. თავადი გრიგოლ ორბელიანი (1801-1883) უმღეროდა თავის მამულის წარსულ დიდებას და წუხდა იმ უმძიმესი მდგომარეობის გამო, რომელშიც ის იყო ჩაყარნილი. თავის ოდაში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ის ევედრება დიდებულ მეფეს წყალობის თვალთ გადმოხედოს საქართველოს და დალოცოს მისი შეილები სიბრძნე და ძლიერება; ის სასოწარკვეთით კითხულობს:

„ვაჰ, თუ რაც წახდეს,
ვეღარა აღჰსდგეს,
ვეღარ აყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიგაცა
შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!

მისი ლექსის სტრიქონები, დაწერილი მეფე ერეკლეს სიკვდილზე, იგივე სულისკვეთებას გამოხატავს:

ორბელიანი თანაგრძნობით უყურებს ღარიბსა და დაჩაგრულს. მისი „მეთევზე ლოპიანა“ და „მუშა ბოქულაძე“ (მუშა – მძიმე გვირთის მზიდავია) თავისებურ შედევრებს წარმო-

ადგენენ. იმ დროს, როდესაც ორბელიანი სინანულით უმჯერს წარსულს, აკაკი წერეთელი (1840 წ. დაბადებული) იმედიანად შეჰყურებს მომავალს:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს...“

თავისი ელეგანტური, მაგრამ შთაგონებული ლირიკით, იგი თავის თანამემამულეებს მოუწოდებს ვაეკაცურად გაჰყენენ პროგრესის გზას. წერეთელს ეკუთვნის უბრწყინვალესი ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“. გარდა ამისა, ის არის ორაგორი და უმაღლესი რანგის პუბლიცისტი.

იმავე ლიტერატურულ მიმდინარეობას ეკუთვნის თავადი ილია ჭავჭავაძე (დაბადებული 1837 წ.), რომელიც ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი და მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა მათ შორის, ვინც დღეს ჰყავს საქართველოს. მთელი მისი პოეზია, მთელი მისი შემოქმედება, როგორც პოეზის, რომანისგან, პუბლიცისტიკის, ორაგორისა და ფინანსისტიკის, ამაღლებული პატრიოტული სულით არის გაქვინთილი. გაზაფხულის მოსვლა, ყვავილებისა და ფრინველთა გამოღვიძება, მისი საყვარელი ქვეყნის ხანგრძლივ, დაგვიანებულ გამოღვიძებას აგონებს; მისი ელეგიები მტკეპართან, არაგვთან და ალაზანთან იმავე გრძნობებით არის აღსავსე. მაგრამ თავისი შეხედულებები მან ყველაზე უკეთ „ქართლის დედისადმი“ მიძღვნილ ლექსში გამოხატა. ახსენებს რა ქართველ დედებს, თუ ძველად როგორ ემსახურებოდნენ ისინი თავის სამშობლოს, როცა სიხარულით ჰგზავნიდნენ შვილებს ბრძოლის ველზე და დიდ სიმამაცეს აღვივებდნენ მათში უბედურების ქამს, ილია ამბობს:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შეილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, –
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, –
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...”

ი.ჭავჭავაძის მოთხრობებმა და ლექსებმა ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე სხვა რამემ, იმისათვის, რომ ქართველ ხალხში ცხოვრების გარდაქმნის საქმეში მათი მოვალეობის გრძნობა გაეღვიძებინა. პოემამ „კაკო ყაჩაღი“, რომელშიც დასატყულია უქნარა სოფლის მემამულე, რომელიც თავისი ყმების შრომით ცხოვრობს, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ კლასსზე, რომლისთვისაც ის იყო გამომჩნული. მოთხრობამ „კაცია – ადამიანი?“, რომელშიც აღწერილია ცხოვრება ახალგაზრდა არისტოკრატიისა, რომელიც მთელ თავის დროს ჭამა-სმას, ძილსა და სისუფელეებში ატარებს, ასობით მისი თანამემამულე სირცხვილით გააწითლა და უკარნახა მას თავისი არსებობის ღირსეული გზა მოეძებნა. თავად-აზნაურობის კონსერვატულმა ნაწილმა, პირველად სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ჭავჭავაძის რადიკალურ იდეებს, მაგრამ მან შეძლო წარმატებისათვის მიეღწია, როცა თანამოაზრეების დიდი რიცხვი შემოიკრიბა. დღეს ის არის გამომცემელი ყოველდღიური გაზეთისა – „ივერია“, რომელსაც საზოგადოების ყველა ფენა კითხულობს. თ-ღი ჭავჭავაძე მთელ თავის დროს ეურნალისტურ საქმიანობასა და ბანკის მართვას უთმობს. ეს დაწესებულება მეურნეთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად იქნა დაარსებული.

გარდა ზემოხსენებული ნაწარმოებებისა, ი.ჭავჭავაძეს დაწერილი აქვს უამრავი სხვა რამ. მის შესახებ მოკლე მიმოხილვას დავამთავრებ ნაწყვეტით „აჩრდილიდან“:

„ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,



PRINCE ILIA CHAVCHAVADZE.



PRINCE IVANÉ MACHABELLI.

რამდენს ვაებას შენს თავზედა გარდაუვლია!..

ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და

წამებულო,

ეკლიანს გზამედ შენებრ სხვასა რომელს უელია?

სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი

გამოეცლოს და სრულიად მგვრად არ აღგვილიყოს?

შენ ხარ, მარგო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი,

რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეც შესძლებიყოს.

შენთა შეილთ გული შენთა მგერთა შეაკლეს ზედა,

ორი ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,

მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა

არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.

ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღწეოდა, —

ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა, —

მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,

ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.“

თავადი ყაზბეგი სოციალური ცხოვრების ამსახველ რომანს წარმოგვიდგენს. ეს არის ახალგაზრდა ენერგიული მწერალი, რომლის ბევრი ნაწარმოები სერიულად იბეჭდება გაზეთებში.

რჩეული ისტორიული რომანის საუკეთესო მწერალია. მისი „თამარ მეფე“ ქართველი ხალხის უსაყვარლესი ნაწარმოებია. ეროვნული თეატრი კარგად არის უზრუნველყოფილი ცაგარელისა და სხვათა ახალი ორიგინალური კომედიებით. თავადი ივანე მაჩაბელი, რამდენადაც მე ვიცი, ერთადერთი ქართველია, რომელსაც შეუძლია ორიგინალში წაიკითხოს ინგლისური ლიტერატურა. მან შექსპირის რამოდენიმე პიესა თარგმნა; ეს პიესები ყოველთვის უამრავ მაყურებელს იზიდავს და შესაფერისად არის დაფასებული. ცალკე უნდა გამოეყოთ „მეფე ლირი“, რომელიც ძალიან ჰგავს მეფე ერეკლეს და, რომლის მიმართ ხალხს განსაკუთრებული ინტერესი აქვს. შექსპირის მიმართ ეს გულითადი თაყვანისცემა რამდენადმე განსაკუთრებულია. ჩემის აზრით, ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოე-

ბით, რომ ქართველი ხალხი თითქმის ისეთივე ინტელექტუალური და სოციალური განვითარების დონეზეა, როგორმედაც ჩვენი მამა-პაპა იყო ელისაბედის დროს; ამის გამო, მათ შეუძლიათ უფრო ღრმად ჩაწვდნენ ჩვენი დიდი პოეტის აზროვნების მანერას. გარდა იმ არსებითისა, რაც ყოველთვის მოახდენს ზეგავლენას ადამიანის გონებაზე, არსებობს სხვა დამატებითი რამ – ხასიათი, აგმოსფერო, რომელიც უფრო მეტად მიეკუთვნება გარდაქმნის ადრეულ პერიოდს – ფეოდალიზმიდან თავისუფლებისაკენ, რწმენიდან – რაციონალიზმისაკენ, საომარი მოქმედებიდან – მშვიდობისაკენ; ათი თუ თორმეტი თაობა ცხოვრობდა ინგლისში, სანამ ჩვენი ისტორიის დღევანდელ ეტაპს მივადწევიდით; საქართველოში ჯერ კიდევ ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც რაინდობისა და თავგადასავლების ეპოქაში დაიბადნენ.

მიუხედავად იმისა, რომ თავადი მაჩაბელი მხოლოდ ოცდაათი წლისაა, ის ალბათ, ილია ჭავჭავაძის შემდეგ ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობს თავის თანამემამულეთა შორის; პარიზის უნივერსიტეტში სწავლისას, ის ახლოს გაეცნო დასავლეთ ევროპის ინტელექტუალურ და სოციალურ ცხოვრებას. ყოველივე ამან საშუალება მისცა მას ახალგაზრდა თაობა მიეყვანა იმ დასკვნამდე, რომ აღმოსავლურთან მიმართებაში დასავლეთის ცივილიზაციისათვის უპირატესობა მიენიჭებინა. ყველაფერს, რაც აზიას ახასიათებს, ახლა ურყევად კანონგარეშედ აცხადებენ, დასცინიან და უპირატესობას რომანულ-გერმანიკულ იდეალებს აძლევენ. როგორც „დროების“ (Time – დედაქალაქის ყოველდღიური გაზეთი) რედაქტორს, მაჩაბელს საშუალება ჰქონდა თავისი მოსაზრებები მთელ ქვეყანაში გაეცელებინა, მაგრამ ერთმა მისმა თამამმა სტატიამ ცენზურის მხრივ რეპრესიები გამოიწვია.

ეს მიმოხილვა არასრული იქნება, თუ მოკლედ არ შევეხეთ უაღრესად პატივცემულ ქუთაისის ეპისკოპოს გაბრიელს, რომლის ქადაგებები ერთსა და იმავე დროს ჩინებულია თავისი სტილით და მარტივია თავისი მოძღვრებით. მის ქადა-



BISHOP GABRIEL OF KUTAIS.

გებებს უძლიერესი ზეგავლენა აქვს ქართველ ხალხზე. ქადაგებების ავტორი მთელ მის თანამემამულეებს გულწრფელად უყვარს. გაბრიელ ეპისკოპოსის ადრეული ქადაგებების ინგლისური თარგმანი აწ განსვენებულმა ს.ც.მაღანმა გამოაქვეყნა.

ქართული ხალხური შემოქმედება მდიდარია ზღაპრებით, იგავეებით, გამოცანებით, ბალადებით და ყურადღებით შესწავლას მოითხოვს.

საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა

ცნობილია, რომ რუსეთის საზღვრებში არიან ხალხები, რომლებიც თავისი ისტორიული მნიშვნელობითა და ინტელექტუალური განვითარებით არაფრით არ ჩამოუვარდებიან გაბატონებულ ერს. ჩვენ შეგვიძლია გონების თვალთვლით განვჭვრიტოთ, რომ რუსოფობები მოგეაწოდებენ რაიმე ინფორმაციას იმ ერების შესახებ, რომლებიც, ალბათ, მათი მოკავშირეები იქნებიან გარდაუვალ ბრძოლაში. მართალია, რუსეთ-ინგლისის ომის შემთხვევაში ტაქტიკა, რომელიც შეიძლება აწარმოოს პოლონეთმა, ფინეთმა ან საქართველომ, თითქმის არ წარმოადგენს მსჯელობის საგანს, არის შემთხვევები, როცა ამ საკითხს სხვათაშორის ეხებიან.

რამდენადაც მე ვიცი, ერთადერთი ცოცხალი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც რაიმე გაეგება კავკასიაში შექმნილი მდგომარეობისა, პროფესორი ჯეიმს ბრაისია (James Bryce), რომელიც 1877 წელს გამოქვეყნებულ შრომაში გამოხატავს მის მიერ კავკასიაში მიღებულ შთაბეჭდილებებს გასულ წელს აქ თავისი ხანმოკლე ვიზიტის დროს. მისი შენიშვნები უაღრესად საინტერესოა და იშვიათი გამჭრიახობით წარმოაჩენს მოვლენათა არსს; მიუხედავად ამისა, ის ნაწილი, რომელიც განსაკუთრებულად ეხება საქართველოს, ღიაა სამი სერიოზული წინააღმდეგობრივი საკითხის გამო.

1. საქართველოში ყოფნის ხანმოკლე პერიოდმა, ავტორი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აქ მისი უფრო ხანგრძლივად ყოფნა მნიშვნელოვნად შეცვლიდა მის შთაბეჭდილებებს. ამას ის თვითონაც გულწრფელად აღიარებს.

2. მისგერ ბრაისი კონგაქტში არ ყოფილა გამოჩენილ ქართველებთან; ამის გამო, ის იძულებული იყო დამოკიდებული ყოფილიყო სხვების მიერ მიწოდებულ ინფორმაციებზე ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისა და მკვიდრი მოსახლეობის მის-

წრაფებების შესახებ. სწორედ ამიგომ არის, რომ ის ასე ცოგას ლაპარაკობს საქართველოზე და საპაგიო ადგილს უთმობს სომხებს, რომელთა თაევამოდებულ დამცეველადაც გვევლინება ჩვენი სახელოვანი თანამემამულე.

3. ამ ბოლო დროს დიდი ძერები მოხდა საქართველოში. დღეს საქართველო ის აღარ არის რაც 1876 წ. იყო. გარკვეულმა მიზეზებმა, რომელსაც ქვემოთ შეეხებით, ისეთივე მოულოდნელი გამოდევძება გამოიწვია, როგორც მისი დასასრული.

არსებობს ერთი ინგლისელი, რომელსაც შეუძლია ზუსტად აღწეროს პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში და მისასალმებელია, რომ ეს არის მისი უდიდებულესობის ვიცეკონსული ბათუმში. როცა ბრიგანეთის მთაერობა გაიღვიძებს იმ ფაქტის აღიარებისათვის, რომ ჩვენ უნდა დაეიცვათ ჩვენი ინტერესები შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონში, თბილისის საკონსულო (რომელიც გაუქმებულ იქნა 1881 წ., ვინაიდან ის მიზნები, რისთვისაც ის დაარსდა, არ იყო მიღწეული) შესაძლოა აღდგენილ იქნას. თუ ეს ასე მოხდა, სხვა უფრო უნარიანი და თანამგრძნობი კონსული არ შეიძლება იყოს შერჩეული, ვიდრე ბ-ნი დ.რ. ფიქოქია (Mr.D.R.Peacock), რომელიც წლების მანძილზე იცავდა ჩვენი დრომის ღირსებას ფოთისა და ბათუმის ციებ-ცხელებიან ჭაობებში.

ამ სგრიქონების ავგორისათვის კარგად არის ცნობილი შეუფერებლობა იმ ამოცანისა, რომელიც მან თავისთაებზე აიღო, თუმც დარწმუნებულია, რომ ცრურწმენებისაგან თავისუფალი მისი დაკვირვება უინტერესო არ იქნება; თუ წარმატებას მიაღწევს იმით მაინც, რომ გამოიწვევს მისი მოსამრებების წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკას. ის კმაყოფილი დარჩება, რადგან მიაჩნია, რომ ამის მეოხებით ყურადღება მიექცევა პრობლემას, რომლის შესახებ მსჯელობა უნდა წარმოედეს სასიცოცხლო მნიშვნელობის ბევრი საკითხის უკეთ გაგებისათვის.

დასაწყისშივე აუცილებელია მკითხველმა გონებიდან ამო-

შალოს მოსაზრება, რომელიც მთელს ევროპაშია გავრცელებული და, რომელიც, ალბათ, უმთავრესი მიზეზია კავკასიის მიმართ პოლიტიკოსთა გულგრილობისა. იმათ შორისაც კი, ვინც ამ ქვეყანაში ყოფილა, გავრცელებულია აზრი, რომ ამიერკავკასია დასახლებულია ცოტა თუ ბევრად ველური მრავალრიცხოვანი გომით, რომელთაც რუსული მმართველობის საეჭვო წყალობის გარდა, არაფერი აქვთ საერთო. ეთნოგრაფებს შეუძლიათ ხელი მოჰკიდონ ხეესურთა, სყანთა, ფშავთა და ოსთა წარმოშობისა და დამახასიათებელი თვისებების გულმოდგინე შესწავლა-გამოკვლევას. ჩვენთვის საკმარისია ეიცოდეთ, რომ ყველა ეს ხალხი პოლიტიკურად მაინც ქართველები არიან, რადგან უილიამ დამპყრობლის დროიდან მოყოლებული, ქართველი მეფეების წინამძღოლობით იბრძოდა. ტერიტორიაზე კავკასიის მთებს, თურქეთისა და სპარსეთის საზღვრებს, შავსა და კასპიის ზღვებს შორის, ცხოვრობს მხოლოდ სამი მკვიდრი ხალხი, რომლებიც ჩვენს ყურადღებას იმსახურებს. სახელდობრ, აღმოსავლეთით, ლეკთა სხვადასხვა გომი. მათი რიცხვი დაახლოებით

	1500000-ია.
სამხრეთით, სომხები	740000
დასავლეთით, ქართველები	1000000-ზე მეტი
მთლიანობაში ქართველები შედგებიან:	
ა) ქართლებსა, კახელებისა და ინგილოებისაგან	310000
ბ) მთიელებისაგან ე.ი.ხევსურების, ფშავეების, თუშებისაგან	20000
გ) გურულებისა და იმერლებისაგან	380000
დ) აჭარლების, ქობულეთელების (ართვინის ხეობის ახლოს)	46000
ე) მეგრელებისაგან	200000
ვ) ლაზებისაგან (ბათუმთან ახლოს), რომელთა უმრავლესობა ჯერ ისევ თურქეთში ცხოვრობს	2000
ზ) სვანებისაგან	12000

ამათ ემატებათ:

აფხაზები (სუხუმთან ახლოს) 32000

და

ოსები (კავკასიის სამხრეთით) 53000

ბევრი ქართველი თურქეთში ცხოვრობს. ქართველები ცხოვრობენ სპარსეთშიც, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით. უამრავი რიცხვი აღგილობრივი ნომენკლატურისა, რომელიც ზემოთ არის მოცემული, ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც ჩვენთვის იორკშირელები, კორნუელელები და აბერდონელები. თუ მე შეეძელი ჩემს მკითხველს შევუქმნა შთაბეჭდილება იმ ფაქტით, რომ ბაქოს სტეპებიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული პოლიტიკურად ერთიანი რეგიონი არსებობს, ჩავთვლი, რომ ჩემს შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ წმინდა ქართული ენა ახლა ბევრად უფრო გავრცელებულია, ვიდრე ეს საუკუნეების მანძილზე იყო და, რომ დიალექტები სწრაფად ქრებიან. ეს, უმეტესად, ალბათ, განპირობებულია ლიტერატურული გემოვნების ზრდით, რასაც ხელს უწყობს გაზეთები და სხვა პერიოდული გამოცემები. გარდა ამისა, არსებობს მრავალი სკოლა, სადაც ქართული ენა ისწავლება – ქართველები გადაურჩნენ სომხების ბედს, როცა ბოლოდროინდელი ამბოხების გამო, ყველა სომხური სკოლა დახურეს. დღეს, თბილისში არსებობს საზოგადოება, რომელიც გლეხობაში ეროვნულ ლიტერატურას ავრცელებს. ყოველივე ამან კიდევ უფრო შეუწყობს ხელი ეროვნული გრძნობების გამოღვიძებას, ვიდრე ეს იყო XVს-ში, სამეფოს საბედისწერო დაქუცმაცებიდან მოყოლებული. უმნიშვნელო უთანხმოება ქართლებს, კახელებსა და იმერლებს შორის მიტევებულ და მივიწყებულ იქნა და მაშინ, როდესაც საქართველოს ხმა კელაე გაისმება აზიაში, ის ილაპარაკებს იმ ავტორიტეტით, რომელიც ერთიან პატრიოტ ხალხს ეკუთვნის.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა პოლიტიკური გრძნობები არსებობს ამ საუკუნეში საქართველოში, საჭიროა გა-

ვისხენოთ, თუ როგორი იყო წინარე ისტორია. მთელი იმ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, რომლის შესახებაც ჩვენ მხოლოდ ფრაგმენტული ჩანაწერები გვაქვს, ქვეყანა მუდმივ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხშირად დაპყრობილი, მაგრამ უმეტესად თავდამსხმელი, მარად დაუმარცხებელი ეს პატარა სახელმწიფო თავის არსებობის 1000 წლის მანძილზე მარტოდმარტო ინარჩუნებდა თავისუფლებას იმ სასტიკ ფანატიკოსებს შორის მომწყვდეული, რომელთა დიდება მთელ შეერთებულ ევროპას აზანზარებდა. ბოლოს, სამოქალაქო ომისგან დაფლეთილმა და მტრის მიერ განადგურებულმა, მან ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო – აღმოჩენილიყო ქრისტიანული ძალაუფლების ხელში, რომელსაც ჰქონდა უნარიცა და სურვილიც მფარველობა გაეწია და შური ეძია მისთვის. გამოიყენა რა რუსეთის დახმარება, ბუნებრივია, ქართველები ეძებდნენ სიმშვიდეს, რომელიც მათ ასე ძალიან ესაჭიროებოდათ; თუმც მუდამ მზად იყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ებრძოლათ, რამდენიმე სასიქადულო გამონაკლისის გარდა, ისინი ნაკლებად იყვნენ დასაქმებულნი ქვეყნის საშინაო საქმეებით. ემორჩილებოდნენ რა ისეთი რბილი, იდეალური და კეთილისმყოფელი მეფის მმართველობას, როგორიც ალექსანდრე I იყო, მათ არ ჰქონდათ მოთხოვნილება ასეთი ჩარევისათვის, მით უმეტეს, როცა ეს მმართველობა წარმოდგენილი იყო ისეთ ღირსეულ მეფის ნაცვალთა სახით, როგორიცაა ციციშვილი და ერმოლოვი. უნდა ვაღიაროთ, რომ ასე თვითკმაყოფილნი განაგრძობდნენ უქმად ცხოვრებას თითქმის ორი თაობის განმავლობაში; მხოლოდ ათი წლის წინ გაიგონებდით თბილისში ასეთ გამონათქვამს: „თუ მძინარე მელუქნეს დაინახავთ, ის ნამდვილად ქართველი იქნება“. ეს ძილი ახლა დასასრულს უახლოვდება. შესაძლოა არსებობდეს სხვადასხვა მოსაზრება ერის გამოღვიძების შესახებ; მკაცრმა ზომებმა რუსეთის მხრივ, რომლის პოლიტიკური კურსი ამიერკავკასიაში უფრო და უფრო გამაღვიძებელი გახდა, თავად ვორონცოვის გადაყენების შემდეგ, 1845 წელს, კულმინაციას მიაღწია

გასულ წელს იძულებითი სამხედრო სამსახურის შემოღების გამო. ამან უდაოდ გარკვეული ეფექტი იქონია, მაგრამ სანამ არ დადგება ერთდროული პროგრესი ერის ინტელექტუალურსა და სოციალურ განვითარებაში, შესაძლოა ხალხი ყოველგვარი ჩივილის გარეშე, უხმოდ დაემორჩილოს ამ ბრძანებულ კანონს.

ეჭვს არ იწვევს ფაქტი, რომ გადაჭარბებული გამაფრთხილებელი ზომები, რომელსაც პოლიცია იღებს ყოველგვარი პოლიტიკური აგიტაციის აღმოსაფხვრელად, სწორედ იმას უწყობს ხელს, რის თავიდან აცილებასაც ცდილობენ. ერთ დღეს, სოფლის შემამულემ მითხრა, რომ მის სახლთან მდებარე პატარა სავაჭროსთან „მათ ქანდარმი დააყენეს. მის მოსვლამდე პოლიტიკით თავს არავენ იწუხებდა, ახლა კი, პოლიტიკის გარდა, იქ არაფერზე საუბრობენ“. რამოდენიმე ხნის წინათ. ქართველი თავად-აზნაურობა, რომელიც რუსულ არმიაში მსახურობდა, რევოლუციური სოციალიზმის იდეებით დააუადლა და არც თუ ისე ცოცხა მათგანი დანსაჯა თავისი წინდაუხედაობის გამო (მაგ. ცნობილი ციციანოვი 1877 წ.); ამჟამად, ეროვნული გრძნობა იმდენად გაძლიერდა, რომ ასეთი იდეებისათვის ადგილი აღარ რჩება. მიუხედავად ამისა, გასულ ზაფხულს თბილისში ჩემი ყოფნის დროს, გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა თავადების დიდ რაოდენობას (100-ს, თუ 200-სს) უპირებენ, გასახლებას მეფის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მეფეს შემოდგომამდე ელოდნენ თავის ახალ წინანდლის რეზიდენციაში, თელავის ახლოს. თვით ფაქტი იმისა, რომ ეს ცნობა დაინგერესებულ პარტიებს სჯეროდათ, ძლიერი მოწმეა იმ განუკითხაობისა, რომელსაც სჩადის რუსული პოლიცია. სოფლის რაიონებში ხალხმა რუსეთი იცის, როგორც უცხო ძალა, რომელიც მათ გადასახადების ამკრეფებს, სახალხო მოსამართლეებსა და სხვა სამოქალაქო მოსამსახურეებს უგზავნის. ისინი შეურაცხმყოფელ ფუნქციას ასრულებენ. ეს სულაც არ არის გამომწვეული გადამხდელთა ნდობის მოსაპოვებლად. ცნობილია, რომ ჩინოვნიკს არასასიამოვნო რეპუტაცია

აქვს თავის საკუთარ თანაქმედებულეთა შორისაც და ისინი ვინც თანხმდებიან ამიერკავკასიაში ამ ღრობით გადასასლებაზე, არ არიან თავისი პროფესიის გამორჩეული წარმომადგენლები. მათი საქციელი ევროპელთათვის ცოტა რამეს გოვებს სასურველს; სახალხო მოსამართლეები ისევე, როგორც პოლონეთში, აქაც პირდაპირ ინიშნებიან პეტერბურგში იუსტიციის მინისტრის მიერ; მთელი სამხილები ოფიციალურ (რუსულ) ენაზე უნდა იყოს თარგმნილი. ეს ხაზს უსვამს მხარეების ბუნებრივ გრძნობას, რომ მათ, გარედან, უცხოური კანონებით ასამართლებენ და განუკითხავად აცყუებენ. მოსამართლეთა პიროვნული ხასიათი, ბევრ შემთხვევაში ისეთი არ არის, რომ ხალხს კანონისადმი პატივისცემა შთააგონოს. მოსამართლეთა ქედმაღლური, მოჩხუბარი ტონი ნებისმიერ ღროს არის აუტანელი, მაგრამ განსაკუთრებითაა გამწვავებული ალკოჰოლით. მე არასოდეს დამავიწყდება სცენა, როდესაც ერთ პროცესს დავესწარი; მშვენიერმა ბრგე მთიელმა მოკრძალებით მიართვა განცხადება არაფრისმაქნის, გალემილ მოსამართლეს, რომელიც იმავე ოჯახში სტუმრობდა, სადაც მე ვიყავი გაჩერებული. კანონისა და წესრიგის წარმომადგენელი მთვრალი იყო, უიმედოდ მთვრალი და ისეთნაირად მოექცა მოსარჩელეს, რომ მე სირცხვილით დავიწვი; მეშინოდა, რომ ეს მოსარჩელე შეურაცხყოფისათვის მაშინვე შურს იძიებდა, მაგრამ მან თავი ღირსეულად შეიკავა. როცა უკან გამობრუნდა, მის სახეზე ჯოჯოხეთური სიძულვილი იყო აღბეჭდილი. არა მგონია, მან სასამართლოს ისევე მიაკითხოს, მით უმეტეს, რომ აქვს თავისი საკუთარი მახვილი ხანჯალი, რომლითაც საკამათო საკითხს თვითონვე მოაგვარებს.

რაც უნდა იყოს ერის გამოღვიძების მიზეზი, მის რეალურ არსებობაში ეჭვის შეგანა აღარ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა არხებით შეძლებს ეროვნული აქტივობა თავისი გზის პოვნას. ასეა, თუ ისე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხი, ალბათ, არ მიბაძავს თავისი მემობლების – სომხების არაკეთილგონივ-

რულ ქმედებას – არაერთხელ შეუფერებელ დროს წამოიწყეს სახალხო მოძრაობა, რომლის ბელნიერ დასასრულამდე მიყვანა მათ არ ხელეწიფებოდათ. ქართველთა ხასიათი მეტისმეტად გულწრფელია და ღია იმისათვის, რომ შეთქმულების საიდუმლოება დამალონ; მიუხედავად ამისა, რა ძლიერიც არ უნდა იყოს მათი გრძნობები, ქართველებმა იციან როგორ დაიყადონ სანამ დადგება მომენტი, რომ შეძლონ ამ გრძნობათა რეალიზაცია. ბრწყინვალე ერთსულოვნება ხალხის მიზნებისა არ საჭიროებს წინასწარ დაგეგმილ ორგანიზებას.

საინტერესოა აღენიშნოთ, რომ ქვეყნის პოლიტიკური იდეალები დასავლეთ ევროპიდან არის ნასესხები. იაპონიის გარდა, ალბათ, არ არსებობს შემთხვევა, როცა ხალხი ფეოდალიზმიდან პირდაპირ ლიბერალიზმში გადასულიყოს. აბსოლუტურ მონარქთა შვილიშვილები – ადამიანები, რომლებიც თითქმის მეოთხედი საუკუნის უკან უდიდესი რაოდენობის ყმების მფლობელები იყვნენ, ახლა დემოკრატიული იდეების მგზნებარე დამცველები არიან და ხმამაღლა აცხადებენ თავადისა და გლეხის, მეპაგრონისა და მუშის თავისუფლებას, თანასწორუფლებიანობასა და ძმობას. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, რაშიც საქართველომ ზურგი აქცია აზიას და მკლავები გაუშალა ევროპას – პარიზული მოლა, გერმანული რაციონალიზმი, ინგლისური სპორტი და ცივილიზაციის სხვა მონაპოვრები იწყებენ მასზე ზეგავლენას; მაგრამ ღიდად სანუგეშოა, რომ ქალები, რომლებიც უფრო კონსერვატულ ნაწილს წარმოადგენენ და ამავე დროს საზოგადოების უფრო პატრიოტული ნაწილია, იმედია შეზღუდავენ თავისი ქმრებისა და შვილების მეტისმეტად სწრაფ წინსვლას თანამედროვე პროგრესის მოლიპულ გზებზე.

არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი ხალხი გულმაღვიწყია და დაივიწყებს იმ სიკეთეს, რაც რუსეთმა გააკეთა სპარსეთისა და თურქეთისაგან მის დასაცავად; მას არა აქვს სიძულვილის გრძნობა თავისი სლავე ქვეშევრდომების მიმართ; მართლაც, ძნელია წარმოიდგინო, თუ როგორ შეიძლება

გძულდეს ისეთი კეთილი ადამიანი, როგორც სამუალო ფენის რუსია, თუ ის ოფიციალური პირი არ არის; მაგრამ მეორეს მხრივ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ერთადერთი სასარგებლო რამ, რაც რუსეთისაგან ოდესმე მიუღია საქართველოს – სამხედრო დახმარებაა. მართალია, გზები იქნა გაყვანილი, მაგრამ მათი დაპროექტება სამხედრო მიზნებით იყო ნაკარნახევი და პრაქტიკულად უსარგებლო იყო ვაჭრობის განვითარებისათვის. რუსები სრულიად უგულვებელყოფდნენ ქვეყნის ინდუსტრიულ და კომერციულ განვითარებას; „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ აწ განსვენებული რედაქტორის წაქეზებით, აქ უცხოური საქონლის გრანზიტი მთლიანად აიკრძალა. დღესდღეობით, რამოდენიმე რუსი კაპიტალისტი ცდილობს კავკასიაში ფეხის მოკიდებას, მაგრამ ისინი სიძნელეებს აწყდებიან – ქართველებს ურჩევნიათ ევროპელი ინვესტორების მომსახურებით ისარგებლონ; სხვებთან ერთად როგშილდებს არ დაუგვიანიათ დაენახათ, რომ ამიერკავკასიის ღვინოები, წიაღისეული და ნავთობი დიდი ყურადღების ღირსია.

თუ რუსეთი ოდესმე დიდ ომში ჩაება, საქართველო უეჭველად დამოუკიდებლობას გამოაცხადებს და შეეცდება დარიალის სამხედრო გზის დაკავებას. სომხები და ლეკებიც აჯანყდებიან – თითოეული თავისებურად. უსარგებლოა წინასწარ განჭვრიტო ასეთი მოძრაობის შედეგები, მაგრამ ერთი კია – შესაძლოა მკითხველი დაინტერესდეს იმ ფაქტით, რომ შამილის დროს მეოთხედ მილიონზე მეტი არმია გახდა საჭირო მხოლოდ ლეკები რომ დაეპყროთ. თავისი კავკასიური არმიის ერთგულებისა რუსებს იმდენად არ სჯერათ, რომ როცა ავსტრიასთან ომის პერსპექტივა გაჩნდა გასულ იანვარში, იბრუნეს რომ არმიის დიდი ნაწილი პოლონეთში გადაესროლათ. ეს სიფრთხილის ზომა იყო; მაგრამ ბოლოს და ბოლოს, დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქართველი ჯარისკაცი საქართველოში აჯანყდება, თუ პოლონეთში, პოლონელი – პოლონეთში, თუ საქართველოში. არსებითი საკითხი, რომელსაც რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი დიპლომატები უმიზნე-

ბენ – ხელისუფლების საწინააღმდეგო ყველა ძალის სრული ერთდროული ამოქმედებაა – შინ და გარეთ. ზედმეტია იმის თქმა, რომ ქართული ჯარი რუსული არმიის საუკეთესო ნაწილია. სკოლის მოსწავლე ყველა ბიჭუნას შეუძლია ცხენზე ჯდომა და გაწვრთნილი ჯარისკაცით სროლა. ქართველი ოფიცრები განსაკუთრებულები არიან და ამჟამად ქართველებს ჰყავთ ბევრი გენერალი, რომელიც ანდრონიკოვის, ბაგრატიონისა და ლორის მელიკოვის ღირსეული მემკვიდრენი არიან.

თანაგრძნობა, რომლითაც სომხეთის ეროვნულ მოძრაობას შეხედნენ დასავლეთ ევროპაში, ქართველებსაც ამხნევენ და იმედს აძლევს, რომ ასეთივე გრძნობებს გამოამჟღავნებენ ქართველების მიმართ, როცა მომწიფდება დრო მათი მოქმედებისათვის. მათი მზერა განსაკუთრებით ინგლისისკენაა მიპყრობილი, რადგან კარგად იციან, რომ ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა შავსა და კასპიის ზღვებს შორის, უზარმაზარ უპირატესობას მიაანიჭებდა ჩვენს ქვეყანას. ქართველთა, სომეხთა და ლეკთა თანხმობის შემთხვევაში, მათი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებაზე ფიქრიც კი არ არის; მაგრამ არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისა, თარგამოსის სამმა ვაჟმა – ბიბლიური ნოეს შთამომავლებმა – თავისუფლები რომ იყვნენ, რატომ არ უნდა შექმნან თავდაცვითი კავშირი საერთო ინტერესების დასაცავად; ლეკებმა ძველად დიდი სამსახური გაუწიეს მათ სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეა თუ ისე, საქართველოს აქვს საზღვარი, რომლის დაცვის უნარი მას სავსებით აქვს და ყოველთვის შეუძლია კავკასიის ჩრდილოელი მთიელების დახმარების იმედი ჰქონდეს. ჩეჩნები, რომელთა სიძულვილი რუსების მიმართ კარგად არის ცნობილი, თითქმის მთლიანად გადასახლდნენ მცირე აზიაში.

გულწრფელად გვინდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ ქართველ და რუს ხალხებს შორის არსებული თბილი გრძნობები ისევე გაგრძელდება. კეთილგანწყობით რომ ეპყრობოდნენ და ადგილობრივ მთავრობას გარკვეული ხარისხით ენდობოდნენ,

დარწმუნებული ვარ, კავკასიის ეს ქრისტიანი ხალხი რუსეთის მეფის მინისტრებს არავითარ სატკივარს არ გაუჩენდა; მაგრამ თუ მათში ეროვნული სულის ჩაკელას განიზრახავენ, მეფე ერეკლეს თანამებრძოლთა შთამომავლები ისევე უჩვენებენ დესპოტებს, თუ როგორ კვდებიან გმირები.

BIBLIOGRAPHY.

THE standard work on Transcaucasian bibliography is *Miansarov (M.)*, *Bibliographia Caucasica et Transcaucasica*. S. Pbg., 1874—76, 8vo, 804 pp., 4840 refs. It is rather scarce, as the edition was limited to 600 copies. Only one volume has been published, although a second was promised. Most of the works mentioned are in Russian or Armenian, and as far as European publications are concerned, Miansarov is very incomplete. In the following pages I have referred to comparatively few Russian books.

After Miansarov, the following, among many others, may with advantage be consulted :—

Catalogue de la Section des Russica, published by Bibl. imp. publ. de St. Pbg., 1873. 2 vols. 8vo.

Semenov (P.), *Geografichsko-statistichskii slovar Rossiiskoi Imperii*. Pbg., 1863—1885. 5 vols. 4to.

Stuckenberg (J. Ch.), *Versuch eines Quellen-Anzeigers . . . fuer das Studium der Geographie . . . des Russischen Reichs*. Pbg., 1849—1852. 2 vols. 8vo.

I am fully conscious of the shortcomings of this essay, and shall be glad to find it extended and corrected by later writers, to whom it may serve as a groundwork.

*Works of special interest are marked *.*

GEOGRAPHY, TRAVELS, AND MISCELLANEOUS LITERATURE.

* *Brosset (M. F.)*, *Description géographique de la Géorgie par*

le Tsarévitch Wakhoucht. Texte géorgien suivi d'une traduction française. Avec 6 cartes lith. S. Pbg. Acad. Scient., 1842. 4to.

Wakhoucht wrote to the local authorities all over the country, asking each for information about his own district; the present standard work was the result of his inquiries.

ANCIENT GEOGRAPHY.

Cf. *Apollonius Rhodius, Strabo, Plinius, Arrianus, Ptolemæus, O. Rommel's* *Caucasiarum Regionum et gentium straboniana descriptio.* Lipsiæ, 1804. 8vo.

Luenemann (G. H.), *Descriptio Caucasi.* Lipsiæ, 1803. 4to.

Carli (Joh. Rinaldi), *De expeditione Argonautorum in Colchidem.* Venet., 1745. 2 vols. 4to.

Vivien de St. Martin (Louis), *Mémoire historique sur la géographie ancienne du Caucase.* Paris, 1848.

— —, *Etude géographique sur le Caucase de Strabon.* In *Etudes de Géogr. Anc.* Paris, 1852.

Preller (E.), *Bedeutung des schwarzen Meeres fuer die Handel und Verkehr der alten Welt.* Dorpat, 1842. 8vo.

MEDIEVAL GEOGRAPHY.

Stephanus Byzantinus, Massudi, Abulfeda.

Defrémery, *Fragments de géographes et d'historiens arabes et persans inédits, relatifs aux anciens peuples du Caucase.* In *Nouv. Journ. Asiat.*, 1849—1851. Paris.

Rubruquis (1253) in *Navigantium atque itinerantium bibliotheca*, by John Harris, D.D., continued by J. Campbell. 2 vols. in fol. London, 1764. In this collection will be found other records of travel in Georgia.

Barbaro (Josafat), *Viaggio alla Tana e nella Persia* (1486). In *Ramusio's Raccolta di Viaggi.* Venetia, 1583.

Contarini (Ambroise), *Voyage de Perse* (1473). In *Bergeron's Collection de Voyages.* Paris, 1735.

SIXTEENTH AND SEVENTEENTH CENTURIES.

Hakluyt (Richd.), *The Principall Navigations, Voiages, and Discoveries of the English Nation in . . . the Empire of Russia, the Caspian Sea, Georgia . . .* London, 1589. Fol. Also 1600. 3 vols. Fol. New edition, London, 1809—1812. 4to.

Jenkinson (Anthony), *Early Voyages and Travels to Russia and Persia, by A. J. and other Englishmen (in reign of Queen Elizabeth)*. Hakluyt Soc. London, 1886. 2 vols. 8vo.

Zampi (Giuseppe Maria), *Relatione della Cholchida*. 1620.

Lamberti (Arcangelo), *Relatione della Cholchida, hoggi detta Mengrellia, nella quale si tratta dell' origine, costumi e cose naturali di quei paesi*. 2nd edition. Napoli, 1654. 4to.

Olearius (Adam), *The Voyages and Travels of the Ambassadors sent by Frederick, Duke of Holstein, to the Great Duke of Muscovy and the King of Persia . . . in 1633—1639*. Translated from the Dutch by J. Davies. London, 1662. 2 vols. Fol.

Dapper (Olfert), *Asia . . . benefens en volkome Beschryving van geheel Persie, Georgie, Mengrelie en andere Gebuur-gewesten*. Amsterdam, 1672. Fol.

— German edition. Nuernberg. Translated by Beer. 2 vols. Fol. 1681.

Novikov, *Drevnaya rossiiskaya biblioteka*. S. Pbg., 1788. 8vo. For *Travels of Russian Ambassadors to Georgia in Seventeenth Century*.

Moreri (Ludvig), *Relations nouvelles du Levant, ou Traité de la religion, du gouvernement et des coutumes des Perses, des Arméniens et des Gaures*. Lyon, 1671. 12mo.

Bruin (C. de) (Dutch painter) *Voyages au Levant*. Delft, 1700. Fol.

— —, *Voyages dans la Moscovie et la Perse*. Amsterdam, 1718. 2 vols. Fol. And Paris, 1725. 5 vols. 4to.

- Struys* (Jean), *Voyages en Muscovie, en Tatarie, en Perse, etc.* Amsterdam, 1720. 3 vols. 12mo.
- Tavernier*, *Six voyages . . . en Perse (1663—69).* Rouen, 1724.
- Chardin* (Sir John), *The Travels of Sir John Chardin into Persia.* London, 1686. Fol. 2 vols.
- Tournefort* (Pitton de), *Rélation d'un Voyage du Levant, contenant l'histoire ancienne et moderne de . . . l'Arménie, de la Géorgie . . .* Paris and Lyon, 1717. 2 vols. 4to. Amsterdam, 1718. English edition, London, 1718. Dutch edition, Amsterdam, 1737.
- Evlîya* (Effendi), *Travels in Europe, Asia, and Africa in the Seventeenth Century.* Translated from the Turkish by J. von Hammer. London, 1846.

EIGHTEENTH CENTURY.

- Lerch* (Joh. Jacob), *Zweite Reise nach Persien.* In Buesching's *Magazin.* 1776.
- Reineggs* (Jacob), *Beschreibung des Kaukasus.* Gotha, 1796—97. 8vo. And some other works. *Sketches in Pallas's Nordische Beitræge, etc.* A General, Historical, and Topographical Description of Mount Caucasus. Translated by Ch. Wilkinson. London, 1807. (Reineggs was a diplomatic agent of the Russian Court, and induced the Ossets to submit, besides preparing the way for the annexation of Georgia.)
- Gueldenstaedt* (Joh. Ant.), *Geografichskoie i statistichskoie opisanié Gruzii* (Geographical and Statistical Description of Georgia). S. Pbg., 1809. 8vo.
- —, *Reisen nach Georgien und Imerethi, ausg. von J. von Klaproth.* Berlin, 1815. 8vo.
- —, *Beschreibung der Kaukasischen Laender, ausg. von J. von Klaproth.* Berlin. 1834. 8vo.

Peyssonnel (French Consul in Smyrna), *Traité sur le Commerce de la Mer Noire*. Paris, 1787. 2 vols. 8vo.

Memoir of a Map of the Countries comprehended between the Black Sea and the Caspian; with an account of the Caucasian nations, and vocabularies of their languages. London, 1788. 4to.

Howell, *Journal of the Passage from India through Armenia, &c.*

Wilford (Francis), *On Mount Caucasus*. In *Asiatic Researches*. London, 1799.

Potocki (Jean), *Voyage dans les steps d'Astrakhan et du Caucase* (in 1797) publié par Klaproth. Paris, 1829. 8vo.

Voyages historiques et géographiques dans les pays situés entre la Mer Noire et la Mer Caspienne. Paris, 1798.

Biberstein (Maréchal de), *Tableau des provinces situées sur la Côte occidentale de la Mer Caspienne, entre les fleuves Térék et Kour*. S. Pbg., 1798. 4to.

Mémoires historiques et géographiques sur les pays situés entre la Mer Noire et la Mer Caspienne. Paris, 1797. 4to.

Natolien, Georgien in historischer, geographischer politischer Hinsicht. Berlin and Leipzig, 1799. 8vo.

NINETEENTH CENTURY.

Zasa (de), *Description du Caucase, avec le précis historique et statistique de la Géorgie*. S. Pbg., 1804. 8vo.

Langen (Jacob), *Opisanie Kavkaza s kratkim istorichskim i statistichskim opisaniem Gruzii* (*Description of the Caucasus, with a short historical and statistical description of Georgia*). Translated from the French of J. L. S. Pbg., 1805.

Rommel (V. C.), *Die Voelker des Kaukasus*. Weimar, 1808.

Lagorio, *Extrait du Journal d'un voyage en Mingrélia*. In *Annales des Voyages*. Paris, 1809.

—, *Bemerkungen ueber Mingrelien*. In *Minerva*. 1811.

Clarke (E. D.), *Voyages en Russie etc.*, trad. de l'anglais.

- Paris, 1812. 2 vols. 8vo. I have not seen the English original.
- Morier* (John), *Journey through Persia*. London, 1812. 4to.
- —, *Second Journey through Persia . . . with an account of the embassy of Sir Gore Ouseley*. London, 1818. 4to.
- Kinneir*, *Geographical Memoir of the Persian Empire, interspersed with an account of manners and customs*. London, 1813. 4to.
- , *Journey through Asia Minor, Armenia, &c.* London, 1818. 8vo.
- Colchis oder Mingralien*. In *Hormayr's Archiv*. 1813.
- Drouville*, *Voyage en Perse*. S. Pbg., 1820. 2 vols. 8vo. With atlas.
- Freygang* (Wilhelm and Frederica), *Lettres sur le Caucase et la Géorgie*. Hambourg, 1816. 8vo.
- Engelhardt* (Moritz von) and *Parrot* (Friedr.), *Reise in die Krymm und den Kaukasus*. Berlin, 1815. *Parrot* also wrote *Reise nach Ararat*. Berlin, 1830. Translated by W. D. Cooley, London. n.d. 8vo.
- Kotzebue* (Moritz von), *Reise nach Persien im Jahre 1817*.
- Johnson* (John), *A Journey from India to England through Persia, Georgia . . .* London, 1818. 4to.
- Ker-Porter* (Sir Robt.), *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia, &c., during the years 1817—1820*. London, 1821. 2 vols. 4to.
- Lumsden* (Thos.), *A Journey from Merut in India to London, through Arabia, Persia, Armenia, Georgia . . .* London, 1822. 8vo.
- Gamba* (Jacques François), *Voyage dans la Russie méridionale, et particulièrement dans les provinces situées au-delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824*. With an atlas. 2 tom. Paris, 1826. 8vo.

- Lyll* (Robt.), Travels in Russia, the Crimea, and Georgia. London, 1825. 2 vols. 8vo.
- Asiatic Journal*. London. Former and Present State of the Road over Mount Caucasus, 1825; Visit to the Caucasian Wall, 1833; The Caucasian Nations, 1837; and other articles.
- Bronisvskii*, Puteshestvié na Kavkazié (Journey in the Caucasus). Moskva, 1825. 2 vols. 8vo.
- Henderson*, Biblical Researches and Travels in Russia, including . . . the Passage of the Caucasus. London, 1826. 8vo.
- Halen* (D. Juan van), Dos años en Rusia. Valencia, 1849. 8vo. Also Mémoires. Paris and Bruxelles, 1827. 2 vols. 8vo.
- , Narrative of D. Juan van Halen's Imprisonment . . . his Campaign with the Army of the Caucasus. Translated from the Spanish. London, 1827. 2 vols. 8vo. Another edition in 1830.
- Klaproth* (Julius von), Voyage au Mont Caucase. Paris, 1827. 8vo.
- , Extraits d'une topographie de la Géorgie. Paris, n. d. 8vo. And several other works.
- Seristori* (Comte), Notes sur les provinces russes au-delà du Caucase. Odessa, 1829.
- Vetter* (J. O. W.), Meine Reise nach Grusien. Leipzig, 1829.
- Rottiers*, Itinéraire de Tiflis à Constantinople. Bruxelles, 1829.
- Jaeger* (B.), Reise von St. Petersburg in die Krim und die Laender des Kaukasus. Leipzig, 1830. 8vo.
- Pushkin* (A. S.), Puteshestvié v Erzerum (Journey to Erzerum). 1829.
- Lermontov* (M. Y.), Geroi nashevo vremeni (A Hero of our Times). 1839—40.

- Kupfer*, Voyage dans les environs du Mont Elbrous. S. Pbg. Acad. Scient., 1830.
- Jaeger* (B.), Versuch einer Darstellung des natuerlichen Reichthums der russischen Laender jenseit des Kaukasus. Leipzig, 1830. 8vo.
- Marigny* (E. T. de), Portulan de la Mer Noire. Odessa, 1830.
- Guibal* (Paul), Industrie et économie des Abazes in *Courrier de la Nouvelle Russie*. 25 Dec., 1831. Odessa.
- Armstrong* (T. B.), Travels in Russia and Turkey Itinerary through Georgia. London, 1831. 8vo.
- Budberg* (Leonh., Freiherr von), Galerie der neuesten Reisen von Russen durch Russland. S. Pbg., 1832.
- L. S.* (Cte.) (1 Seristori), Notes statistiques sur le littoral de la Mer Noire. Vienne, 1832. 8vo. 22 pp.
- Nouv. Annales des Voyages*. Paris. Many articles.
- Nouv. Journal Asiatique*. Paris. Description géographique du Ghouria. 1832. And many other articles.
- Annalen der Erdkunde*. Blick auf Georgien. 1832. Georgien und seine Umgebung. 1843. And other articles.
- Eichwald* (Carl Eduard von), Reise auf dem Caspischen Meere und in den Caucasus. Stuttgart, 1834—38. 2 Bde. 8vo. A scientific work.
- Mignan*, Journal of a Tour through Georgia Asiatic Society. Bombay, 1834.
- Smith* (Eli) and *Dwight* (H.), Missionary Researches in Armenia, including a journey into Georgia. London, 1834. 8vo.
- Conolly* (Arthur), Journey to the North of India overland. London, 1834. 2 vols. 8vo.
- Famin* (César), Région caucasienne in *Univers pittoresque*.

- Paris, n. d. 8vo. Caucasion in Weltgemaldegallerie. Stuttgart, 1835. 8vo.
- Hammer* (Joseph von), Schwarzes Meer. Wien, 1835.
- Evetskii* (Orest), Statistichskoé opisanié Kavkaza (Statistical Description of the Caucasus). S. Pbg., 1835.
- Obozrenie russkikh vladenii za Kavkazom (Description of the Russian Possessions beyond the Caucasus). S. Pbg., 1836. 4 vols. 8vo. An official publication.
- Zubov*, Kartina kavkazskavo kraya (Picture of the Caucasian Land). S. Pbg., 1834—35. 4 vols. 8vo.
- , Shest pisem o Gruzii i Kavkazié (Six Letters about Georgia and the Caucasus). Moskva, 1834. 8vo.
- Besse*, Voyage en Crimée, au Caucase, etc. Paris, 1838. 8vo.
- Belanger* (Ch.), Voyage aux Indes par . . . la Géorgie. Paris, 1838. 8vo. With atlas.
- Spencer* (Edm.), Travels in the Western Caucasus. London, 1838. 2 vols. 8vo.
- Fragmens de lettres écrites de Tiflis en Géorgie. In Bibl. univ. de Genève, 1838.
- Wilbraham* (Capt. Richard), Travels in the Transcaucasian Provinces. London, 1839. 8vo.
- *Dubois de Montpéreux* (Frédéric), Voyage autour du Caucase. Paris, 1839—1843. 6 tom. 8vo. A well-written work. I am indebted to Dubois for many bibliographical notes. The same author published an Atlas in five parts in folio, Neuchatel, 1843, to illustrate his book (part 1, Ancient Geography; part 2, Picturesque views; part 3, Architecture; part 4, Archeology; part 5, Geology).
- Hamilton* (Walter), Researches in Asia Minor, Armenia, &c. London, 1840. 2 vols. 8vo.
- Southgate*, Horatio. Narrative of a Tour through Armenia. New York, 1840. 12mo.
- Samuel* (J.), The Remnant found, or the Place of Israel's

- Hiding discovered the Result of Personal Investigation during a Missionary Tour in Georgia. London, 1841. 8vo.
- Teule* (Jul. C.), *Pensées extraites du journal des mes voyages dans les provinces russes, géorgiennes et tartares du Caucase* Paris, 1842. 2 vols. 8vo.
- Hommaire de Hell*, *Voyage à la Mer Caspienne.* Paris, 1845. 3 vols.
- Cameron* (Geo. Poulett), *Personal Adventures and Excursions in Georgia.* London, 1845. 2 vols. 8vo. Cf. *United Service Journal.* London, 1840—44.
- Hagemeister*, *Zakavkazskie ocherki* (Transcaucasian sketches). S. Pbg., 1845. 8vo. *Novie* (New) *do. do.* S. Pbg., 1848.
- Joselian* (Plato), *Opisanie Shiomgvimskoi pustini v Gruzii* (Description of the Desert of Shiomgvim in Georgia). Tiflis, 1845. 12mo.
- —, *Puteviya zapiski po Kakhetii* (Travel Notes from Kakheti). Tiflis, 1846. 12mo.
- Suzannet* (Cte. de), *Souvenirs de voyage. Les provinces du Caucase.* Paris, 1846. 8vo.
- Danilevskii* (N.), *Kavkaz i evo gorskie zhiteli* (The Caucasus and its Mountaineers). Moskva, 1846. 8vo.
